ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



18 მარტიდან!

ახალ თაობასთან“ ერთად

დიდი საოჯახო სამედიცინო ენციკლოპედია

წიგნი 1

№ კფჰბ ლფ №) სტსჰბ

js[if,fsb7 !( vfhnb7 @)!$ 165 (6376) afcb5 #) stshb

# ჯავახეთში აჯანყება გარდაუვალია!“

## სომეხი დეპუტატი საქართველოს ემუქრება გვ.3

## ნანა კაკაბაძე: ხელისუფლება ახალაიას, მერაბიშვილის, უგულავას საქმეებს ათეთრებს“



„ხელისუფლებამ მხოლოდ ჯიპები შეიცვალა, პრემიები გაიზარდა და რემონტები გაიკეთა“ გვ.5



## ბიძინა ივანიშვილი: მარგველაშვილმა იმედები გამიცრუა“

გვ.2



## პუტინმა ყირიმის ანექსია დაიწყო გვ.10

## თამარ ჩხეიძე: ოცნება პოლიტიკურ ოპონენტებს დევნის“

გვ.6





გვ.3

## ალეკო შალამბერიძე: ბოქერია-მერაბიშვილის შექმნილ პარტიასთან ალიანსში არ შევალთ!“

## გიორგი თავდგირიძე: ევრაზიის კავშირის შექმნის მცდელობა კრახით დასრულდა“



გვ.4



გვ.2

## დიმიტრი შაშკინი აგრარულ უნივერსიტეტთან დაკავშირებით პროკურატურაში დაკითხეს

## რიჩარდ ნორლანდი: ვიცი, საქართველოში ღელავენ, რომ შეიძლება ისტორია გამეორდეს“

გვ.2



ISSN 1987-9385

9 771987 938006

**2** მეგის ქარდავას სამეგრელოში აღმოჩენილი სამალავების საქმეზე 9-წლიანი პატიმრობა მიესაჯა

**7** რატომ არ იქმნება მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია

**2** გიორგი ცაგარეიშვილი: მწვანე საფარის ჭრაზე წესები გამკაცრდება“

**4** ეს თქვენ გეხებათ-ანუ გაშიფრული სამოქალაქო სექტორი

## ბიძინა ივანიშვილი: მარგველაშვილმა იმედები გამიცრუა“



ყოფილი პრემიერ-მინისტრი „იმედთან” ინტერვიუში აღნიშნავს, რომ მარგველაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პრინციპულად განსხვავებული თვისებები გამოავლინა.

„გარკვეული იმედგაცრუება მე მივიღე. პრინციპულად განსხვავებული თვისებები აღმოაჩნდა, ხასიათი გამოავლინა მარგველაშვილმა არჩევნების შემდგომ”, - აცხადებს ყოფილი პრემიერი. ივანიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ არ იცის, რატომ გახდა მარგველაშვილის ფავორიტი ვანო მაჭავარიანი, რომელიც მისი მრჩეველია. ექსპრემიერი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილზეც საუბრობს.

„მახსენებს ჩემს ახალგაზრდობას. ჩემზე უკეთესი პრემიერია”, - აღნიშნავს ბიძინა ივანიშვილი. ამასთან, ექსპრემიერი მინისტრთა კაბინეტზე საუბრისას აცხადებს, რომ კულტურის მინისტრი „ძალიან კარგ მინისტრებში არ გადის”.

პირველი

## რიჩარდ ნორლანდი: ვიცი, საქართველოში ღელავენ, რომ შეიძლება ისტორია განმეორდეს“

„ვიცი, საქართველოში იმის გამო ღელავენ, რომ შეიძლება ისტორია განმეორდეს. ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.




ჟურნალისტის შეკითხვაზე, არის თუ არა რაიმე სანქცია, რაც შეიძლება რუსეთის წინააღმდეგ ამოქმედდეს, ელჩმა უპასუხა, რომ პრეზიდენტ ბარაკ ობამას თქმით, სანქციები, რომლებიც აშშ-მა და ევროპამ დააწესეს, „აზრის მატარებელია“.

„თუ ამ დაწესებულ სანქციებს შედეგი არ მოჰყვება, ისიც აღინიშნა, რომ რუსეთს ექნება დამატებითი ფასი, რომელსაც იგი იგრძნობს და რომელიც მას დაუწესდება. ვიცი, საქართველოში იმაზე ღელავენ, რომ შეიძლება ისტორია განმეორდეს. მნიშვნელოვანია, ერთად ვიმუშაოთ იმაზე, რომ ეს ასე არ იყოს“, — აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

რაც შეეხება შეკითხვას, დასავლეთის მხრიდან სანქციები დაგვიანებული ხომ არ არის, ელჩმა აღნიშნა, რომ მოვლენები ძალზე სწრაფად განვითარდა და ყველანაირ ძალისხმევას მიმართეს, რათა რუსეთს ასეთი ქმედების თავიდან აცილების საშუალება მისცემოდა.

„ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მსგავსი ქცევის წესი აღარ ვიხილოთ. საერთაშორისო თანამეგობრობა ამ თემაზე ერთობლივად მუშაობს. საქართველო კი საერთაშორისო თანამეგობრობის ნაწილია და ჩვენ საერთო მიზნები გვაქვს“, — აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

მედიანიუსი

## სასაზღვრო პოლიციამ საზღვრის უკანონო კვეთისთვის ერთი პირი დააკავა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს დასავლეთის ოპერატიული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1989 წელს დაბადებული, მაროკოს სამეფოს მოქალაქე კეჯჯი ი. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ კეჯჯი ი-მ სასაზღვრო საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით უკანონოდ გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

გამოძიება საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე მიმდინარეობს — საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

## ნაციონალური მოძრაობის წევრები საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდნენ

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა მოახლოებულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებსა და იმ პოლიტიკურ დევნაზე, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების წინააღმდეგ თვითმმართველობის არჩევნების წინ ხორციელდება.

შეხვედრის დასრულების შემდეგ დიპლომატებს მასმედიასთან კომენტარი არ გაუკეთებიათ. როგორც ნაციონალური მოძრაობის წევრმა გიგა ბოკერიამ განაცხადა, ხელისუფლების მხრიდან გრძელდება და ახალი ენერგიით შეივსო პოლიტიკური დევნის კამპანია ყველა მიმართულებით, სადაც არის ალტერნატიული სივრცე.

„პარტიის გენერალური მდივანი არის ციხეში, უგულავა გამოძიების ქვეშ და არის საფრთხე ციხეში მოხვედრის. ადგილობრივი ლიდერები ხონში, დუშეთში, ადიგენში, არიან გამოძიების ქვეშ. ამ ყველაფერს დაემატა შეტევა თავისუფალი უნივერსიტეტის წინააღმდეგ და იმ ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელიც მედიის რეიტინგებს ადგენს. აბოლუტურად ნათელია რა მიზნებს ისახავს ივანიშვილი, რომელიც დღესაც რჩება დე ფაქტო მართველი ქვეყნის და მისი მარიონეტი პრემიერ -მინისტრი . ეს ბრძოლა ძვირი უჯდება ქვეყანას, მაგრამ ძვირად დაუჯდება ხელისუფლებასაც“,-აღნიშნა გიგა ბოკერიამ.

მედიანიუსი

## შსს–მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული მარიამ კ. და 1986 წელს დაბადებული ინგა ჯ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა ნარკოტიკული საშუალება წინასწარი შეთანხმებით, უკანონოდ შეიძინეს და ინგა ჯ-ს საცხოვრებელ ბინაში შეინახეს. სამართალდამცველებმა ინგა ჯ-ს ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად 6,688 გრ ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 2,3207 გრ ჰეროინს შეიცავს.

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად მარიამ კ-ს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. გამოძიება მიმდინარეობს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე — საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით. გამოძიებას შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი აწარმოებს.

ნიუსპრესი

## მაია ფანჯიკიძე ნიდერლანდების ადამიანის უფლებათა ელჩს შეხვდა



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ნიდერლანდების ადამიანის უფლებათა ელჩს ლიონელ ვეერს შეხვდა. შეხვედრა სამინისტროში გაიმართა.

საგარეო უწყების ინფორმაციით, მხარეებმა, 2015 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრობის არჩევნებში, საქართველოს მონაწილეობისა და თავისუფლების ონლაინ კოალიციაში საქართველოს წევრობის საკითხები განიხილეს.

შეხვედრაზე მათ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში და გაეროს ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოებში (კომიტეტებში), საქართველოს მიერ პერიოდული ანგარიშების წარდგენის საკითხზეც ისაუბრეს. გარდა ამისა, განხილულ იქნა უკრაინაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენებც.

ნიუსპრესი

## მეგის ქარდავას სამეგრელოში აღმოჩენილი სამალავების საქმეზე 9 წლიანი პატიმრობა მიესაჯა

სამეგრელოს სამალავებში აღმოჩენილი ფარული ჩანაწერების საქმეზე, ყოფილ მაღალჩინოსანს მეგის ქარდავას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. საქმეზე ბრალდებულების მიმართ მოსამართლის გადაწყვეტილება დღეს გახდა ცნობილი.

რაც შეეხება სხვა ბარლდებულებს, გაათა-



ვისუფლეს რუსლან შამახია, 2 წელი და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესჯა ირაკლი ახალაიას, კოხტა კოდუას — 9 წელი, კიდევ სამ ბრალდებულს კი, თითოეულს 6 წლით პატიმრობა. სამალავების საქმეზე სულ 13 პირი იყო ბრალდებული, მათგან ორმა გამოძიებასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეოს მთავარი სამმართველოს ყოფილი მაღალჩინოსნები, შსს-მ გასული წლის ივნისში დააკავა. მათ გამოძიება წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, სექსუალურ ძალადობასა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას ედავებოდა. ბრალდებულთაგან ორი — მეგის ქარდავა და კოხტა კოდუა იძებნებიან. შსს-მ სამეგრელოში დიდი ოდენობით აღურიცხავი იარაღი, ნარკოტიკული ნივთიერებები და ფარული ჩანაწერები გასული წლის გაზაფხულზე აღმოაჩინა.

ნიუსპრესი

## გიორგი ცაგარეიშვილი: მწვანე საფარის ჭრაზე წესები გამკაცრდება“

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი ცაგარეიშვილმა „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ კანონში ცვლილების პროექტი შეიმუშავა.

როგორც მან გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, კანონპროექტრის მიზანია თბილისში და მიმდებარე ტერიტორიაზე მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიების პრივატიზაციისა და იქ არსებული მცენარეების ჭრის პირობების გამკაცრება, აგრეთვე, ქალაქის ფარგლებში განსაკუთრებული რეკრიაციული ზონების შექმნის პროცედურაში საკრებულოს ჩართვა.

კანონპროექტის მიხედვით, პირველ კატეგორიას მიკუთვნებული თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიის გასხვისებისა და მათში მშენებლობის განხორციელება იკრძალება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამასთან, აღნიშნული მწვანე ნარგავების ჭრა დასაშვებია მხოლოდ ბიომრავალფეროვნებისთვის მიყენებული ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელებით.

ასევე, გათვალისწინებულია მე-2 და მე-3 კატეგორიას მიკუთვნებული მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიის გასხვისებისა და მათზე მშენებლობის განხორციელებისას ჭრაზე ნებართვის გაცემის წესი და პირობები.

როგორც გიორგი ცაგარეიშვილმა განაცხადა, უკანასკნელი წლების მანძილზე, თბილისში კატასტროფული მდგომარეობაა მწვანე ნარგავების განადგურებასთან დაკავშირებით — დედაქალაქის პარკებში და სკვერებში მასობრივად ხდება მრავალწლიანი მწვანე ნარგავების განადგურება, სადაც შემდეგ მშენებლობები მიმდინარეობს.

„განსაკუთრებით პრობლემატური გახდა ეს საკითხი მაშინ, როცა ინვესტორმა თბილისის მერიის თანხმობით გადაწყვიტა ვაკის პარკის შუაგულში აეშენებინა მრავალსართულიანი სასტუმრო კომპლექსი. ამისთვის, სავარაუდოდ, მშენებლებს დასჭირდებათ გზის გაკაფვა და ამისთვის მწვანე ნარგავების განადგურება ვაკის პარკის ტერიტორიაზე“— აღნიშნა პარლამენტის წევრმა. მისივე თქმით, ყოფილი მერის გიგი უგულავს მმართველობის პერიოდში, ტყე-პარკებში და რეკრეაციულ ზონებში მშენებლობებზე, ლიცენზია ყველა არსებული ნორმატივების დარღვევით იყო გაცემული.

ნიუსპრესი

## „დემოკრატიული მოძრაობა“ საყდრისის საკითხზე სამუშაო ჯგუფის შექმნას ითხოვს

,,დემოკრატიული მოძრაობა“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვების ნებართვის გაცემის შესახებ, ნაჩქარევს უწოდებს.

„სამწუხაროდ საზოგადოებისათვის უცნობია იმ კვლევისა და დასკვნის შინაარსი, რომლის საფუძველზეც სამინისტრომ მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ აღნიშნული დასკვნა ვერ აღმოჩნდა საკმარისი არგუმენტი საზოგადოებაში ერთიანი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად“ — აღნიშნავს პარტია სპეციალურ განცხადებაში, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით გაავრცელა.

,,დემოკრატიული მოძრაობა“ მიიჩნევს, რომ არსებული გაურკვევლობის აღმოსაფხვრელად და საკითხზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად, პირველ რიგში, აუცილებელია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის ზუსტი შინაარსი გასაჯაროვდეს, რომელიც, სამინისტროს განცხადებით, მიღებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო.

ასევე, „დემოკრატიული მოძრაობა“ მოუწოდებს კულტურის სამინისტროს შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება მოწვეული საერთაშორისო ექსპერტებით, ქართველი მეცნიერებით, ასევე საზოგადოების ყველა მხარის წარმომადგენლებით.

„ჩვენი აზრით, მხოლოდ აღნიშნული ჯგუფის მიერ საკითხის სიღრმისეულად შეისწავლისა და დადებული დასკვის საფუძველზე გახდება შესაძლებელი ობიექტური საბოლოო გადაწყვეტილების მიღება“ — აღნიშნავნს „დემოკრატიული მოძრაობა“.

ნიუსპრესი

## დიმიტრი შაშკინი აგრარულ უნივერსიტეტთან დაკავშირებით პროკურატურაში დაკითხეს

განათლების ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინის საქართველოს მთავარ პროკურატურაში მოწმის სახით დაკითხვაზე იმყოფებოდა. როგოც მან დაკითხვის დასრულების შემდეგ განაცხადა, გამოძიებას მასთან შეკითხვები, „აგრარულ უნივერსიტეტსა“ და ეკონომიკის ყოფილ მინის-



ტრთან კახა ბენდუქიძესთან დაკავშირებით ჰქონდა. მისი თქმით, გამოძიებას აინტერესებდა, თუ რა მიზეზით განახორციელა ბენდუქიძემ აღნიშნულ უნივერსიტეტში ინვესტიცია.

„ვეცადე, გამომძიებლებისთვის ამეხსნა, რომ ეს არ იყო პრივატიზაციის პროექტი, რომ ეს იყო ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი, განათლების სისტემაში საინვესტიციო პროექტი, რომლის შედეგად ჩვენ მივიღეთ თანამედროვე უნივერსიტეტი, სადაც დაახლოებით 4 ათასი სტუდენტი სწავლობს.

გამომძიებლებს აინტერესებდათ თუ რა მიზეზი ჰქონდა კახა ბენდუქიძეს, რომ განეხორციელებინა ასეთი ინვესტიცია, ძალიან რთულია მსგავს შეკითვებზე პასუხის გაცემა. კახა ყველასთვის ცნობილია იმითი, რომ გააკეთა ყველაზე ძლიერი უნივერსიტეტი“ — განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

განათლების ყოფილი მინისტრისა და ეკონომიკის ყოფილი მინისტრის მოწმის სახით დაკითხვა, აგრარული უნივესრისტეტის ბალანსზე რიცხული დიდი ოდენობით უძრავი ქონების პრივატიზებას ეხება.

კახა ბენდუქიძის დაკითხვა მთავარ პროკურატურაში უკვე რამდენიმე საათია გრძელდება.

ბენდუქიძე პროკურატურაში მის დაბარებას ზეწოლად აფასებს და აღნიშნავს, რომ თითქმის ყოველ გაზაფხულზე აგრარული უნივერსიტეტი დარტყმის ქვეშ ექცევა. მისივე თქმით, ამ საქმეს იურიდიული შინაარსი არ აქვს.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ალეკო შალამბერიძე: ბოკერია-მერაბიშვილის შექმნილ პარტიასთან ალიანსში არ შევალთ!“



შორენა მარსაგიშვილი

თვითმმართველობის არჩევნებზე არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი ერთიანი ფრონტით აპირებდა გამოსვლას. კოალიციის შექმნის მიზნით კონსულტაციები რამდენიმე თვის მანძილზე მიმდინარეობდა. „ქართული დასის“, „თავისუფალი საქართველოსა“ და „დემოკრატიული მოძრაობის“ გაერთიანება თითქოს გარდაუვალი იყო, თუმცა ბოლო მომენტში ეს ერთობა ჩაიშალა. განხეთქილების ვაშლის ფუნქცია ქრისტიან-დემოკრატებმა შეასრულეს.

ცნობილი გახდა, რომ ქდმ-მ ბურჯანაძის პარტიასთან მოახერხა გაერთიანება. „თავისუფალ საქართველოსა“ და „ქართულ დასს“ ეს ფაქტი საშინლად არ მოეწონათ. იმ შემთხვევაში, თუ ბურჯანაძის პარტია ქდმ-ს არ გაემიჯნება, დასელები და კუკავას პარტია მასთან კოალიციის შექმნაზე უარს ამბობენ. უკვე თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კოალიცია არ შედგება. დემმოძი ქდმ-სთან განშორებას არ აპირებს.

„თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერ ალეკო შალამბერიძეს მიაჩნია, რომ ქდმ-სთან ერთად ერთ კოალიციაში ყოფნა დაუშვებელია. რატომ არ შეიძლება ქრისტიან-დემოკრატებთან თანამშრომლობა, რატომ მოიხიბლნენ ერთმანეთით ქდმ და დემმოძი, რა შანსს დაკარგავს ამომრჩეველი – ამ თემებზე ალეკო შალამბერიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ალეკო შალამბერიძე:**

– ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილთან აქტიურად ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს. მოგეხსენებათ, რომ დღეს ქვეყანაში 2 პოლიტიკური მონსტრი არსებობს ოცნებისა და ნაცმოძრაობის სახით. ადმინისტრაციული რესურსების გარდა, მათ ძალიან დიდი ფინანსური შესაძლებლობები აქვთ. საარჩევნო კოდექსიც საკუთარ ტყავზე მოირგეს. ამ პირობებში მათთან დაპირისპირება იქნება ძალიან რთული. ოპოზიციას მხოლოდ ერთი ალტერნატივა აქვს – გაერთიანება. ამისთვის ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით. საპრეზიდენტო არჩევნებზე „თავისუფალმა საქართველომ“ მხარი ნინო ბურჯანაძის კანდიდატურას დაუჭირა. თვითმმართველობის არჩევნებზეც მზად ვიყავით, მხარი იმ კანდიდატურისთვის დაგვეჭირა, რომელიც ოპოზიციისთვის მისაღები იქნებოდა.

***– ამ დროს კი თბილისის მერის პოსტზე კახა კუკავას კანდიდატურა წარადგინეთ.***

– ოპოზიციურ პარტიებს პრაიმერის ჩატარების იდეით არაერთხელ მივმართეთ, თუმცა მათგან ჯერჯერობით სერიოზულ დაინტერესებას და თანხმობას ვერ ვხედავთ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ კახა კუკავას კანდიდატურის წარდგენა. ახლო მომავალში თუ შეთანხმება მოხდა, „თავისუფალი საქართველო“ კანდიდატურას მოხსნის. ჩვენთვის მთავარი ოპოზიციური ერთობის შექმნაა და ამისთვის ყველაფერს ვაკეთებდით. სამწუხაროდ, ჯერ შედეგი ვერ მივიღეთ.

***– გავრცელებული ინფორმაციით, „თავისუფალ საქართველოს“ ბურჯანაძის „დემოკრატიულ მოძრაობასთან“ უნდა შეექმნა კოალიცია.***

– იყო ასეთი მოსაზრება. საარჩევნო ბლოკის შექმნისთვისაც მზად ვიყავით. ჩვენ ახლაც მზად ვართ მასთან თანამშრომლობისთვის, ოღონდ, ერთი პირობით. „დემოკრატიული მოძრაობა“ ქდმ-ს უნდა გაემიჯნოს. ცოტა ხნის წინ გავიგეთ, რომ ისინი გაერთიანდნენ. ეს ჩვენთვის მოულოდნელი იყო. ჩვენ იმ ერთობაში ვერ შევალთ, სადაც ქდმ იქნება.

***– რატომ ვერ შეხვალთ, თავად არ ამბობთ, ოპოზიციის გაერთიანებას ალტერნატივა არ აქვსო?***

– გიდასტურებთ, რომ ოპოზიციის გაერთიანებას ალტერნატივა არა აქვს, მაგრამ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა ოპოზიციური პარტია არ არის. ყველამ კარგად იცის ამ პარტიის შექმნის ისტორია. ის გიგა ბოკერიამ და ვანო მერაბიშვილმა შექმნეს. ბოკერია-მერაბიშვილის ხელდასხმულ პარტიასთან ვერ ვითანამშრომლებთ.

***– თუმცა ამ პარტიასთან ერთად ცოტა ხნის წინ თანამშრომლობდით, მხედველობაში ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობა მაქვს.***

– ამ ჯგუფში სხვა პარტიებიც შემოდიოდნენ. ასეთი თანამშრომლობა სხვაა და საარჩევნო ბლოკის შექმნა – სხვა. ნამდვილად არ გვაქვს სურვილი, ბოკერია-მერაბიშვილის მიერ ნაკურთხ პარტიასთან ვითანამშრომლოთ. ძალიან მიკვირს, როგორ დათანხმდა მათთან ალიანსის შექმნას ნინო ბურჯანაძე. 2011 წლის 26 მაისს ვანო მერაბიშვილმა ეს ხალხი, ფაქტობრივად, ამოხოცა, დღეს კი მის მიერ შექმნილ პარტიასთან აპირებენ თანამშრომლობას. ამასთან, ყველას გვახსოვს, რომ ეს პარტიები ერთმანეთს დიდად არ სწყალობდნენ. დემმოძრაობა პრორუსულ ძალად ითვლება, ქდმ კი პროდასავლურ კურსს აწვება.

***– პოლიტიკაში, როგორც წესი, მუდმივი მტრები და მეგობრები არ არიან. აქ მთავარია ინტერესები. ახლა, ეტყობა, მათი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა.***

– ახლა მათ ერთმანეთი სჭირდებათ. მოგეხსენებათ, რომ ქდმ არის კვალიფიციური სუბიექტი და, შესაბამისად, ეკუთვნის უფასო სარეკლამო დრო. ამ პრივილეგიით, ქდმ-ს გარდა, ოცნება და ნაცმოძრაობა სარგებლობენ. დემმოძრაობას ეს პრივილეგია არა აქვს და ამიტომაც აღმოჩნდა მისთვის ქდმ მიმზიდველი. ახალი პოლიტიკური პარტნიორი ქდმ-სთვისაც მისაღებია. ბურჯანაძემ საპრეზიდენტო არჩევნებში მესამე ადგილი დაიკავა, გადალახა გარკვეული ბარიერი და მიიღო მილიონი. ქდმ სწორედ ამ მილიონით მოიხიბლა.

***– ისე, რა არის იმაში ცუდი, თუ ქრისტიან-დემოკრატების უფასო საეთერო დროით თქვენც ისარგებლებთ?***

– ჩვენ ბოკერია-მერაბიშვილის მიერ შექმნილ პარტიასთან ერთ ალიანსში ყოფნა არ გვსურს. შექმნილ ვითარებას რომ ვუყურებ, ვხვდები, რომ 2012 წელს ივანიშვილის ავრორამ ქდმ-სთვის გაისროლა. თბილისის საკრებულოში ქდმ-ს ყოფილი წევრები ოცნებაში შევიდნენ და თავს ძალიან კარგად გრძნობენ. ამ არჩევნებში ისინი კენჭს ოცნების სიებით იყრიან, მეორე ნაწილი კი ბურჯანაძესთან ერთიანდება და ოპოზიციურ ფლანგზე აპირებს ბრძოლას. ეს წლები იმიტომ არ გვიბრძოლია რეჟიმის წინააღმდეგ, რომ ხელისუფლება ხელში ბოკერია-მერაბიშვილის ხალხმა ჩაიგდოს.

***– ისეთი გამწარებით საუბრობთ ქდმ-ზე, რომ, ცხადია, დემმოძრაობასთან „თავისუფალი საქართველოს“ ალიანსი არ შედგება.***

– ჯერ კიდევ არის შანსი, რომ ერთიანი ძალებით გამოვიდეთ. თუმცა ქდმ-სთან ვერ ვითანამშრომლებთ. სხვა მხრივ, დღესაც მზად ვართ, შევქმნათ საარჩევნო ბლოკი. ამის შესახებ 2 დღის წინ ჩვენი პარტიის ლიდერმა კახა კუკავამ საგანგებო განცხადება გააკეთა. მან თქვა და მეც გავიმეორებ, რომ მზად ვართ შევქმნათ ერთიანი საარჩევნო ბლოკი. ბლოკის შექმნის წინაპირობად „თავისუფალი საქართველო“ არ აყენებს არც ერთ საკითხს: ვთავაზობთ ქალბატონ ნინოს, თავად დაასახელოს თბილისის მერობის კანდიდატი, ბლოკის პირველი ნომერი და დანიშნოს საარჩევნო შტაბის უფროსი. არჩევნებამდე 3 თვეზე ნაკლები დარჩა. ამიტომაც მოლაპარაკებები უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. ამიტომაც დადებით ან უარყოფით პასუხს საარჩევნო ბლოკის შექმნაზე ქალბატონი ბურჯანაძისგან ველოდებით ამ კვირის ბოლომდე.

***– თუ პასუხი ვერ მიიღეთ ანდა უარი შემოგითვალათ, მაშინ რას იზამთ?***

– თუ ნინო ბურჯანაძის გუნდი არ მოისურვებს ერთიანი საარჩევნო ბლოკის შექმნას, მაშინ „თავისუფალი საქართველო“ მომავალი კვირიდან დამოუკიდებლად დავიწყებთ საარჩევნო კამპანიას და შევეცდებით, მთელი საქართველოს მასშტაბით მნიშვნელოვანი წარმატება მოვიპოვოთ.

***– ამას დამოუკიდებლად შეძლებთ?***

– ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ნაცმოძრაობას მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი წავართვათ. ჯერ კიდევ გვაქვს იმედი, რომ ნინო ბურჯანაძე გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებს და მერაბიშვილის პარტიასთან ალიანსზე უარს იტყვის.

***– თქვენი პარტია „ქართულ დასთანაც“ აწარმოებდა მოლაპარაკებებს. ამ ფრონტზე რა ხდება?***

– ამ ფრონტზე ისევ მიდის კონსულტაციები. ყველაფერი ამ კვირაში გაირკვევა. ოპოზიციურ ერთობას ალტერნატივა, მართალია, არა აქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველასთან ვითანამშრომლოთ, ვისაც ოპოზიციონერი ჰქვია.

***– ამ ეტაპზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოპოზიციური ერთობა არ შედგა?***

– დღეის მონაცემებით ასეა. ვნახოთ, რა მოხდება ამ დღეებში. ძალიან ცუდი იქნება, თუ ოპოზიცია არ გაერთიანდა. ეს იყო ხალხის დაკვეთა, რომელსაც ვერ ვასრულებთ და ამით დიდ შანსს ვუშვებთ ხელიდან. ბრძოლასა და არჩევნებში მონაწილეობას აზრი ყოველთვის აქვს. ჩვენც ვიბრძოლებთ და იმედი გვაქვს, რომ შედეგიც არ დააყოვნებს.

---

# ჯავახეთში აჯანყება გარდაუვალია!“

## სომეხი დეპუტატი საქართველოს ემუქრება

შორენა მარსაგიშვილი



საქართველოში უკვე დიდი ხანია, ჯავახეთში მოსალოდნელ პროვოკაციებზე საუბრობენ. ექსპერტთა ნაწილი დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან რუსეთი ჩვენ წინააღმდეგ ამ ნაღმს აამოქმედებს.

გარკვეული ძალები რამდენჯერმე უკვე შეეცადნენ ამ მხარეში ვითარების არევას. რამდენჯერმე გამოსვლებსაც ჰქონდა ადგილი. ამ აურზაურს ოფიციალურმა ერევანმა ოფიციალურად არ დაუჭირა მხარი და ისინიც მიყუჩდნენ, თუმცა დროდადრო თავს მაინც წამოყოფენ ხოლმე.

გამჩენი განსაკუთრებით სომხეთის პარლამენტის წევრ შირაკ ტოროსიანს არ ასვენებს. ის თავს წარმოშობით ჯავახელს უწოდებს და ხშირად სტუმრობს ხოლმე საქართველოს, უფრო ხშირად კი განცხადებებს აკეთებს. მისი განცხადებების დიდი ნაწილი ანტიქართულია. ეს შეჩვენებული ხან ამაში გვდებს ბრალს, ხან იმაში. ეს კაცი არც მუქარას გვაკლებს და ულტიმატუმებსაც გვიყენებს ხოლმე.

მისი გააქტიურება ძირითადად გაზაფხულზე და შემოდგომაზე შეინიშნება. მას არც ეს სეზონი ჩაუგდია და მორიგი სკანდალური განცხადება გააკეთა. სხვათა შორის, ამ სკანდალური განცხადებების გამო ნაციონალური მოძრაობა საქართველოში არ უშვებდა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ის რამდენჯერმე ესტუმრა საქართველოს და ამ კაცმა თუ ამ ტონალობაში გააგრძელა ენის ტლიკინი, შესაძლოა, მას ოცნებამაც ჩაუკეტოს სამხრეთის კარიბჭე.

შირაკ ტოროსიანი საქართველოს ამჯერად ნატოსადმი გამოხატული სიმპათიების გამო აუმხედრდა. მისი აზრით, თუ ნატოს არ შევეშვებით, ჯავახეთში აჯანყებას მივიღებთ.

მისი თქმით, უკრაინაში განვითარებული მოვლენების და იმ ინფორმაციის ფონზე, რომ საქართველომ, უკვე ამ წლის სექტემბერში, შესაძლოა ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა მიიღოს, ექსპერტთა წრეში (სომხეთში) ჯავახეთის სომხური საზოგადოების მდგომარეობის საკითხის აქტიურად განხილვა დაიწყეს. ისინი შეიძლება დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოვიდნენ: ვინაიდან, რესპუბლიკის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის შემთხვევაში, შეიძლება მის ტერიტორიაზე თურქული ჯარები განთავსდეს.

სომხურ სააგენტო „პანორამა.ამ“-თან ინტერვიუში სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატმა სომხეთის რესპუბლიკური პარტიის ფრაქციიდან, კავშირ „ჯავახკის“ თავმჯდომარე შირაკ ტოროსიანმა განაცხადა, რომ სომხური საზოგადოების მხრიდან სეპარატისტული მოქმედება გამორიცხულია, მაგრამ არსებობს ერთი მაგრამ, რომელიც, მისი აზრით, საქართველომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

– ნატოში საქართველოს წევრობა გლობალური პრობლემაა და სწორედ აქ წარმოიქმნება რუსეთ-ნატოს ახალი კონფრონტაციის შესაძლებლობა და მოსალოდნელი იქნება მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობაში დაძაბულობის ესკალაცია. თუმცა, თურქული ჯარების წარმომადგენლობა სრულიად განსხვაბულ სიბრტყეში განიხილება, – აღნიშნა დეპუტატმა.

ტოროსიანის თქმით, ეს იქნება ნატო თუ სხვა ნებისმიერი სტრუქტურა, სხვა ნებისმიერი დასახელების თუ გამოვლინების, ეს სომეხ ეთნოსში, სადაც არ უნდა სახლობდეს ის, გამოიწვევს თავდაცვის რეფლექსს. რაც სომხებში თურმე გენეტიკურად დევს.

– საქართველოს, რა თქმა უნდა, თავისი მიზანი აქვს, და მას შეუძლია ნატოს წევრი გახდეს. თუმცა, სომხური ეთნოსი, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოითმენს თურქული ჯარების ყოფნას იქ, სადაც ის სახლობს, მიუხედავად იმისა, რომელი ქვეყნის შემადგენლობაში შედის ეს ტერიტორია. სომხური სეპარატიზმი არ არის მოსალოდნელი, მაგრამ თურქული ჯარების შემოსვლის შემთხვევაში სერიოზული აჯანყება გარდაუვალია. „ამაში ეჭვი არ მეპარება, – აცხადებს ტოროსიანი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს კაცი გამუდმებით ანტიქართულ განცხადებებს აკეთებს და არც ულტიმატუმის წამოყენებაზე ამბობს უარს.

საქართველოს ევროსაბჭოს წინაშე აიღო ვალდებულება რომ ქვეყანაში თურქი-მესხების დაბრუნება მოხდება. ეს ადამიანები გადასახლებამდე სამცხე-ჯავახეთში სახლობდნენ. მათი ნაწილი თურქული წარმომავლობის გახლავთ.

ეს ამბავი შირაკ ტოროსიანს და მაგისნაირ პროვოკატორებს როგორ გამოეპარებოდათ. ჰოდა, დაგვიბარა, თურქ-მესხებს თუ დააბრუნებთ, რეგიონში არეულობას მოვაწყობთო.

ტოროსიანის პოზიციას ოფიციალური ერევანი ოფიციალურად არ იზიარებს. გულში რას ფიქრობენ, ამაზე ვერაფერს გეტყვით. სამაგიეროდ, ხმამაღალ განცხადებებს აკეთებენ რუსეთში მცხოვრები ჯავახური დიასპორის წევრები. ცოტა ხნის წინ მათ ჯავახეთისთვის კულტურული ავტონომიის სტატუსის მინიჭება მოითხოვეს.

ცოტა ხნის წინ ჯავახკის რუსული დიასპორის ლიდერმა აგას არაბიანმა საქართველოს დაქუცმაცება იწინასწარმეტყველა.

მან რუსულ გამოცემა „ნოვიე ხრონიკისთან“ საუბარში განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, შესაძლოა, კიდევ ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდეს.

– ახალი სახელმწიფო, რომელსაც საქართველოსგან დამოუკიდებლობა სურს, შესაძლოა, ჯავახკის რაიონის ისტორიულ ტერიტორიაზე, თანამედროვე საქართველოსა და თურქეთის საზღვარზე ჩამოყალიბდეს, რომელიც ეთნიკური სომხებითაა დასახლებული. არსებობს ინფორმაცია, რომ ადგილობრივი დიასპორა კატეგორიულად ეწინააღმდეგება საქართველოს ნატო-სთან მიერთებას და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ ამ საგარეო კურსის გაგრძელების შემთხვევაში, შეიძლება, სუვერენიტეტის შესახებ გამოაცხადონ,'– აცხადებდა არაბიანი.

აგას არაბიანს არ ეზარება და იმასაც განმარტავს, თუ რას ერჩის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს.

– ნატო-ს წევრად გახდომით საქართველო ავტომატურად თურქეთის მოკავშირე ხდება, რაც სომხებისა და სომხეთის ინტერესებისთვის მიუღებელია, – ნათქვამია „რუსეთში ჯავახკის დიასპორის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც აღნიშნული ორგანიზაციის ლიდერი აგას არაბიანი აცხადებს, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება სომხეთის ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრება.

– არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ქვეყანა რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია, მოსკოვსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა კი ამჟამად, მსუბუქად რომ ვთქვათ, დაძაბულია. იმ შემთხვევაში, თუ ჯავახკში სამხედრო ბაზები გაჩნდება, ისინი სომხეთში არსებული რუსული ბაზისკენ იქნება მიმართული. კერძოდ კი გიუმრის 102-ე ბაზისკენ. სომხეთისა და რუსეთისადმი დამოკიდებულებაში კი ამის მეგობრულ ნაბიჯად განხილვა, არ შეიძლება, – განაცხადა თავის დროზე არაბიანმა.

საქართველოს პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა ვან ბაიბურთმა მაშინ „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ არაბიანი რუსეთის სპეცსამსახურებმა დააავერბოვკეს.

მისი თქმით, არაბიანი ტაქსის მძღოლი იყო. თურმე ეს კაცი თავისთვის ტაქსაობდა მოსკოვში. ერთ დღესაც ავარია მოუხდა და იმის შემდეგ პოლიტიკაში გადავარდა. შეიძლება, ვინმემ იფიქრა, რომ არაბიანმა თავი მიარტყა რაღაცას. პოლიტიკაში ძირითადად ხომ თავმირტყმულები მიდიან.

ვან ბაიბურთის თქმით კი, ის რუსმა სამართალდამცავებმა დააავერბოვკეს და იქიდან მოყოლებული ქოქოლას გვაყრის.

ჩანს, ამაში ფულს კარგად უხდიან, რადგანაც, როგორც ბაიბურთი ამბობს, არაბიანმა ტაქსაობას თავი დაანება. ფული კი იმდენი გაუჩნდა, რომ მოსკოვის ერთ-ერთ ელიტურ სასტუმროში იქირავა ფართი ოფისისთვის.

კარგი იქნება, თუ საქართველოს ხელისუფლება მათ გამოხდომებს პასუხს გასცემს. გასაგებია, რომ ამ პროვოკატორების აყოლა არ ღირს, მაგრამ არც უყურადღებობა ივარგებს და, კარგი იქნება, თუ ოფიციალური ერევანიც დააფიქსირებს თავისიანების განცხადებებზე პოზიციას.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი
ქ-ნი მარიამი
☎ 599-90-54-78, 234-02-38

# გიორგი თავდგირიძე: ევრაზიის კავშირის შექმნის მცდელობა კრახით დასრულდა“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ სამხედრო-პოლიტიკურ ექსპერტ გიორგი თავდგირიძესთან

***— ბატონო გიორგი, რუსეთმა, გარდა იმისა, რომ სამხედრო ძალის საშუალებით დაიკავა ყირიმი, ე.წ. რეფერენდუმიც გაამართვინა ყირიმის მცხოვრებლებს მისი მოქმედებების „ლეგიტიმაციისთვის“. თქვენ მოვლენების რა შესაძლო სცენარებით განვითარებას ხედავთ? საომარი მოქმედებები გამორიცხულია?***

— სამხედრო ძალით დაკავებულ ტერიტორიაზე ნებისმიერ რეფერენდუმს ან პლებისციტს არ ცნობს არც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა და არც საერთაშორისო საზოგადოება. გარკვეული ლეგიტიმაცია მოიპოვება, როცა არის საზოგადოებისა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების თანხმობა. გარკვეულწილად, ამის პრეცედენტები იყო, მაგრამ ეს გახლდათ აბსოლუტურად დემოკრატიული და ნების თავისუფალი გამოხატულება, სადაც მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა მსჯელობები და განხილვები. ასეთივე რაღაც ტარდება, მაგალითად, ვენეციაში. სავარაუდოდ, შოტლანდიაშიც ჩატარდება, მაგრამ ეს ყველაფერი ხდება მსოფლიოში დეკლარირებული და მიღებული ერთა თვითგამორკვევის პრინციპებზე დაყრდნობით, დემოკრატიულ გარემოში, როდესაც არ ხდება დაინტერესებული სახელმწიფოების სპეცსამსახურების გამოყენება. თავისთავად, იმის გამო, რომ ყირიმში რუსეთმა შეიყვანა დამატებითი სამხედრო ძალები, ტარდებოდა აგრესიული საინფორმაციო პოლიტიკა, უკრაინის ცენტრალურ ხელისუფლებას არ მიეცა საშუალება, ამ საკითხს მომზადებული შეხვედროდა, ყირიმის რეფერენდუმის ლეგიტიმაციის ხარისხი არის ძალიან დაბალი. ამას ემატება გარკვეული შეთანხმებები, თუნდაც ბუდაპეშტის შეთანხმება, რომლის თანახმადაც, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ უკრაინას გარანტიას აძლევდნენ, რომ მისი ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელი იქნებოდა, ხოლო მის წინააღმდეგ ძალის გამოყენების შემთხვევაში, ქვეყნის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ. თუ ყველაფერ ამას შევაჯამებთ, რეფერენდუმი არის მხოლოდ მექანიკური აქტი, რომლის ლეგიტიმაციასა და კონვერტაციას რუსეთი ხელის გადაგრეხის პრინციპით ცდილობს. სავარაუდოდ, გვაქვს ცუდი სცენარი — დაძაბულობის ესკალაცია და კარგი სცენარი, როდესაც რუსეთს თავისი ადგილი მიეჩინება.

***— საბოლოოდ, შეიძლება, რუსეთმა ყირიმში თავისებური რეჟიმი დაამყაროს და ეს სიტუაცია ასე გაჩერდეს, თუ მას ვერ შეეგუება უკრაინა და დანარჩენი მსოფლიო?***

— ცივილიზებულ სამყაროს უნდოდა თუ არა, ფაქტია, რომ ეს პრობლემა წარმოიშვა. თავისთავად, თვითდინებით პრობლემა არ გვარდება, მაგრამ პრობლემის მოგვარებას სჭირდება გარკვეული თერაპიული კურსი ანუ გარკვეული სტრატეგია. ვფიქრობ, ამ პრობლემის გადაწყვეტაში მთავარი და არსებითი ისაა, რომ ცივილიზებული სამყარო, მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები უკრაინის ინტერესების დასაცავად არიან მობილიზებული (სამხედრო თვალსაზრისითაც). აქედან გამომდინარე, დროის ამბავია ამ პრობლემის ისე მოგვარება, როგორც ეს აწყობს უკრაინის ხელისუფლებასა და მოსახლეობას. ამიტომ ყირიმში სიტუაციას დროებით რუსეთი აკონტროლებს. თუმცა, ეს კონტროლი ხარვეზიანია და შედეგიც არ ჩანს ისეთი, რომელიც რუსეთის სასარგებლო იქნება. მოდით, პრობლემა განვიხილოთ სამხედრო თვალსაზრისით. ყველა შემთხვევაში უკრაინის ხელისუფლებამ უნდა შეინარჩუნოს სიმშვიდე, რადგან ყველა კოზირი მის ხელშია; მან უარი უნდა განაცხადოს რუსეთთან ნებისმიერი ტიპის მოლაპარაკებაზე ყირიმის გარეშე. ერთადერთი მოლაპარაკების თემაა, ყირიმის დემილიტარიზაცია და იქ ცენტრალური ხელისუფლების კონსტიტუციური უფლებამოსილების აღდგენა. შესაბამისად, ყირიმიდან შეიარაღებული ძალების გაყვანა ძნელია. უკრაინამ რაიმე ფორმით ძალისმიერი ხერხი უნდა გამოიყენოს, რაც, თავისთავად, მის წისქვილზე არ დაასხამს წყალს. არის ეკონომიკური ფაქტორებიც. უკრაინას შეუძლია, დროებით ყირიმს ემბარგო გამოუცხადოს. შესაბამისად, ეს ახალი წარმონაქმნი, რომელიც ცდილობს საზღვრების შეცვლას, აღმოჩნდება ეკონომიკური და სოციალური კოლაფსის წინაშე.

***— თუკი უკრაინა ემბარგოს გამოუცხადებს ყირიმს, რუსეთი ხომ მზად არის, დაეხმაროს? რუსეთი ყირიმს ისედაც აკონტროლებს. რეფერენდუმის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ ახლა ისინი რუსეთთან ერთად ძალიან კარგად მოიწყობენ ცხოვრებას. ამ თვალსაზრისით ყირიმისთვის ემბარგოს დაწესება უკრაინას რას მოუტანს?***

— პოსტსაბჭოთა საზოგადოება და განსაკუთრებით ადამიანები, რომლებსაც სოვეტიკის დამღა ადევთ და ამ იდეოლოგიის



პროპაგანდის გავლენის ქვეშ არიან, ჰგონიათ, რომ ყველაფერი ჰაერიდან მოდის. მითია, თითქოს უკრაინას ხრუშჩოვმა აჩუქა ყირიმი მისი უკრაინული წარმომავლობის გამო. ასეთი არაფერი მომხდარა. ეს იყო საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება, რომელსაც ხელს აწერდა მალენკოვი. ამ გადაწყვეტილების საფუძველი ის იყო, რომ ყირიმი ეკონომიკურად მიბმულია უკრაინას. აქედან გამომდინარე, რაც არ უნდა მოინდომოს რუსეთმა, ყველაფერი შესაძლებელია და ყველაფერს აქვს თავისი ფასი. ამ შემთხვევაში ყირიმის ფინანსური ღირებულება თავისთავად ძალიან დიდი ტვირთია რუსეთის ეკონომიკისთვის. გარდა ფინანსური გამოხატულებისა, მას აქვს დროითი გამოხატულება. ამიტომ იმ ეკონომიკური ბერკეტების შესაძლო ამოქმედების გამო, რომელიც ემუქრება რუსეთს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, ამ ავანტიურის თვითღირებულება მაღალია.

***— ახლახან ერთ-ერთმა ევროპელმა განაცხადა, თუკი ჩვენ ეკონომიკურ სანქციებს დავუწესებთ რუსეთს და უარს ვიტყვით, ვთქვათ, რუსეთის გაზზე, შემდეგ ჩვენი ოჯახის წევრები მოგვკითხავენ პასუხსო. ხომ არ შეინიშნება ევროპელების უკან დახევა რუსეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესების საკითხში?***

— მსოფლიო გეოპოლიტიკური თამაში ხორციელდება ჭადრაკის პრინციპით, როდესაც შეიძლება, ვთქვათ, გარკვეული მიზნით ფიგურები შესწირო. ზოგადად ევროპა და აშშ შესაბამის ღონისძიებებს მიმართავენ. რადგან საუკეთესო მოთამაშეები არიან, ისინი გააკეთებენ იმ სვლებს, რომლებიც მომგებიანი იქნება საბოლოო მიზნის მისაღწევად. ევროპელი პოლიტიკოსების გამო მსოფლიომ ორი მსოფლიო ომი მიიღო. უამრავი ადამიანის მსხვერპლი მივიღეთ მათი არაკომპეტენტურობისა და მარტივად ცხოვრების სურვილის გამო. ფაქტობრივად, ჰიტლერთან გარიგებით ფაშიზმს გასაქანი მიეცა და მეორე მსოფლიო ომი მივიღეთ. ამიტომ ისეთმა მოსაზრებებმა, რომ ვიღაც გაქსუებულ ევროპელ პოლიტიკოსს არ სურს, რაღაც დათმოს და ამისთვის მზადაა, რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წინაშე ქედი მოიხაროს, გასაქანი ვერ უნდა იპოვოს. ასეთი პოლიტიკოსები ძალიან ცოტანი იქნებიან. ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსის ემოციებისა და ავანტიურისტული გადაწყვეტილების გამო არ უნდა დაინგრეს ევროპის უსაფრთხოების სტრუქტურა. ამ შემთხვევაში, თუ რუსეთს გაუვიდა, ევროპა მიიღებს ისეთი დაძაბულობის კერას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ უნახავს. ეს დაძაბულობა იმაზე საშიშია, ვიდრე იყო გერმანია-პოლონეთის დაპირისპირება. ამ შემთხვევაში დე ფაქტო საბჭოთა სივრცეში წარმოიშობა საკმაოდ ძლიერი დაძაბულობა, რომელმაც შეიძლება ჩაითრიოს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და მივიღოთ საშინელი შედეგი მთელი მსოფლიოსთვის. შემდეგ გაზზე აღარ იქნება საუბარი. შემდგომ საუბარი იქნება დევნილთა უდიდეს ნაკადებზე, სახელმწიფოების მასობრივ რღვევებზე, ნგრევებსა და სოციალურ არასტაბილურობაზე.

***— რატომღაც ჯერჯერობით რუსეთის სასარგებლო სცენარით მიდის მოვლენები, მიუხედავად იმისა, რომ პირველი პირების დონეზე ხდება პუტინთან მოლაპარაკებები. ჩვენ გვაქვს ძალიან ცუდი გამოცდილება, როდესაც აგვისტოს ომის შემდეგ და მანამდეც ჩვენ მარტო დავრჩით და ჩვენი ტერიტორიები რუსეთის მიერ ოკუპირებული აღმოჩნდა. ამას მოჰყვა ობამას მხრიდან რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკის განხორციელება. შეიძლება დავუშვათ, რომ მოვლენები შეიძლება კვლავ ამ სცენარით განვითარდეს?***

— არა. როდესაც ტერიტორიული დავაა, ემოციებს გასაქანი არ უნდა მივცეთ და ამ პრობლემის მოგვარება გაწერილი უნდა იყოს დროის გარკვეულ მონაკვეთზე.

***— თქვენს არგუმენტს მივიღებდი, რომ დიდი ხნის წინ დაკარგული ტაო-კლარჯეთი, სოჭი, ლორე და ჰერეთი არ გვქონდეს.***

— რაც შეეხება გარკვეულ იურიდიულ საზღვრებში მოქცეულ ქართულენოვან ტერიტორიებს, დავკარგეთ იმის გამო, რომ სახელმწიფო არ გვქონდა.

***— 2008 წელს?***

— აბსოლუტურად განსხვავებული პრობლემები იყო უკრაინისა და საქართველოსთვის. საქართველოს არ ჰყავდა პოლიტიკური ელიტა და ხელისუფლება, რომელიც რუსეთთან გამწვავებულ ურთიერთობას მიუდგებოდა სტრატეგიული სიმშვიდის კრიტერიუმით და, გარკვეულწილად, ზუსტად განსაზღვრავდა საქართველოს შიდა პოლიტიკას. მიზნად ის უნდა დაისახო, რაც მიღწევადია და უნდა იბრძოლო იმისთვის, რისი დათმობაც არ შეიძლება. შესაბამისად, 90-იან წლებში და 2008 წელს დავიწყეთ აქტიურობა მაშინ, როდესაც ამისთვის მზად არ ვიყავით, ხოლო აქტიურობის პერიოდში ჩვენი ხელისუფლება აღმოჩნდა გამყიდველი, არაკომპეტენტური და უპასუხისმგებლო. დღეს ჩვენ რუსეთის პირველი მარცხის მომსწრენი გავხდით. ამის საფასურს იხდის უკრაინა.

***— როგორ განვითარდება მოვლენები?***

— მიუნხენის გარიგება არ შედგა. ევროპა და აშშ პრინციპულად იბრძვიან რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური ბერკეტებით. იბრძოლებენ იმისათვის, რომ რუსეთს თავისი ადგილი მიეჩინოს. რუსეთი ომს არ აპირებს. ძალიან მარტივი თემაა. რუსეთს არც ამის რესურსი და არც იმიჯი არ გააჩნია. ამიტომ დე ფაქტო მდგომარეობით რუსეთი ცდილობს, ნაკლები ზარალით, ნაკლები რესურსების დანახარჯებით მიიღოს მაქსიმუმი. მისი მაქსიმუმი არის ყირიმი და მისი დე ფაქტო მმართველობა, მაგრამ მისი მთავარი მიზანი ყირიმის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზის შენარჩუნებაა. ეს არის ის მთავარი თემა, რითაც დამთავრდება ეს კრიზისი. რუსეთი მიიღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში სამხედრო ფლოტის დატოვების უფლებას ყირიმის ტერიტორიაზე. ამისთვის ჯერჯერობით მზად არიან დასავლეთი და უკრაინა. დანარჩენი, რა თქმა უნდა, ეტაპობრივად, მაგრამ მოგვარდება.

***— რუსეთიდან სხვა განცხადებები ისმის. პუტინმა განაცხადა, რომ უკრაინა მთლად კანონიერად არ გასულა საბჭოთა კავშირიდან. იყო განცხადებებიც, რომ რუსეთი უკრაინის შემდეგ ბალტიისპირეთს მიდგება, სადაც დასაყრდენად რუსული მოსახლეობა ჰყავს.***

— ცალკეული პოლიტიკოსების გამონათქვამები ვაჭრობაში უპირატესობის მოპოვების მცდელობა და გარკვეული ემოციური ზეწოლაა პოსტსაბჭოთა საზოგადოებაზე.

***— რუსეთის ბაზის დატოვება ყირიმში მუდმივი დაძაბულობისა და პრობლემების ქონას არ ნიშნავს?***

— არა. ეს არის ხარკი, რომელიც უნდა გადაიხადოს.

***— ვინ უნდა გადაიხადოს ხარკი, უკრაინამ?***

— უკრაინამ და იმ საზოგადოებამ, რომელიც საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში ვცხოვრობდით. ჩვენდა საბედნიეროდ, მოხდა ამ იმპერიის რღვევა. ფაქტობრივად, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ კონფლიქტებს, იმპერია, რომელიც თავის პიკში იყო გასული საუკუნის 50-იან წლებში, თავისი ძლიერების ზენიტში იყო, 30-40 წელიწადში იწყებს დაშლას. ვისთვის სისხლით იყო და ვისთვის უსისხლოდ. ჩვენ, მაგალითად ძალიან ძვირი დაგვიჯდა.

***— მასშტაბებზე გვაქვს ლაპარაკი.***

— საქართველო ვალდებულია, უკრაინას გვერდში დაუდგეს. ფაქტობრივად, მოხდა ავანტიურისტული და იმპერიული პროექტის ევრაზიული კავშირის შექმნის კრახი. ეს პროექტი ჩაიშალა და მისი მსხვერპლი ჩვენ არ გავხდით. ევრაზიის კავშირში საქართველო არ შევიდოდა, მაგრამ მას მოუწევდა უზარმაზარი რესურსის დახარჯვა იმაში, რომ რუსეთის აგრესიული შეტევები მოეგერიებინა. შეტევები შეიძლება ყოფილიყო ეკონომიკური, მორალური, ფსიქოლოგიური და სამხედროც კი. ამიტომ, რადგან ეს პროექტი ჩამოიშალა და რუსეთი იწყებს თავისი ადგილის ძიებას, ჯერჯერობით რუსეთიდან დერჟავული რიტორიკის ტალღა მოდის, მაგრამ, საბოლოო ჯამში, რუსეთი დაიწყებს ტრანსფორმაციაზე ფიქრს და, შესაბამისად, მისი აგრესიული პოლიტიკის დამასრულებელი ფაზის მომსწრენი ვხვდებით. ოღონდ, ეს დამასრულებელი ფაზა არ უნდა იქცეს ახალი აგრესიის დასაწყისად.

## ეს თქვენ გეხებათ-ანუ გაშიფრული სამოქალაქო სექტორი

კამპანია სახელწოდებით - „ეს შენ გეხება“, ქართველ საზოგადოებას გასულ კვირას ახალი, რეინკარნირებული სახით წარუდგა, რომლის სამიზნეც ამჯერად, შინაგან საქმეთა სამინისტრო აღმოჩნდა.

კონკრეტულად კი, როგორც საზოგადოებას მოეხსენება, კამპანიის წამომწყებმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც წინა ხელისუფლების გადარჩენა-რეანიმირების მცდელობაში არიან ეჭვმიტანილნი და არცთუ უსაფუძვლოდ, - გასულ კვირას ახალი კამპანია წამოიწყეს, რითაც ისინი, მათივე თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ სატელეფონო მოსმენებს აპროტესტებდნენ.

სატელეფონო ან სხვა სახის მიყურადება, როდესაც ის კანონის ფარგლებს სცილდება და მოსამართლის ნებართვის გარეშე ხორციელდება, რა თქმა უნდა, კანონდარღვევაა და მისი განმახორციელებლებიც აუცილებლად უნდა დაისაჯონ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ კამპანიის წამოწყებიდან დღემდე, მისმა ინიციატორებმა, უკანონოდ მოსმენის პრაქტიკულად ვერცერთი კონკრეტული ფაქტი ვერ წარმოადგინეს.

ეს კი გარკვეული ეჭვის საფუძვლებს ნამდვილად იძლევა. უფრო მეტიც, საბედნიეროდ, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, თითქმის წელიწადნახევრის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ადამიანი ფარული მოსმენების საფუძველზე დაეჭიროთ, როგორც ეს ვანო მერაბიშვილის დროს ხდებოდა. ყველას კარგად ახსოვს, ჯერ კიდევ სამიოდე წლის წინ, როგორ მუშაობდა მერაბიშვილის კანტორა და როგორ ახორციელებდა ის ტოტალურ თვალთვალსა და მოსმენებს, ხოლო მოსმენილი საუბრიდან ამოგლეჯილი ფრაზების მონტაჟით, როგორ ქმნიდა მტკიცებულებებს იმის შესახებ, თუ როგორ გათხარა ამა თუ იმ პიროვნებამ გვირაბი ბომბეიდან ლონდონამდე.

ვანო მერაბიშვილის პოლიცმაისტერობის დროინდელ პერიოდს თუ გავიხსენებთ, ნამდვილად არ დაგვჭირდება მსგავსი ფაქტების გახსენებაზე ბევრი ფიქრი, ხოლო რაც შეეხება 2012 წლის შემდგომ პერიოდს, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, - საბედნიეროდ, გასული წელიწადნახევრის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს უკანონო ფარული ჩანაწერი გამოქვეყნებულიყო და მითუმეტეს, ასეთი დამონტაჟებული ჩანაწერის საფუძველზე ვინე დაეკავებინოთ. მსგავს ფაქტებს ადგილი სწორედ რომ წინა ხელისუფლების დროს ჰქონდა, სწორედ იმ ხელისუფლების დროს, რომლის წარმომადგენლებსაც დღეს დიდი რუდუნებით იცავენ ის არასამთავრობოები, რომლებიც ამჯერად იმაზე მოთქვამენ, რომ არსებობს დიდი შანსი, შინაგან საქმეთა სამინისტრო მათ უსმენდეს.

ვერ ვიტყვით, რომ კამპანია „ეს შენ გეხება“-ს ორგანიზატორი არასამთავრობოები ჩუმად იყვნენ მაშინ, როდესაც ნაციონალური ხელისუფლება ყოვლად უკანონო გზებით მოპოვებულ და მითუმეტეს, დამონტაჟებულ ფარულ ჩანაწერებს მისი კონტროლირებადი მედიასაშუალებების მეშვეობით აქვეყნებდა. აღნიშნული არასამთავრობოები უკანონო მოსმენის ფაქტებს მაშინაც აპროტესტებდნენ, თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან მაშინ არსებობდა უამრავი პირდაპირი მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორ არღვევდა ვანო მერაბიშვილის დროინდელი შინაგან საქმეთა სამინისტრო ადამიანის უფლებებს მისი კონტროლირებადი მედიის პირდაპირ ეთერში. ჩვენს მიერ ნახსენები არასამთავრობოები ამ ფაქტებს აპროტესტებდნენ, თუმცა ძირითადად მხოლოდ განცხადებების დონეზე და არ მახსენდება ეპიზოდი, რომ მათ, ამ, და ვანო მერაბიშვილის მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულებზე სპეციალური კაპანია წამოეწყოთ.

მაშ რა ხდება ახლა და რამ გაამწარა ასე ჩვენი სამოქალაქო სექტორის „ლიდერი ორგანიზაციები?“

სანამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდებოდეთ, მანამ კიდევ ერთხელ გვინდა გავუსვათ ხაზი დასავლეთის ორმაგ სტანდარტს წინა და ახალ ხელისუფლებასთან მიმართებაში. მაშინ, როდესაც კონკრეტული დასავლური ორგანიზაციები აცხადებენ, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება და უშუალოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო უარს არ ამბობს იმ ტექნოლოგიაზე, რომელიც ვანო მერაბიშვილმა საკმაოდ ძვირად შეიძინაო, - ეს ყველაფერი უკვე ცინიზმის საზღვრებსაც სცილდება.სად იყო მაშინ იგივე დასავლეთი, როდესაც ვანო მერაბიშვილი, თანამედროვე ტექნოლოგიების მწარმოებელ მსოფლიოს წამყვან ფირმებს მოსასმენ და სათვალთვალო აპარატურას უკვეთავდა, ან გაკეთდა თუ არა დასავლეთის მხრიდან მოსალოდნელი ავტორიტარიზმის საფრთხის შესახებ თუნდაც, გამაფრთხილებელი განცხადება?

ასეთი რამ მე სამწუხაროდ არ მახსენდება. ისევ ჩვენს კითხვას რომ დავუბრუნდეთ, რამ გაამწარა ასე ჩვენი ცნობილი არასამთავრობო სექტორი და დასავლეთი და რატომ მიიტანეს მათ იერიში კონკრეტულად შინაგან საქმეთა სამინისტროზე?

აქ პასუხი ერთია, - როცა ებრძვი კონკრეტულ ძალას, მაშინ იერიში პირველ რიგში უნდა მიიტანო იმ საყრდენზე, რომელი საყრდენიც ამ ძალისთვის სერიოზული საფუძველია.

ვერავინ ვერ უარყოფს ფაქტს, რომ საქართველოში ხელისუფლების ცვლის შემდეგ, პოლიციის დეპოლიტიზაცია მართლაც რომ რეკორდულად სწრაფ დროში მოხდა და ეს ყველაფერი მიხეილ სააკაშვილისეული მეთოდით, ანუ კადრების ერთიანად გაშვებით არ განხორციელებულა.

ცალკე საკითხია ის პრობლემა, რომელიც მთელ ქვეყანაში დგას, რომ ძალიან ბევრი დამნაშავე, ვის კისერზეც სისხლის სამართლის დანაშაულები თუ დანაშაულებრივი ბრძანების აღსრულებაა, დღესაც თანამდებობებს ინარჩუნებენ და უფრო მეტიც, გაცილებით კომფორტულადაც კი გრძნობენ თავს.

მაგრამ შიში იმისა, რომ მის საუბარს უკანონოდ უსმენენ, რომელიც ხვალ შეიძლება დაამონტაჟონ და ამის საფუძველზე დაიჭირონ, შიში იმისა, რომ ჯიბეში ნარკოტიკს ჩაუდებენ ან სახლში ყუმბარმტყორცნს აღმოუჩენენ, - ხალხში ნამდვილად გაქრა და ეს ფაქტია. არასამთავრობოების ერთ-ერთი არგუმენტი საზოგადოებაში ჩატარებული კვლევა და მისი შედეგია, რომლის თანახმადაც, საზოგადოების დიდი ნაწილი, თურმე პოლიტიკურ საკითხებზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას ტელეფონზე საუბრისას ერიდება.

აქ საქმე არც მეტი არც ნაკლები, იმ ავტორიტარული რეჟიმის მიერ დანერგილი შიშის ინერციით გაგრძელებასთან გვაქვს, რომელ ავტორიტარულ რეჟიმსაც მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა და რომელმაც წარმატებით დაამკვიდრა მითი იმის შესახებ, რომ ყოვლისშემძლე ვანო ყველას უსმენს.

და მაინც, რა არის მიზანი იმ კამპანიისა, რომელიც გასულ კვირაში შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ იქნა წამოწყებული?

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ნანა კაკაბაძე: ხელისუფლება ახალაიას, მერაბიშვილის, უგულავას საქმეებს ათეთრებს“

## „ხელისუფლებამ მხოლოდ ჯიპები შეიცვალა, პრემიები გაიზარდა და რემონტები გაიკეთა“

ნონა ცაბაძე



### ინტერვიუ უფლებადამცველ ნანა კაკაბაძესთან

***– ქალბატონო ნანა, ბოლო პერიოდში ხელისუფლებამ დაჭერებს უმატა, საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ არჩევნები ახლოვდება და ეს იმის შედეგიაო. ბევრი ოდიოზური ფიგურაა დაკითხვაზე დაბარებული. საუბარია, რომ როლანდ ახალაიას და ერეკლე კოდუასაც პატიმრობა ემუქრებათო. თქვენ რას ფიქრობთ ამ პროცესებზე?***

– საერთოდ, დღემდე მიმდინარე პროცესები, ეს იქნება ახალაიას მიმართ მიმდინარე პროცესი, ვანო მერაბიშვილის თუ უგულავას წინააღმდეგ, ის რაც დღეს სასამართლო პროცესები იმართება, საზოგადოებას რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს პროცესები გაიმართა არა იმისათვის, რომ მართლაც მომხდარიყო დანაშაულის გახსნა, დასჯას რომ თავი დავანებოთ, ამ ადამიანებს მთელი ამ 9 წლის განმავლობაში იმდენი პრობლემა გაუჩინა ამ ხელისუფლებამ, რომ როდესაც დღეს გამოდის სამწლიანი, ოთხწლიანი, ხუთწლიანი განაჩენები, როგორ სასჯელებსაც დღეს ნარკოტიკების მომხმარებელს პირველ ნასამართლობაზე უსჯიან. ნარკოტიკის მომხმარებელს, რომელიც თავის თავის გარდა არავის აზიანებს, დღეს ასეთი სასჯელებით რომ უშვებენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც გაიგივებული იყო მთელი ამ პერიოდის განმავლობაში წამებასთან, ღირსების შემლახავ მოპყრობასთან, მოსმენებთან, დასმენებთან, უკანონო და ფარულ გადაღებებთან, ამ სისტემასთან რომ იყო კავშირში, ამ ადამიანებს რომ უშვებენ ასეთი სასჯელებით, საზოგადოებაში ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ ეს კეთდება არა იმისათვის, რომ მოხდეს მართლაც ამ ადამიანების დასჯა დანაშაულისთვის, არამედ მოხდეს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების გათეთრება.

***– რატომ გათეთრება?***

– იმიტომ, რომ მას მერე, რაც შეიცვალა ხელისუფლება და მთელმა მსოფლიომ აღიარა, რომ ეს იყო ხელისუფლების გადაბარება და ამ დროს მათ წინააღმდეგ გამოდის ასეთი განაჩენები, ბუნებრივია, ხვალ და ზეგ როგორც არ უნდა შეიცვალოს ხელისუფლება და მოინდომონ იმ საქმეების გახსნა და სამართლიანობის აღდგენა, უკვე მთელი მსოფლიო ალაპარაკდება, რომ ეს ადამიანები ერთხელ უკვე გაასამართლეს და ახლა მეორედ ამათი გასამართლება იქნება ნამდვილად პოლიტიკური დევნის მატარებელი და არა სამართლიანობის აღდგენის მატარებელი. ამიტომ საზოგადოებაში ნამდვილად გაჩნდა ის ეჭვი, რომ ეს ყველაფერი კეთდება არა იმისათვის, რომ დაჩაგრული ადამიანების, უფლებაშელახული ადამიანების სამართლიანობა აღდგეს, არამედ იმიტომ, რომ აი ეს კრიმინალები, რომელთანაც გარიგებულია ახალი ხელისუფლება, მოხდეს მათი გათეთრება და ეს პროცესები სწორედ ამას ემსახურება. აი ასეთია დღეს საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის აზრი და მათ შორის პატიმრებისაც. თქვენ იცით, რომ მე ძალიან მჭიდრო კავშირი მაქვს პატიმრებთან და ეს პატიმრები წერენ: წარმოიდგინეთ ის ადამიანები, რომლებსაც ჩვენთვის ნარკოტიკები აქვთ ჩაგდებული, იარაღი აქვთ ჩადებული, იმათ უკვე მოიხადეს სასჯელები და გავიდნენ ციხეებიდან და ჩვენ, ვინც ასე უსამართლოდ და უკანონოდ ჩაგდებული ნარკოტიკებით ვსხედვართ, ეს ხალხი დღესაც ვაგრძელებთ ციხეებში ჯდომასო. ბუნებრივია, ამას გარკვეული აგრესია და უსამართლობის განცდა მოყვება. ის, რასაც დღევანდელი ხელისუფლება აკეთებს, საზოგადოებაში ნამდვილად არ აჩენს სამართლიანობის აღდგენის განცდას. მე არ ვიცი, ეს პროცესები როგორ წავა, რანაირად წავა, რა მოხდება, მაგრამ აქამდე მიმდინარე პროცესების მიმართ საზოგადოების განცდა იყო ასეთი, რომ ეს არის გათეთრება ამ ადამიანების და ამას არანაირი საერთო არა აქვს სამართლიანობის აღდგენასთან.

***– ბოლო დღეებია ხელისუფლება გააქტიურდა, ბენდუქიძეც არის დაკითხვაზე დაბარებული, კოდუა, როლანდ ახალაია... რამდენად შეძლებენ დაუმტკიცონ დანაშაული? თუ ესეც უბრალოდ თამაშია?***

– დაბარებულები კი არიან, მაგრამ შედეგი რა იქნება? არ ვიცი, დაუმტკიცებენ თუ არა. ან ვერ უმტკიცებენ, ან არ უმტკიცებენ, ვერ გაიგებ, რა პოლიტიკაა. ხშირად ეს კორუფციის ეჭვსაც ბადებს. ყველაფრის ეჭვებს ბადებს გარდა სამართლიანობის აღდგენისა. ის რომ წინასაარჩევნოდ ვიღაცას ეს ადამიანები არ სჭირდება, ის რომ უნდა გაათეთრონ, მოკლედ, ყველაფრის ეჭვი ჩნდება. იცით რომელიმე დაზარალებული ადამიანი, რომლის გამოც მოხდა ვიღაცის დაჭერა და იმ ადამიანმა იგრძნო ღირსების აღდგენა?! მე ასეთი ადამიანები არ ვიცი, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი დაზარალებული ტრიალებს ჩემს ირგვლივ. ნამდვილად არ ვიცი ისეთი ადამიანები, რომლებსაც ასეთი განცდა დაუტოვა ამ სასამართლო პროცესებმა. აბა ჩვენ რისთვის გვინდა ეს პროცესები, უპირველესად იმისთვის, რომ ვისაც მიადგა ზიანი, ვისაც წაერთვა ქონება, ვისაც წაერთვა ღირსება, ვინც აწამეს, ვინც უკანონოდ დაიჭირეს, ამ ადამიანებმა უნდა იგრძნონ განცდა იმისა, რომ შეიცვალა ხელისუფლება და მიდგომები. ამ 9 წლის მანძილზე დაზარალებული ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა კი ამ მიდგომებს ვერ გრძნობს. თუნდაც სამსახურებიდან უკანონოდ გამოყრილი ადამიანები. დასაქმების პროგრამაზე იყო ლაპარაკი მერაბიშვილის და ჭიაბერაშვილის პროცესზე და არა იმაზე, რომ ეს ამდენი ადამიანი უსამართლოდ რომ გაყარეს სამსახურებიდან პოლიტიკური ნიშნით და უმუშევრები რომ დატოვეს, ამ უფლებების დარღვევისთვის ვინმე შეედავა ამათ?! მე ასეთი პროცესები არ ვიცი და არც ხალხმა არ იცის, რომ მათი შელახული უფლებების გამო, ვინმე დღეს დაისაჯა. თუ არა ის, რომ ხელისუფლება იყო დღეს დაინტერესებული თავისი ქონების დაბრუნებით, თავისი ახლობლების დაჩაგვრის გამო პასუხისგებით და ასე შემდეგ. თუმცა საზოგადოებისთვის ეს ნულის ტოლია, რაც დღეს მიმდინარეობს, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ციხეებში არ არის ცოცხებით და დუბინკებით გაუპატიურება. თუ ეს არის მხოლოდ პროგრესი, კი ბატონო, ეს ნამდვილად ასე არის და პატიმართა რაოდენობაც, ბუნებრივია, შემცირდა. თუმცა ადამიანების შელახული უფლებების აღდგენა, რასაც ჩვენ სამართლიანობის აღდგენას ვეძახით, ეს პროცესი ამ ქვეყანაში დაწყებული ნამდვილად არ არის.

**იმ ხალხს კი არ აბრუნებენ სამსახურებში, რომლებმაც ამ რეჟიმთან შეუგუებლობის გამო დაკარგეს სამსახურები და საარსებო წყარო, არამედ ბიძაშვილი, მამიდაშვილი, ნათლიის შვილი, ნათლული, აი ასეთი ნიშნით ხდება ადამიანების სამსახურებში მიღება.**

***– თქვენ საუბრისას სამსახურებიდან უკანონოდ გაშვებული ხალხი და მათი აღდგენა ახსენეთ. რომელ აღდგენაზეა საუბარი, საზოგადოება ძალიან გულგატეხილია, ვხედავთ, როგორი ნეპოტიზმი ყვავის მთავრობაში...***

– სწორედ რომ ასეა. იმ ხალხს კი არ აბრუნებენ სამსახურებში, რომლებმაც ამ რეჟიმთან შეუგუებლობის გამო დაკარგეს სამსახურები და საარსებო წყარო, არამედ ბიძაშვილი, მამიდაშვილი, ნათლიის შვილი, ნათლული, აი ასეთი ნიშნი ხდება ადამიანების სამსახურებში მიღება. მე იმას კი არ ვიძახი, რომ თუ პროფესიონალია, ასეთი ადამიანი არ უნდა დაინიშნოს, მაგრამ მარტო ასეთი ადამიანების დანიშვნა რომ ხდება და კონკურსების დროს რომ ეუბნები, ბოლო ხუთი წლის გამოცდილებაა საჭიროო, ეს არის სამართლიანობა? ტენდერებიც კი რომ ცხადდება სამშენებლო კომპანიებისთვის, პირველი კითხვაა – წლიური რამდენი ბრუნვა გქონდა ბოლო სამი წლის განმავლობაში? კაცო, თუ პოლიტიკურ დევნაზეა ლაპარაკი და თუ იმაზეა ლაპარაკი, რომ ნაციონალები პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე სწორედ თავის ახლობლებს აგებინებდნენ ამ კონკურსებს და ტენდერებს, დღეს შენც რომ იგივე ფირმებს აძლევ ამ ფულს, ეს არის სამართალი?! სწორედ ეს იყო მთავარი პრობლემა, რომ რეჟიმი არ შეფასდა. რომ მომხდარიყო შეფასება და რომ მომხდარიყო იმის თქმა, რომ დიახაც, ნაციონალური მოძრაობა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე აცხადებდა ტენდერებს, სამსახურებში ასაქმებდა ხალხს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, მაშინ ტენდერების მოთხოვნებიც არ იქნებოდა ეს, რომ ბოლო სამ წელიწადში თუ ხუთ წელიწადში რამდენი გქონდა ბრუნვა? რა ბრუნვა უნდა ჰქონოდა, როდესაც არ იყო მერაბიშვილის და ადეიშვილის, კოდუების და ახალაიების კლანში, რანაირად უნდა ჰქონოდა ასეთ ადამიანს ბრუნვა?! როდესაც დღესაც იგივე პოლიტიკა გრძელდება, სამსახურებში დანიშვნა გინდა თუ ტენდერების გამოცხადება, ყველგან ეკითხებიან ბოლო ხუთი წლის გამოცდილებას. ბოლო ხუთი წელი ვიდევნებოდი პოლიტიკურად და რა ბოლო ხუთი წლის გამოცდილებას მეუბნები? ეს სასამართლო პროცესებიც ამ პოლიტიკის გამომხატველია და იმაზე მიანიშნებს, რომ აქ რაღაცა სერიოზულ გარიგებასთან გვაქვს საქმე და ეს მხოლოდ ხალხის თვალის ასახვევად ხდება ამ ადამიანების დაბარება, დაჭერა და გასამართლება. თითქოს ყველამ გაიარა სასამართლო, ეს პროცესი ყველას შეეხო და ამ დროს არავის არაფერი არ შეეხო. ვის დააბრუნებინეს გატაცებული ქონებები? 19 მილიარდი რომ დაგვითვალეს წაღებული ამ ქვეყნიდან, ვინ დააბრუნა?! ვიღაცის ჯიბეებში თუ დაბრუნდა, არ ვიცი, მაგრამ ხალხის ბიუჯეტში რამე შემოვიდა და რამე დაბრუნდა? რამე გაგიგონიათ?! რიღასთვის გვეუბნებიან, 19 მილიარდია მოპარულიო, რისთვის გვიხეთქავენ გულს, 19-იც არის და 59-იც მოპარული, მაგრამ საზოგადოებას რომ ეუბნები, ეს ასე მოხდაო, შენ რა გამიკეთე, ხელისუფლებაში რომ მოხვედი? რა დაბრუნდა ხალხისთვის, რა მიიღო ხალხმა? ხომ ხედავთ ადეიშვილმა უკვე ქვეყნის გარედან ჭკუის დარიგებები დაგვიწყო. სადაც ამ მოპარული მილიარდებით მოქალაქეობა მიიღო და ახლა იქიდან გვმოძღვრავს, უგულავამ კი არა, მე ჩავიდინე ეგ დანაშაული და მე მომთხოვეთ პასუხიო. ხომ ხედავთ, რა ბაქანალიაში და ცინიკურ დამოკიდებულებაში ვართ. ეს სამართლიანობის აღდგენა კი არა, დაცინვაა საზოგადოების!

***– იმის თქმა გინდათ, რომ ეს მიზანმიმართული პროცესია?***

– რა თქმა უნდა, მიზანმიმართული პროცესია. მე იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ ამ ხელისუფლებას გაცილებით ნაკლები უნარი აქვს, ვიდრე წინა ხელისუფლებას, უუნაროები არიან და ესეც არის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა და სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ უუნაროები არიან, გაცილებით მარტივი გზა ნახეს, ისინი გარიგდნენ და უფრო მარტივად ხდება ამ პრობლემების გადაწყვეტა. აბა, ასე როგორ შეიძლება? ჯერ მარტო ჩვენ ორგანიზაციაში შემოსული წერილებით როგორი დანაშაულებების გახსნა შეიძლება და რამდენი ადამიანისთვის უფლებების აღდგენა. უამრავი ადამიანი იძახის, რომ ამა და ამ კრიმინალზე გვაქვს ეს ინფორმაციები, თუმცა ამით არ ინტერესდება პროკურატურა და არაფერი არ ხდება.

***– ბევრისგან გვსმენია, რომ ზედაპირზე დევს ეს საქმეები, მაგრამ რატომღაც ჭიანურდება. რატომ?***

– სწორედ ეს არის დასადგენი, რატომ, თორემ განა ის, რომ მტკიცებულებები არ არსებობს, ან სურვილის შემთხვევაში ამის დადგენა არ შეიძლებოდა, არა ეს ყველაფერი ტყუილია, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად ძალიან ზედაპირზე დევს და ძალიან მარტივად შეიძლება ამ ყველაფრის დამტკიცება. იმიტომ, რომ ეს არ არის ერთი და ორი დაზარალებული. ასობით, ათასობით და ათი ათასობით დაზარალებული ადამიანია და თუკი გამოძიება ამითი დაინტერესდებოდა, ბუნებრივია, ამას ყველაფერს დადებდნენ, თუმცა ეს დაინტერესება არ ჩანს. საკადრო პოლიტიკიდან გამომდინარეც არ ჩანს. 20 და 25 წლის ბიჭები რომ ინიშნებიან დღეს ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, ეს სწორია? თქვენ გგონიათ კომუნისტები სულელები იყვნენ, 70 წელი რომ ჰქონდათ ხელისუფლება? რომ თანამდებობის პირს ცოდნა, გამოცდილება და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, რომ უნდა მოეთხოვებოდეს. ეს ყველაფერი ბადებს იმ ეჭვს, რომ ეს ხელისუფლება არ არის ორიენტირებული ქვეყნის და საზოგადოების კეთილდღეობაზე. საზოგადოების დაცინვაა, როდესაც ასეთი საკადრო პოლიტიკაა დღეს ქვეყანაში. ესე იგი პროფესიონალიზმი არაფერი არ ყოფილა. ცხოვრების გამოცდილებაც კი ადამიანს იმდენს აძლევს, რაც შეიძლება უნივერსიტეტმა და უმაღლესმა სასწავლებელმა ვერ მისცეს, პრაქტიკა და გამოცდილება ადამიანს იმდენს აძლევს. ერთი მითხარით, რომელი პრაქტიკის და გამოცდილების მქონე თანამდებობის პირი გვყავს დღეს ხელისუფლებაში. და რატომ? იმიტომ, რომ ეს პოლიტიკა გატარდეს, რომელიც დღეს ტარდება. პროფესიონალი, საქმის მცოდნე და კვალიფიციური კადრები ასეთ მარაზმში ვერ იცხოვრებენ, როგორი დაკვეთაც არ უნდა იყოს. პროფესიონალი იმის პროფესიონალია, რომ იმას თავისი სიამაყის განცდაც აქვს თავისი ცოდნიდან გამომდინარე და ასეთ პოლიტიკას ვერც პროკურატურაში, ვერც სხვა ორგანოებში ვერ გაატარებს, რაც დღეს ტარდება. ზედაპირზე დევს ყველაფერი და ვერ იძიებენ.

***– წართმეული ქონება მაინც დაებრუნებინათ უკან...***

– მათი ლოგიკით, ეტყობა, ამ ადამიანებისთვის ქონება არ წაურთმევიათ, მანქანებიც კი არ ჩამოურთმევიათ! გახსოვთ, რომ მასობრივად ხდებოდა ეს წართმევები. გამოდის, რომ არც ქონების გადაბარება არ ხდებოდა, არც ღამე გამოღვიძება არ ხდებოდა, ვინ აგო ამისთვის პასუხი?! ასეთი ერთი პირი მაინც იცით?! როგორ ეს არ ხდებოდა?! საჯარო რეესტრი აიღონ, რად უნდა ამას გამოძიება და ნახონ, ადამიანები რა ქონებას ჩუქნიდნენ სახელმწიფოს.

***– იმის თქმა გინდათ, რომ რაც დღეს ხდება, ეს არის ხელისუფლების მხრიდან მიზანმიმართული პოლიტიკა?***

– რაც დღეს ხდება, ეს არ ხდება იმისათვის, რომ ამ ქვეყანაში სამართლიანობა აღდგეს. ამ ქვეყანაში გამოძიებულ იქნას, 9 წლის განმავლობაში რა დანაშაულებებს სჩადიოდა ხელისუფლება. ვიმეორებ, ამისთვის მარტო საჯარო რეესტრი და ნოტარიუსებია საკმარისი იმისათვის, რომ დადონ მტკიცებულება, რა ხდებოდა ამ ქვეყანაში. ეს არის გამორიცხული, რომ სურვილის შემთხვევაში ვერ ხდებოდეს ასეთი უსერიოზულესი დანაშაულებების დამტკიცება. ეს არის გამორიცხული! არ ვიცი, ეს არის დასავლეთის დაინტერესება, რომ ეს გუნდი არ იქნეს მხილებული იმ კრიმინალებში, რასაც ისინი სჩადიოდნენ, თუ ეს არის კორუფციული გარიგება, ნებისმიერი ინტერესების შემთხვევაში, ეს პოლიტიკური ინტერესი იქნება თუ ფინანსური, ეს არის კორუფცია! როდესაც ხელისუფლება ამას არ ავლენს და არ აკეთებს. მე არ ვიცი ისეთი ადამიანები, ვინც ამ ხელისუფლების პირობებში თავისი უფლებები აღიდგინა. დღეს ხელისუფლებაში მიმდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ ის პოლიტიკა, რომ ახალმა ხელისუფლებამ ძალაუფლება შეინარჩუნოს და კარგად იცხოვრონ. ამას ხალხი კარგად ხედავს ამ ასიათასიანი ჯიპებიდან, ხელფასებიდან და პრემიებიდან გამომდინარე. ეს ყველაფერი კარგად ჩანს. მოვიდნენ და რა შეცვალეს? მხოლოდ და მხოლოდ ჯიპები შეიცვალეს, პრემიები გაიზარდეს და რემონტები გაიკეთდეს კაბინეტებში. აი ეს შეცვალეს. მითხარით ერთი, ხალხისთვის რა შეიცვალა?! მოხდა გარიგება ძველსა და ახალ ხელისუფლებას შორის, რომელმაც შემდგომ გაათეთრა ნაციონალები და დღეს დადგა ის შედეგი, რომ ნაციონალური მოძრაობა აქეთ ჭკუას გვასწავლის. ესენი ბედავენ და იძახიან, ჩვენ ხელისუფლებაში მოვბრუნდებითო. ესენი ამყარებენ კიდევ დღეს ქვეყანაში პოლიტიკურ მოდას. უკრაინაა მოდაში, დასავლეთი თუ რა, ესენი გვიდგენენ ამ სტანდარტებს. აი ეს არის სამარცხვინო და დანაშაულებრივი, რასაც დღეს ეს ხელისუფლება უშვებს. საზოგადოებაში დღეს ის განცდაა, რომ ამათგანაც არაფერი არ გამოვა. ხალხმა მათზეც ხელი ჩაიქნია. აი ეს განცდაა დღეს საზოგადოებაში!

**გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში**
**გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:
სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეუძლიათ ასაკის შეუზღუდავად. შედეგები 100%-იანია. ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# თამარ ჩხეიძე: ოცნება პოლიტიკურ ოპონენტებს დევნის“

მარიკა მჭედლიშვილი

**არის თუ არა ყირიმის ისტორია პრეცედენტი? რა ელის საქართველოს? რა შეცდომებს უშვებს საქართველოს ხელისუფლება? ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ თავმჯდომარე თამარ ჩხეიძეს.**

***– რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას ჯერ ყირიმის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. ამას მოჰყვა გადაწყვეტილება ყირიმის რუსეთში შესვლის შესახებ. შეიძლება თუ არა ეს პრეცედენტი გახდეს სხვა ტერიტორიების ან ქალაქებისათვის?***

– არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. პუტინის გეგმაში ესაა ეტაპი შემდგომი ნაბიჯებისათვის. რამდენად გაგრძელდება ეს ნაბიჯები და რა სახეს მიიღებს ეს ყველაფერი, დამოკიდებულია იმაზე, როგორ განვითარდება მოვლენები და რამდენად შეძლებენ უკრაინა და დასავლეთი ქმედითი ზომების მიღებას. დიდ ბერკეტებს, ამ მხრივ, ბუნებრივია, დასავლეთი ფლობს. მოვლენების განვითარება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეძლებს დასავლეთი ამ პროცესის შეჩერებას და რუსეთისთვის წინააღმდეგობის გაწევას. თუ დასავლეთი ადეკვატურ ზომებს მიიღებს(გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმულია), რუსეთისთვის საკმაოდ მძიმე შედეგები დადგება და ის იძულებული გახდება, შეაჩეროს თავისი ქმედებები. თუ დასავლეთი ეცდება ნელ-ნელა შეეგუოს მომხდარს და თვალი დახუჭოს იმაზე, რაც ხდება, მაშინ, რუსეთი გადადგამს შემდგომ აგრესიულ ნაბიჯებს და საფრთხე შეექმნება სხვა ტერიტორიებს.

***– ჯერჯერობით, სანქციები და აქტივების დაბლოკვა შეეხოთ შავ სიაში მოხვედრილ მაღალჩინოსნებს...***

– ჯერ არ არის ნათელი, რამდენად სერიოზული იქნება სანქციები რუსეთის წინააღმდეგ. თუ სანქციებს სერიოზული შედეგები ექნება, ეს მთლიანობაში გამოიღებს დადებით შედეგს. მაგრამ თუ ეს არასაკმარისი ზომები იქნება, რუსეთი გააგრძელებს თავის პოლიტიკას.

***– სად შეიძლება გაგრძელდეს რუსეთის პოლიტიკა?***

– ყველგან, სადც გაუვა. შეიძლება რუსეთმა ეს ყველგან ვერ შეძლოს, მაგრამ, სადაც შესაძლებელი იქნება თავისი პოლიტიკის განხორციელება, ყველგან შეეცდება.

***– საქართველოში გასდის?***

– საქართველოში, სამწუხაროდ, ძალიან დიდი წარმატებით.

***– გამოითქმება პროგნოზი იმის შესახებ, რომ ყირიმში სიტუაციის გამწვავებამ შეიძლება ჯაჭვისებურად გამოიწვიოს მდგომარეობის არევა საქართველოში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში, ასევე ცხინვალის რეგიონში რეფერენდუმის მოწყობა...***

– ეს ყველაფერი მთლიანად დამოკიდებულია გლობალურ პროცესზე. სამწუხაროდ, სა-



ქართველოს სახელმწიფო (ხელისუფლება და საზოგადოება) ვერასოდეს ვერ მოქმედებს ადეკვატურად. ჩვენი იმედი მთლიანად დამყარებულია გლობალური პროცესების დადებითად წარმართვაზე. საქართველოში ვითარება ამაზეა დამოკიდებული. ჩვენ რომ არ გამოვიჩინეთ უნარი, ადეკვატური წინააღმდეგობა გაგვეწია რუსული აგრესიისთვის, ფაქტია. უფრო მეტიც, საქართველოს საზოგადოების შესამჩნევი ნაწილი და ხელისუფლება შეძლებისდაგვარად თანამშრომლობს რუსულ აგრესიასთან.

***– რას გულისხმობთ?***

– ამ ხელისუფლების პოლიტიკას. ღიად ის არ აცხადებს (ესეც მიღწევაა) თავის პრორუსულობას საერთო ფონისა და ორმხრივი თამაშის გამო, მაგრამ, ზოგიერთი ქმედება ამის დამადასტურებელია. ეს ჩანს იმ ნაბიჯებიდან, რომელსაც „ქართული ოცნება“ დგამს დღიდან თავისი ხელისუფლებაში მოსვლისა. მოსვლისთანავე ამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეასუსტეს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკა. ამის შესახებ მათ საჯაროდ განაცხადეს. პირდაპირ, ღიად ითქვა, რომ ჩვენ დიდად არ უნდა შევაწუხოთ მსოფლიო ამ საკითხზე საუბრით, რომ სიტყვებს, ტერმინებს მნიშვნელობა არა აქვს.

***– ბოლო დროს ამის საპირისპირო განცხადებები ისმის...***

– დიახ. სწორედ საერთაშორისო ფონის გამო არაღიარების პოლიტიკის შესუსტება არ შეინიშნება. ამ მხრივ ვითარება გამოსწორდა. რაღაც მომენტში ამ ხელისუფლებას დისკომფორტი შეექმნა იმის გამო, რომ პუტინმა შეიძლება დამარცხებები განიცადოს, მაგრამ, მოგვიანებით, ვითარება შეიცვალა. აშშ-მაც აქტიურად გამოხატა საქართველოთი დაინტერესება და ხელისუფლებამაც გააკეთა ისეთი განცხადებები, რომელიც მაინცდამაინც თანხმობაში არ იყო მათ მიერ მანამდე წარმოებულ პოლიტიკასთან. ბოლოდროინდელი განცხადებები ადეკვატური და სწორია. მაგრამ, ზოგადად, რასაც ამ ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ უკრაინის კრიზის დაწყებამდე და დაწყების შემდეგაც, (ოკუპაციასთან, მდგომარეობის შეგუებასთან დაკავშირებით, საქართველოს მიერ თითქოსდა ომის დაწყების თაობაზე და სხვა) იყო მტრის სასარგებლოდ გატანილი გოლი. დღეს ასეთი განცხადებები აღარ კეთდება. როგორც ჩანს, ხელისუფლებაც ელის, როგორ წარიმართება საერთაშორისო ვითარება. თუ პუტინმა საბოლოოდ განიცადა კრახი, რისი დიდი იმედიც მაქვს, რასაკვირველია, „ოცნების“ წარმომადგენლები იტყვიან, ჩვენ ყოველთვის პროდასავლურები ვიყავითო. დაე, თქვან, მთავარია, რომ ეს საქართველოსთვის იქნება კარგი.

***– ბოლო დროს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობას“ დაემსგავსა...***

– თუ საერთაშორისო განცხადებებზეა საუბარი, ამ მსგავსებაში ცუდი არაფერია. მაგრამ, „ნაციონალებს“ ბევრი უარყოფითი მხარე ჰქონდათ და ამ თვალსაზრისით მსგავსება ნეგატიურია. მაგალითად, „ნაციონალებმა“ თავის დროზე უდიდესი ზიანი მიაყენეს მეცნიერების, განათლების სტრუქტურებს. ამ სფეროში „ოცნების“ ხელისუფლებამ გააგრძელა „ნაციონალების“ პოლიტიკა და ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინა ხელისუფლების დესტრუქციული მოქმედებების გამოსასწორებლად. საარჩევნო საკითხებზე ბევრი საუბარი იყო, მაგრამ, საბოლოოდ, დავინახეთ, რომ საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაცია არ მომხდარა. საარჩევნო სისტემა მთლიანად „ოცნების“ კონტროლქვეშაა. ამ საკითხებში „ოცნება“ ძალიან ჰგავს „ნაციონალებს“. ზოგ საკითხში ამ ხელისუფლების პირობებში უარესი ტენდენციებიც შეინიშნება.

***– „ნაციონალებზე“ უარესი?***

– გეტყვით, რასაც ვგულისხმობ. „ნაციონალებსაც“ ახასიათებდათ პოლიტიკური დევნა. არ ვეხები ყველა იმ ადამიანს, ვინც პარლამენტმა პოლიტპატიმრად აღიარა. ვსაუბრობ ისეთ ფიგურებზე, როგორებიცაა ირაკლი ბათიაშვილი, თემურ ჟორჟოლიანი, ემზარ კვიციანი. პოლიტიკური დევნა მაშინაც იყო, მაგრამ მაშინ ამას ასეთი გამოკვეთილი ხასიათი არ ჰქონდა, არ იკავებდა ჩვენი ცხოვრების 90 პროცენტს და ასეთი გაბოროტებული ხასიათი არ ჰქონდა. ახლანდელი მოვლენები პოლიტიკური დევნის აშკარა ნიშნებს ატარებს. ეს იმდენად მკაფიო ნიშნებია, რომ ამას მთელი მსოფლიო ხედავს.

***– პოლიტიკური დევნის რომელ ნიშნებზეა საუბარი?***

– დაპატიმრებები ხდება აშკარად არადამაჯერებელი ბრალდებებით. სატელევიზიო სივრცეში მოვლენების მთავარი შინაარსია, თუ ვინ დაიჭირეს (ადრე ეს უფრო მეტად იგრძნობოდა). თან, დევნა მიმართული აშკარად გამოკვეთილი პოლიტიკური ფიგურების წინააღმდეგ. მიუღებელია განცხადებებიც იმის შესახებ, რომ თუ ისინი არ გაჩერდებიან, დევნა უფრო გაძლიერდება. როდესაც ბრალდებები არადამაჯერებელია, როდესაც ახალი ხელისუფლება ბრალდებებს უყენებს წინა ხელისუფლების პოლიტიკურ ფიგურებს, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეს აღიქმება, როგორც ეს აღიქმება, როგორც პოლიტიკური დევნა. საერთოდ, ხელისუფლების მოქმედებები, ძირითადად, მიმართული უნდა იყოს კონსტრუქციული ქმედებისაკენ და არა რეპრესიებისაკენ.

***– ხალხი სამართიანობასაც მოითხოვს...***

– სამართლიანობის აღდგენა აუცილებელია, მაგრამ, მას სხვანაირი ხასიათი უნდა ჰქონდეს. ლოზუნგი „სამართლიანობის აღდგენა“ თავიდანვე დემაგოგიურ ხასიათს ატარებდა. არ მოხდა ის, რაც მართლა ნიშნავდა სამართლიანობის აღდგენას. მაგალითად, ქონება უნდა დაებრუნებინათ მათთვის, ვისაც ის უკანონოდ წაართვეს. აი, ესაა სამართალი და არა ის, რომ დაერიო წინა ხელისუფლების პოლიტიკურ ფიგურებს. ეს დესტრუქციაა და არა კონსტრუქცია. უნდა მიეხედათ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც აუტანელ ვალებში აღმოჩნდნენ. მათ პირდებობდნენ, რომ გარკვეულ პირობებს შეუქმნიდნენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ეს დაპირება არ სრულდება. როცა პარლამენტს უნდოდა, პატარა ნაბიჯი გადაედგა, რომ ამ კატეგორიის მოქალაქეების გამოსახლება დროებით მაინც შეეჩერებინა, პროცესში ჩაერია მაშინდელი პრემიერ-მინისტრი და ესეც გააჩერა. ეს ყველაფერი ნეგატიურ ტენდენციებზე მეტყველებს.

***– საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი უკმაყოფილებას ვერ მალავს პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით კვალიფიციური კადრების სანთლით ძებნის შესახებ...***

– სამწუხაროა, მაგრამ, ისინი კვალიფიკაციის მიხედვით ნამდვილად არ ეძებენ კადრებს. ისინი კადრებს ეძებენ თავიანთი ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულების მიხედვით. რასაკვირველია, ეს გულწრფელი განცხადება არ იყო.

# ეს თქვენ გეხებათ–ანუ გაშიფრული სამოქალაქო სექტორი

დასაწყისი მე-4 გვერდზე

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ კამპანიის ორგანიზატორები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის გამართლება-გადარჩენის მცდელობაში არიან შემჩნეულნი.

რაც შეეხება მათ მიერ პირველ სამიზნედ შინაგან საქმეთა სამინისტროს შერჩევას, საქმე აქაც სრულიად მარტივ და აპრობირებულ გათვლასთან გვაქვს.

საქართველოს უახლესი ისტორიის განმავლობაში, ხალხის აგრესიის ტალღა არსებული ხელისუფლების მიმართ განსაკუთრებით ძლიერდებოდა მაშინ, თუ პოლიციის დისკრედიტაცია წარმატებით ხორციელდებოდა.

საზოგადოებას ძალიან კარგად ახსოვს ჯერ კიდევ ოპოზიციონერი მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი, როდესაც ისინი მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძისა და მისი უწყების დისკრედიტაციას ცდილობდნენ, რასაც სხვათა შორის, მიაღწიეს კიდეც და რისი უშუალო დამსახურებაც 2003 წლის 23 ნოემბერი იყო. პოლიციის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოაშკარავებით დაიწყო მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ფართო ფენების ნეგატიური განწყობის ზრდაც, მაშინ, როცა ჯერ კიდევ დამოუკიდებელმა ტელეკომპანია „იმედმა,“ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შესახებ სენსაციური მასალა გაავრცელა.

ანუ, პრაქტიკიდან გამომდინარე, საქართველოში, ამა თუ იმ ხელისუფლების დასასრულის დასაწყისის დასაბამი, შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრედიტაცია დახდა.

იმ შემთხვევაში, თუ ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის დროს, პოლიციას მართლაც ჰქონდა დაკისრებული გარკვეული სადამსჯელო ფუნქცია და მათ მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები ძალიან ხშირი იყო, განსაკუთრებთ კი სააკაშვილის რეჟიმის დროს, ალბათ ყველა დამეთანხმებით, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები მართლაც რომ მინიმუმამდეა დასული და ამ კუთხით საქართველო ევროპის წამყვან სახელმწიფოებს ნამდვილად შეგვიძლია შევადაროთ.

იმის გამო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიმართ, არც წინა ხელისუფლებას და არც მის დამცველ არასამთავრობო სექტორს არანაირი სერიოზული და არგუმენტირებული, ფაქტებზე დამყარებული პრეტენზიის საფუძველი არ გააჩნიათ, სეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაიწყეს ამ სამინისტროს მიზანმიმართული დისკრედიტაციის კამპანია და არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ სულ ცოტა ხანში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ ისეთ ბრალდებებსაც გავიგონებთ, რასაც ვანო მერაბიშვილის დროსაც კი არ ჰქონია ადგილი.

ცალკე საკითხია ის, რომ მოსახლეობა ხედავს, რა იყო შინაგან საქმეთა სამინისტრო ვანო მერაბიშვილის დროს და რა გახდა ის ირაკლი ღარიბაშვილის მინისტრობის პერიოდში, მაგრამ პრესა-ტელევიზიით მიზანმიმართული და მუდმივი ჩიჩინი იმასთან დაკავშირებით, რომ მონსტრი შსს მოქალაქეებს ისევ უსმენს და მათი უფლებების შელახვას პერმანენტულად ახორციელებს, - დროთა განმავლობაში თავის შედეგს აუცილებლად გამოიღებს და არ უნდა გაგვიკვირდეს, ერთ მშვენიერ დღეს, თუ დაინტერესებულ ძალებს ამის საშუალება მიეცემათ, დისკრედიტებული შინაგან საქმეთა უწყება მივიღოთ, მიუხედავად იმისა, იმსახურებს თუ არა ის ამას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრედიტაციის შემდეგ კი ადვილია საუბარი პოლიციურ რეჟიმზე, ავტორიტარიზმზე და დიქტატურაზე, რაც უკვე მოქმედი ხელისუფლების მიმართ ტოტალურ უკმაყოფილებაში გადაიზრდება.

სავარაუდოდ, სწორედ ესაა რეალური მიზანი იმ კამპანიისა, რომელიც მიზნად შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრედიტაციას ისახავს.

როგორც აღვნიშნეთ, ამ ყველაფრის უკან დგას არასამთავრობო, იგივე სამოქალაქო სექტორი, რომელიც ქვეყნის გარედან ფინანსდება და რომლის პოზიციაც, სამწუხაროდ, ქართველი ხალხის პოზიციისგან მკვეთრად განსხვავდება.

ანუ, საქმე გვაქვს არასამთავრობო სექტორის გამოყენებასთან სამთავრობო სექტორის წინააღმდეგ. ასეთი ქმედებების უკან, კი, როგორც წესი, ყოველთვის კონკრეტული ძალები ან ქვეყნები დგანან.

ამ ფონზე კი, კიდევ უფრო მეტ კითხვის ნიშანს აჩენს სამოქალაქო სექტორში წასული იმ პიროვნების პასიურობა, რომლის უდიდესი დამსახურებაცაა სწორედ ის, რომ ქართველ ხალხს პოლიციელების აღარ ეშინია და მათ მიმართ ნდობა გაუჩნდა.

ბიძინა ივანიშვილს სამოქალაქო სექტორში წასვლის შემდეგ, ერთი საპრეზენტაციო პრესკონფერენციის გარდა, პრაქტიკულად, თვალშისაცემი და ხელშესახები არაფერი მოუმოქმედია თუნდაც გარედან დაფინანსებული არასამთავრობოების ქმედებათა დასაბალანსებლად, ან ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხისა და რეალური პოლიტიკური კონკურენციის კულტურის დასამკვიდრებლად,რის შესახებაც მას არაერთხელ აქვს გაცხადებული.

და ბოლოს, უნდა უსმენდეს თუ არა სატელეფონო საუბრებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელთანაც ამავდროულად უშიშროების სამინისტროცაა გაერთიანებული?1

რა თქმა უნდა, უნდა უსმენდეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სასამართლოს ნებართვა და თუ ამას ქვეყნის საშინაო თუ საგარეო კუთხით უსაფრთხოება ითხოვს.

საქართველოს ნამდვილად არ სჭირდება ისეთი უუნარო შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც ამა თუ იმ არასამთავრობოს შიშით საკუთარი ფუნქცია-მოვალეობის შესრულებაზე უარს იტყვის და ამის გამო, საკუთარი მოქალაქეების, ან ქვეყნის უსაფრთხოებას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

დიახ, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფები უნდა ახორციელებდნენ იმ პირების კონტროლს, რომელთა შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ ძალოვან უწყებას ინფორმაცია გააჩნია.

ხოლო იმაში, რომ დღევანდელი შინაგანი უწყება მერაბიშვილისეულ მახინჯ პრაქტიკას არ გამოიყენებს და ცოლქმარს სათვალთვალო აპარატურით საძინებელში არ ჩაუსაფრდება, - პრაქტიკულად მთელი საქართველოა დარწმუნებული და მათ შორის ისინიც, ვინც დღეს იმაზე მოთქვამენ, რომ თურმე შინაგან საქმეთა სამინისტროს, შესაძლებლობა აქვს უკანონო მოსმენები განახორციელოს.

ცინიზმის ზღვარს სცილდება „ნაციონალების“ აღშფოთებული სახით გაკეთებული განცხადებები უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით, ხოლო დედაქალაქის მერობის ყოფილი ნაციონალი კანდიდატის გიორგი ვაშაძის მიერ ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერით გაკეთებული განცხადება, ყოველგვარ მორალსაა მოკლებული.

მაშინ, როდესაც ბატონი ვაშაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შესაძლო უკანონო მოსმენებზე მოთქვამდა, მას ოპონენტმა ეკა ბესელიამ გაახსენა ვანო მერაბიშვილისდროინდელი პოლიციის მიერ განხორციელებული ქმედებები, მათ შორის უკანონო მოსმენებიც და სამეგრელოს ტყეებში უპატრონო ადამიანების გაუპატიურებებიც, რაზეც ვაშაძემ უპასუხა, რომ იმაზე კი ნუ ვლაპარაკობთ ადრე რაც იყო, იმაზე ვილაპარაკოთ დღეს რაც ხდებაო.

ანუ, ჩვენს მიერ ჩადენილი უამრავი დანაშაული დავივიწყოთო.

როგორც სოსო ჯაჭვლიანი იტყოდა, ამას სწორედ რომ ბლატაობა ჰქვია და „ნაციონალების“ ეს ბლატაობა, ისევ და ისევ ახალი ხელისუფლების დამსახურებაა, რადგან წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს ჯერჯერობით მათ მიერ ჩადენილი ცოდვები ცხვირიდან ძმრად არ ამოსდენიათ და უფრო მეტიც, მათთვის ამ ცოდვების ჩამორეცხვაზე მუხლჩაუხრელად შრომობენ ახალ ხელისუფლებაში არსებული ის ძალები, რომლებიც დღემდე საკმაო გავლენით სარგებლობენ.

რაც შეეხება იმ არასამთავრობოებს, რომლებმაც აღნიშნული კამპანია წამოიწყეს და რომლებიც წინა ხელისუფლების ნებისმიერი ყოფილ ჩინოვნიკის პასუხისგებაში მიცემაზე ერთ ამბავს ატეხენ ხოლმე, მათ მივმართავთ: ბატონო არასამთავრობოებო, ეს თქვენ გეხებათ: მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, ხშირად, ღიად თუ ფარულად, თქვენს საქმიანობას ხელს უწყობს, ხალხმა სიმართლე უკვე გაიგო და ისინი თქვენ აღარ გისმენენ, უკეთეს შემთხვევაში კი, თქვენს მიერ გაკეთებულ განცხადებებზე ისეთივე რეაქცია აქვთ, როგორც გივი თარგამაძის ან გიგა ბოკერიას მიერ გაკეთებულ განცხადებებზე.

**საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი**

# ჯაშუშობის მუხლით გასამართლებული ფოტოგრაფები თავიანთი საქმის გამოძიებას ითხოვენ

ნათია ხურცილავა

**ყველას კარგად ახსოვს ე.წ. ფოტოგრაფების საქმე. ისინი დღეს პოლიტპატიმრის სტატუსს ატარებენ. გუშინ „პირველ პრესკლუბში“ ფოტოკორესპონდენტმა გიორგი აბდალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჯერ კიდევ არ არიან დასჯილნი ის ადამიანები, რომლებმაც მას და მის მეგობრებს ურთულესი ბრალდება წაუყენეს. იმავეს აცხადებს სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია.**

ჯაშუშობის მუხლით ნასამართლევმა ყოფილმა პოლიტპატიმრებმა ერთობლივი განცხადება გუშინ ჟურნალისტებისთვის გააკეთეს. ყოფილი პოლიტპატიმრები მათი საქმეებისთვის „საიდუმლო გრიფის“ მოხსნას ითხოვენ.

ყოფილი პოლიტპატიმრები აცხადებენ, რომ მკაცრად უნდა დაისაჯონ ის პირები, ვინც მათი საქმეების ფალსიფიკაციას ეწეოდნენ.

ყოფილმა პოლიტპატიმრებმა სპეციალური მიმართვა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის, შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის, მთავარი პროკურორის გიორგი ბადაშვილის, სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილის, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების, ნატოს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის სახელზე შეიმუშავეს:

– ოფიციალურად მოგმართავთ თქვენ, სახელისუფლო სტრუქტურების მაღალი თანამდებობის პირებს, მოთხოვნით, აღდგეს სამართლიანობა და მკაცრად დაისაჯონ ის პირები, რომლებიც უშუალოდ ჩართულები იყვნენ საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის ისეთი ცნობილი, შეთითხნილი და ფალსიფიცირებული საქმეების შექმნაში, როგორიცაა ე.წ. „ენვერის“, ბაკურ კილურაძის, სერგო თეთრაძის, „ფოტოგრაფებისა“ და სხვათა საქმეები. ასევე მოვითხოვთ ე.წ. „საიდუმლოების“ გრიფის ახსნას ჩვენი საქმეებიდან და მათ ტრანსფარენტულობას, – აცხადებენ ყოფილი პოლიტპატიმრები.

ყოფილი პოლიტპატიმრები მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში იმედს გამოთქვამენ, რომ დადგინდება მათი საქმეების ფალსიფიცირების, როგორც ისინი აცხადებენ, გარემოებები, მიზეზები და დამნაშავეები დაისჯებიან.

– ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ველოდებოდით და დღემდე ველით, რომ ამ შეთითხნილი საქმეების მიმართ, რომელმაც თავის დროზე დიდი ზიანი მიაყენეს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და სერიოზულად დააზიანეს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი, გამოკვლეული იქნებოდა მათი ფალსიფიცირების ჭეშმარიტი გარემოებანი და მოტივაცია, დასჯილი იქნებოდნენ დამნაშავეები.

მოკლედ, ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს, აღდგებოდა სამართალი, მით უფრო, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოცემული შეთითხნილი საქმეების მიხედვით, უკანონოდ გასამართლებულ მოქალაქეთა უმრავლესობას საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის 5 დეკემბერს მიანიჭა პოლიტიკური პატიმრის სტატუსი და 2013 წლის 14 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქეთა (ლაშა ტუღუში, ალექსანდრე ბარამიძე, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია) სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო

ავადსახსენებელი სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლში არსებული სადავო ნორმის სიტყვები. ამას გარდა, აღნიშნული საქმის მიმართ გამოხატული იქნა უდიდესი ინტერესი საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან (კერძოდ, წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი და ა.შ.). ამის ფონზე, სამწუხაროდ, საქმე მაინც არ დაიძრა ადგილიდან, უფრო მეტიც, იმ პირთა მთელი „არმია“, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამგვარი და სხვა საქმეების ფალსიფიცირებაში და ამით ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული, დღესაც არიან თავიანთ თანამდებობაზე. მეტიც, სამწუხაროდ, ეს ადამიანები დღესაც რჩებიან სისტემაში და ზოგი მათგანი დაწინაურებულიცაა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ძალოვან და სახელისუფლო სტრუქტურებში მყოფი პირების მიერ ჩადენილი დანაშაული უკავშირდება არა მხოლოდ კონკრეტულ მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართულ უკანონო ქმედებას, არამედ საქმე ეხება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისადმი მიყენებულ ზიანს, გთხოვთ, მიიღოთ კანონით გათვალისწინებული ზომები, მოაწყოთ ლუსტრაცია და გამოიკვლიოთ, რომელი ქართველი ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი და სახელისუფლებო პირი რას აკეთებდა წინა ავტორიტარულ-ავტოკრატიული „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროს და სამაგალითოდ დასაჯოთ ისინი, – ნათქვამია განცხადებაში. განცხადებას ხელს აწერენ: ვახტანგ მაისაია, სიმონ კილაძე, გიორგი აბდალაძე, ბაკურ კილურაძე, ირაკლი გედენიძე, ზურაბ ქურციკიძე, ვიაჩესლავ პლუჟნიკოვი, გიორგი დიასამიძე და დავით მესხიძე.

ჟურნალისტებს გუშინ ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებულმა პირებმა განუცხადეს, რომ ისინი საკუთარ საქმეებს არც კი იცნობენ, რადგან იმის გამო, რომ გრიფი „საიდუმლო“ ედო, მათ აღნიშნული საქმეების გაცნობის საშუალება არ მიეცათ.

მათივე თქმით, ამ ეტაპზე მთავარი სამართლებრივი რეაბილიტაციაა და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად კომპენსაციების გაცემის საკითხი კი შეიძლებოდა დროში გაწერილიყო.

# რატომ არ იქმნება მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია



**ახალი ხელისუფლება საზოგადოებას „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის“ შექმნას შეჰპირდა. მალე ეს ინიციატივა კანონპროექტად იქცა. იმ მოქალაქეებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათი საქმეები არასათანადოდაა გამოძიებული, შეუძლიათ, კომისიას ამ საქმეების გადახედვის მოთხოვნით მიმართონ. თუმცა, კომისიის შექმნა დღემდე ყოვნდება.**

**იუსტიციის სამინისტრომ კანონპროექტი დასკვნისთვის ვენეციის კომისიასა და ევროსაბჭოს ექსპერტებს გადაუგზავნა, რასაც მოჰყვა კიდეც შესაბამისი რეკომენდაციები.**

**„მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის“ კანონპროექტთან დაკავშირებით დაგროვილ კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ვახტანგ თორდია საუბრობს.**

ნათია ხურცილავა

***– ბატონო ვახტანგ, საზოგადოება კანონის უზენაესობისა და სამართლიანობის აღდგენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად უკანონოდ და დაუსაბუთებლად მსჯავრდებულ პირთა საქმეების შემსწავლელი დროებითი კომისიის შექმნას მიიჩნევს. თქვენი პოზიცია, როგორია ამ საკითხზე?***

– „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის“ შექმნა აღიქმება, როგორც მართლმსაჯულების განხორციელებისას საზოგადოებრივი კონტროლის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი. ამ კომისიის შექმნის აქტუალურობა და აუცილებლობა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით, 200-ზე მეტი ადამიანი საქართველოს პარლამენტის მიერ პოლიტიკურ პატიმრად და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირად იქნა ცნობილი, ხოლო მომჩივანთა რიცხვმა კი 20 000-ს გადააჭარბა. ამასთანავე, აშკარაა, რომ მოქალაქეთა ნდობა სასამართლოს დამოუკიდებლობისადმი იყო ძალზე დაბალი, რაც გამოწვეულია როგორც საკანონმდებლო ხარვეზებით, ასევე სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით. აღნიშნულ გარემოებათა გამო, გარდაუვალი გახდა გასაჩივრებულ სასამართლო გადაწყვეტილებათა შემოწმება საგანგებო არასასამართლო ორგანოს მიერ და მათი გადასინჯვის რეკომენდაციით სასამართლოსთვის მიმართვა. ამ მიზნით, როგორც ცნობილია, მთავრობამ შეიმუშავა კანონპროექტი „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი კომისიის შესახებ“. ამ კანონპროექტის დღემდე მიუღებლობამ საზოგადოებასა და იურისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ისინი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კომისიის შექმნა მიუღებელია და პრობლემის გადაწყვეტამდე არ მიგვიყვანს, ძირითად არგუმენტად იშველიებენ კანონპროექტის თაობაზე ვენეციის კომისიის დასკვნას, რომლითაც თითქოს კომისიის შექმნა კატეგორიულადაა უარყოფილი. ვენეციის კომისიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ საქართველო არ არის ნოვატორი მსგავსი კომისიის შექმნის თვალსაზრისით და რომ ამგვარი კომისიები არსებობს კლასიკური დემოკრატიის ქვეყნებში, კერძოდ, გაერთიანებულ სამეფოსა და ნორვეგიაში. ვენეციის კომისიის მიერ დადასტურებულია ჩვენი კანონპროექტისგან განსხვავებული კონტექსტები, რომლის მიხედვითაც ევროპაში მოქმედებენ სისხლის სამართლის საქმეების შემოწმების კომისიები.

***– კომისიის მიზანი თუ არის განსაზღვრული და რამდენად ადეკვატური იქნება საზოგადოების მოთხოვნების?***

– „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი კომისიის შექმნის შესახებ“ კანონპროექტით გათვალისწინებული კომისიის საქმიანობაც მიზნად ისახავს, უწინარეს ყოვლისა, გასაჩივრებულ სასამართლო გადაწყვეტილებათა შემოწმებასა და მათ გადასინჯვას. ასევე შესაბამის შემთხვევებში მათი ხელახალი განხილვის მიზნით სასამართლოსთვის რეკომენდაციით მიმართვას, ხოლო უფლებების აღდგენა-გამოსწორებას. გარდა ამისა, კომისიის მიზანია მართლმსაჯულების სისტემური ხარვეზების (თუ ასეთი რამ გამოიკვეთა) აღმოფხვრისა და მათი პრევენციის თაობაზე სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

***– ხომ არ იქნება საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ მაინც ამ კომისიის შექმნა აღქმული, როგორც პოლიტიკურად მოტივირებული ქმედება?***

– სწორედ კომისიის საქმიანობის ამგვარი ინტერპრეტაციის მაქსიმალური გამორიცხვის მიზნით კანონპროექტი დასკვნისათვის გადაეგზავნა ვენეციის კომისიას, რომელმაც შეიმუშავა სამართლებრივი დასკვნა და ის ოფიციალურად გადაეცა საქართველოს მთავრობას. ვენეციის კომისიის სამართლებრივ დასკვნაში მოცემული არაერთი სასარგებლო რეკომენდაცია რეალიზებულ იქნა და აისახა კანონპროექტში „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი კომისიის შესახებ“. კერძოდ: კანონპროექტის პრეამბულიდან ამოღებულ იქნა მითითება 2004-2012 წლებზე, რათა არ შექმნილიყო შთაბეჭდილება, რომ კომისიის შექმნის მიზეზი მხოლოდ წინა ხელისუფლების დროს მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლაა.

ამასთანავე, კანონპროექტის ტექსტში მიეთითა, რომ კომისია განიხილავს საჩივრებს თუ მოცემულ საქმეზე ბოლო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან საჩივრის შეტანის მომენტამდე არ არის გასული 10 წელზე მეტი. ასევე გათვალისწინებულ იქნა სხვა ხასიათის რეკომენდაციებიც. რაც შეეხება ვენეციის კომისიის მოსაზრებაში დაფიქსირებულ აზრს, რომ ქართული კონტექსტი განსხვავდება იმ ქვეყნების კონტექსტებისგან, სადაც ანალოგიური კომისიები მოქმედებს (დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია), ჩვენ ვიზიარებთ ამ აზრს და მიგვაჩნია, რომ კონტექსტების ამგვარი განსხვავება არ უკრძალავს საქართველოს, შექმნას ინსტიტუციურად და დანიშნულებით დაახლოებით ისეთივე კომისია, რომლის ანალოგიც მართლაც გვხვდება კლასიკური დემოკრატიის ქვეყნებში.

***– ხელისუფლება კანონის ამოქმედების დაყოვნებას უკავშირებს იმას, რომ ქვეყნის ბიუჯეტს რეაბილიტირებული პირებისთვის მიყენებული ფინანსური ზიანის სრულად ანაზღაურება ძალიან გაუძნელდება. თქვენ რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ამგვარი პოზიცია?***

– უნდა ითქვას, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციების არასწორმა ინტერპრეტაციამ წარმოშვა ალტერნატიული წინადადება, რომელიც ითვალისწინებს რეაბილიტაციის საქმეებზე სპეციალიზირებული პროკურატურის შექმნას. ის უფლებამოსილი იქნება, გამოიძიოს მოქალაქეთა საჩივრები და მიმართოს სასამართლოს განაჩენის გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით. ამგვარი წინადადება კი არა მარტო არ პასუხობს მთავრობის არგუმენტს პრობლემის ფინანსური მხარის თაობაზე, არამედ არსებითად შეუთავსებელია ვენეციის კომისიის დასკვნაში მოცემულ სტანდარტებთან. კერძოდ: სპეციალიზებული პროკურატურა, ბუნებრივია, იქნება პროკურატურის სისტემის ნაწილი, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილია და პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი ვერ იქნება. ასევე, პროკურატურისათვის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადასინჯვის უფლების მიცემა ნიშნავს მისთვის საზედამხედველო ფუნქციის დაბრუნებას. იმ ფუნქციის დაბრუნებას, რომელიც მას საბჭოთა კანონმდებლობით გააჩნდა და დამახასიათებელია ტოტალიტარული სახელმწიფოსთვის. ასეთი პროკურატურის ჩამოყალიბება კი ნიშნავს დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ინსტიტუტის დასუსტებას. აგრეთვე გამოითქვა მოსაზრება, რომ რეაბილიტაციის საქმეების განხილვა განახორციელოს საკონსტიტუციო სასამართლომ. ამ მოსაზრებასაც ვერ დავეთანხმებით, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს დანიშნულება კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებაა, რაც მნიშვნელოვნად განსხვავებულია, შეზღუდული და შეკვეცილია მართლმსაჯულების განხორციელების არეალთან შედარებით.

***– ბატონო ვახტანგ, საინტერესოა, ამასთან დაკავშირებით თქვენ ხომ არ გაქვთ რამე ალტერნატიული წინადადება?***

– თუკი საუბარი იქნება ალტერნატიულ ვარიანტებზე, შეიძლება გვემსჯელა საქართველოს უზენაეს სასამართლოში საზედამხედველო კოლეგიის შექმნაზე, რომელიც განახორციელებდა იმ უფლებამოსილებებს, რაც გათვალისწინებულია კანონპროექტით „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი კომისიის შესახებ“. ამგვარი მიდგომა გაცილებით უფრო პროდუქტიული და მისაღები იქნებოდა როგორც სამართლებრივი, ასევე ორგანიზაციული თვალსაზრისითაც. დრო არ ითმენს და საზოგადოება მოუთმენლად ელის მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შექმნას. ხოლო თუ რა სახით იქნება ის წარმოდგენილი, მეტად მნიშვნელოვანია როგორც ქართველი საზოგადოებისათვის, ასევე საერთაშორისო არენაზე ქვეყნის იმიჯის განმტკიცებისათვის. საბოლოო ჯამში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ ფორმას, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის ხელისუფლების დანაწილების პრინციპსა და კანონის უზენაესობას. ჩვენი აზრით, ეს იქნება მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისია თუ საქართველოს უზენაეს სასამართლოში შექმნილი საზედამხედველო კოლეგია, ნებისმიერ შემთხვევაში ეს უნდა იყოს ეფექტიანი საჯარო ინსტიტუცია როგორც მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღსადგენად, ისე მართლმსაჯულების სისტემური ხარვეზების აღმოფხვრისა და პრევენციის თვალსაზრისით.

## სახალხო დამცველი მთავარ პროკურორს მიმართავს

საქართველოს სახალხო მიმართა მთავარ პროკურორს მიმართავს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ბრალდებულ ბ.კ-ს მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყოს.

ომბუდსმენის აპარატის ინფორმაციით, სახალხო დამცველის რწმუნებულებთან საუბარში ბრალდებულმა ბ.კ-მ განმარტა, რომ 2013 წლის 2 დეკემბერს დილის 6 საათზე მეგობართან ერთად თბილისში მიემგზავრებოდა, რა დროსაც ქუთაისში, ი.ჭავჭავაძის ქუჩაზე მოძრავ სამარშრუტო ტაქსს გადაეღობა ორი ავტომობილი, საიდანაც გადმოვიდნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები (ერთ-ერთი იყო უბნის რწმუნებული) და მოთხოვეს მას და მის მეგობარს სამარშრუტო ტაქსიდან გადასვლა. მათ არ განუმარტეს, რის საფუძველზე აკავებდნენ, იძულებით გადაიყვანეს სამარშრუტო ტაქსიდან და ცალ-ცალკე ჩასვეს ავტომანქანებში. დაკავებულები გადაიყვანეს შსს-ს ქუთაისის საქალაქო სამმართველოში, სადაც შეიყვანეს სხვადასხვა ოთახებში, არ მისცეს არც ოჯახის წევრებთან და არც ადვოკატთან დაკავშირების შესაძლებლობა.

ბ.კ-მ შეხვედრისას აღნიშნა, რომ სამმართველოს შენობაში იმყოფებოდა თითქმის 24 საათის განმავლობაში და მთელი ამ პერიოდის მანძილზე მასზე ხორციელდებოდა როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ზეწოლა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან. ბ.კ-მ განმარტა, რომ მის ცემაში მონაწილეობდა პოლიციის 5-6 თანამშრომელი რომლებიც მას ღირსების შემლახავი მეთოდებით აიძულებდნენ ეღიარებინა ქუთაისში, ი.ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი ლომბარდის გაქურდვის ფაქტი. აღნიშნულს დაკავებული დათანხმდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიიღო დაპირება, რომ მის მეგობარს – ზ.ზ-ს გაათავისუფლებდნენ. ზ.ზ მისი აღიარებითი ჩვენების სანაცვლოდ, მოგვიანებით მართლაც გაათავისუფლეს.

ომბუდსმენის აპარატის ინფორმაციით, საქმესთან დაკავშირებით შესწავლილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ბ.კ-ს ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში მიყვანის დროს მართლაც აღენიშნებოდა დაზიანებები. ბ.კ-ს მიმართ განხორციელებულ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტებს ადასტურებს მისი მეგობარი ზ.ზ-ც.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ქმედებები შესაძლოა, შეიცავდეს სქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს, რის გამოც წინადადებით მიმართავს მთავარ პროკურორს დაიწყოს გამოძიება აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით.

მედიანიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საგრძნობია და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

# ავთანდილ ვარსიმაშვილი თურქეთში წავიდა

ეკა ირემაშვილი

**რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი თურქეთში წავიდა. რეჟისორი სტამბოლში „თავისუფალი თეატრის“ დასთან ერთად იმყოფება, სადაც სპექტაკლებს მართავს. ერთკვირიან გასტროლებზე მსახიობები წარმოადგენენ ავთანდილ ვარსიმაშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლ „მექანიკურ ფორთოხალს“, რომლის პრემიერაც სამი წლის წინ შედგა. სპექტაკლი რეჟისორმა ენტონი ბერჯესის რომანის მიხედვით დადგა და პიესაზეც თავად იმუშავა. წარმოდგენის მხატვარია მირიან შველიძე, კოსტიუმების მხატვარი – ნათია ფრუიძე. „მექანიკურ ფორთოხალში“ მონაწილეობენ „თავისუფალი თეატრის“ მსახიობები აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, ლაშა გურგენიძე, სლავა ნათენაძე, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი და მაშო მელქაძე.**



როგორც „ახალ თაობას“ „თავისუფალ თეატრში“ განუცხადეს, „თავისუფალი თეატრის“ დასი სპექტაკლების თურქეთის უდიდეს ქალაქ სტამბოლში ითამაშებს და სამშობლოში 20 მარტს დაბრუნდება.

20 მარტს თბილისის კინოთეატრებში ავთანდილ ვარსიმაშვილის შვილის გიორგი ვარსიმაშვილის ფილმი გამოდის. „პარიზული ოცნება“ – ასე ჰქვია ფილმს, რომელიც ვარს-სტუდიოს ნამუშევარია. გიორგი ვარსიმაშვილი პარიზში სწავლობს, ამიტომ თავისი პირველი ფილმიც პარიზში შექმნა. რეჟისურის გარდა, გიორგი ვარსიმაშვილმა ფილმის მუსიკალურ მხარეზეც იზრუნა.

– ფილმი გამოვა კინოთეატრ „რუსთაველში“ 20 მარტს და 26 მარტამდე იქნება გაქირავებაში. ფილმი დღეში სამჯერ იქნება წარმოდგენილი. ბილეთის ფასი 7, 8 და 11 ლარია. ფილმის ნახვის შემდეგ ველით გამოხმაურებებს და ყველანაირ შთაბეჭდილებებს, თუნდაც უარყოფითს, – აცხადებს ფილმის ავტორი.

31 მარტს ავთანდილ ვარსიმაშვილი „თავისუფალი თეატრის“ 13 წლის იუბილეს თეატრის გულშემატკივრებთან ერთად იზეიმებს. თეატრი არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ის კერძოა და ეკუთვნის რეჟისორ ავთო ვარსიმაშვილს.

– ეს არის თეატრი, რომელიც მხოლოდ სიმართლესა და დღესასწაულს სთავაზობს თავის მაყურებელს. „თავისუფალ თეატრს“ 31 მარტს 13 წელი შეუსრულდება. ეს ბევრიცაა და ცოტაც. დღიდან დაარსებისა, „თავისუფალი თეატრი“ ინარჩუნებს ქართველი ახალგაზრდობის ყველაზე საყვარელი თეატრის სტატუსს, მისი სპექტაკლები არავის ტოვებს გულგრილს. „თავისუფალი თეატრი“ პოპულარულია არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს ყველა ქალაქში, საკმარისია, ნებისმიერ ქალაქში დაკიდო ერთი აფიშა, რომელიც იუწყება, რომ აქ მალე გამართავს წარმოდგენას „თავისუფალი თეატრი“ და ბილეთები უმალვე ქრება სალაროებიდან. „თავისუფალი თეატრი“ უყვარს მაყურებელს, რადგან მის სპექტაკლებში ქართველი ახალგაზრდობა მუდამ ხედავს თავის სათქმელს. „თავისუფალი თეატრის“ შენობას აქვს გემის, როგორც თავისუფლების სიმბოლოს ფორმა. „თავისუფალმა თეატრმა“ მოახერხა და პირველივე სპექტაკლებიდან ჩამოყალიბდა როგორც სოციალურ-პოლიტიკური თეატრი და ქართველმა ახალგაზრდობამ შეიყვარა ის თავისი მოქალაქეობრივი მრწამსის გამო, იმ პერიოდში ეს იყო ერთადერთი ქართული თეატრი, რომელიც თავის სპექტაკლებში ღიად დაუპირისპირდა იმ დროინდელ ჩამყაყებულ იდეოლოგიას და სწორედ ამიტომ „თავისუფალი თეატრი“ არა ერთხელ გახდა ხელისუფლების მხრიდან თავდასხმის ობიექტი, 2002 წლის თებერვალში პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით მთავრობის სპეციალური სხდომაც კი მიეძღვნა „თავისუფალი თეატრის“ დახურვის საკითხს, მაგრამ ქართველ ახალგაზრდებში მღელვარების გამოწვევის შიშით საკითხი გადაიდო. მიუხედავად იმისა, რომ თეატრი ცხოვრობს თვითდაფინანსებით, მას უკვე ჰყავს თავისი დასი და, ამის გარდა, მუდმივად ასაქმებს 50-მდე მსახიობს. საზოგადოება უკვე იცნობს „თავისუფალი თეატრის“ სახეებს: აპოლონ კუბლაშვილს, კახა მიქიაშვილს, მარიამ ჯოლოგუას, ბუბა გოგორიშვილს, კახა მიქიაშვილს, თიკო კორძაძეს, ჯაბა კილაძეს, სლავა ნათენაძეს, გოგა ბარბაქაძეს, მაია დობორჯგინიძეს, მამუკა მუმლაძეს, ქეთა ლორთქიფანიძეს, მიხეილ არჯევანიძეს, სანდრო მარგალიტაშვილს, თამუნა ნიკოლაძეს, გიორგი ჯიქიას, ვანო ქურასბედიანს, მარიამ ნადირაძეს, სალომე ჭულუხაძეს. ამ თეატრის სცენაზე სხვადასხვა სპექტაკლებში თამაშობდნენ და თამაშობენ ქართული თეატრის ცნობილი მსახიობები გურამ საღარაძე, ჯემალ ღაღანიძე, თათული დოლიძე, მარინე ჯანაშია, ირინა მეღვინეთუხუცესი, რამაზ იოსელიანი, დიმა ჯაიანი, ევა ხუტუნაშვილი, ვანო იანტბელიძე. „თავისუფალ თეატრმა“ ამ წლების მანძილზე ბევრ სიხარულთან ერთად დიდი ტკივილიც ნახა, სწორედ „თავისუფალი თეატრის“ სცენაზე დაიბადა და ცხრა წლის მანძილზე ამ თეატრის პირველი ვარსკვლავი იყო არაჩვეულებრივი მსახიობი და პოეტი ნიკო გომელაური. „თავისუფალის“ სცენაზე ითამაშა თავისი ბოლო როლები შესანიშნავმა მსახიობმა მიშა ჯოჯუამ. „თავისუფალი თეატრის“ სპექტაკლებს დღიდან დაარსებისა ყოველთვის ჰყავს მაყურებელი. ის, ორშაბათის გარდა, თითქმის ყოველდღე თამაშობს სპექტაკლებს. ეს თეატრი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული თეატრია. ის, ალბათ, ერთადერთი თეატრია, სადაც სპექტაკლებამდე ორი-სამი კვირით ადრე იყიდება ბილეთები. „თავისუფალმა თეატრმა“ სპექტაკლები უჩვენა საქართველოს ყველა კუთხეში. ის იყო პირველი თეატრი, რომელმაც მოახერხა და 2004 წელს უჩვენა სპექტაკლები მაყურებელს კონფლიქტის ზონაში ცხინვალის რეგიონში. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ „თავისუფალი თეატრის“ მსახიობებით დაკომპლექტდა ყველაზე პოპულარული ტელესერიალები „შუა ქალაქში“ და „გოგონა გარეუბნიდან“. არც ისაა შემთხვევითი, რომ სწორედ ამ თეატრის ბაზაზე შეიქმნა კინოსტუდია, რომელზეც გადაღებულ იქნა მხატვრული ფილმები „იდიოტოკრატია“, „ყველაფერი კარგად იქნება“. „მიდი, ძმაო, მიდი“, „ისპაჰან – ბათუმი“. მიუხედავად იმისა, რომ თეატრი დღესაც არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, იგი მადლიერია ქალაქ თბილისის მერიის კულტურის სამსახურის, რადგან რამდენჯერმე მიიღო მათგან სპექტაკლების ერთჯერადი დაფინანსება და საგასტროლო გრანტები. 2012 წლიდან „თავისუფალი თეატრის“ მსახიობები იღებენ ფინანსურ დახმარებას ფონდ „ქართუ“-დან. მრავალფეროვანია და შთამბეჭდავია ამ თეატრის საგასტროლო – საფესტივალო რუკა. ის არაერთხელ იყო სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ჩვენმა თეატრმა წარმოადგინა თავისი სპექტაკლები და მიიღო იქ ყველაზე მაღალი შეფასებები. ბოლო წლებში დადგმულმა სპექტაკლებმა კი ერთიორად გაზარდეს თეატრის პოპულარობა და ჩააყენეს ის არა მარტო ქართული, არამედ ევროპის საუკეთესო თეატრების რიგში. „თავისუფალი თეატრი“ კვლავაც ერთგულია იმ დევიზისა, რომლის დეკლარირება 13 წლის წინ მოახდინა – „თეატრი, რომელიც მხოლოდ სიმართლესა და დღესასწაულს სთავაზობს თავის მაყურებელს“, – ამბობს თეატრის დამაარსებელი ავთანდილ ვარსიმაშვილი.

# „რეგიონ ოპერა“ გასტროლებს იწყებს

ეკა ირემაშვილი

„რეგიონ ოპერა“, რომელიც საქართველოს რეგიონებისთვის შეიქმნა, გასტროლებს იწყებს. როგორც მისი წარმომადგენელი ზურაბ ბუხრაძე ამბობს, გასტროლები გორიდან დაიწყება და მთელ საქართველოს მოიცავს.

საოპერო მომღერალი ზურაბ ბუხრაძე არ მალავს, რომ ამ თეატრისადმი მხარდაჭერა საკმაოდ მცირეა, თუმცა მისი შემოქმედებითი ჯგუფი არ აპირებს გაჩერებას და თავის პროექტებს აუცილებლად განახორციელებს.

**ზურაბ ბუხრაძე, საოპერო მომღერალი:**

– „რეგიონ ოპერა“ სწორედ იმისთვის შეიქმნა, რომ საქართველოს რეგიონებში ჩავიდეს. ჩვენი ოპერა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აკურთხა და პირობა ჩამოგვართვა, რომ მთელ საქართველოს მოვივლიდით, მათ შორის მთიან რეგიონებსაც ვეწვეოდით და, აი, ჩვენი თეატრი იწყებს გასტროლებს საქართველოში. ამჟამად „რეგიონ ოპერა“ დიდ სამზადისშია. 25 მარტს პირველი გასტროლები გვაქვს გორში. რეპეტიციები აქტიურად მიდის. გადავწყვიტეთ, ფალიაშვილის „დაისი“ წავიღოთ საქართველოს რეგიონებში. ყველასთან ჩავალთ და ვაჩვენებთ ჩვენს შემოქმედებას. ჩვენს თეატრს „რეგიონ ოპერა“ ჰქვია, ამიტომ უნდა გავამართლოთ ჩვენი სახელწოდება. გორში საკონცერტო შესრულებით გავუშვებთ „დაისს“, მე და თეა სუბელიანი ჩავალთ აქედან, დანარჩენი ადგილობრივი მომღერლები შემოგვიერთდებიან. სოფელი მაქვს იქ და წარმოშობით, რომ იტყვიან, იქიდან ვარ, ამიტომ გორი ძალიან მიყვარს. ჩვენს სპექტაკლში, სადაც არის ცეკვები და საგუნდო ნაწილები, იქ მიდის გუნდის ფონოგრამა. ეს არის პირველი ექსპერიმენტი, რომელიც გორელმა მაყურებელმა უნდა ნახოს. ჩვენს საღამოზე უნდა მოვიდეს ხალხი, ვინც მოგვისმენს და შეგვაფასებს.




***– რატომ გორი?***

– ამას თავისი მიზეზი აქვს. ჩვენ უნდა დავდგათ ეს სპექტაკლი უკვე როგორც სანახაობა გორის ციხის ქვეშ, ამისთვის ყველაფერი გაკეთებულია. ამ ადგილას სპექტაკლის დადგმა სრულიად სიმბოლურია, რადგან ის გზა პირდაპირ უყურებს ცხინვალის გზას.

***– როდის გეგმავთ სპექტაკლის გორის ციხეზე დადგმას?***

– ამ ზაფხულს. იმიტომ გვინდა ის ხალხი, ვინც ფინანსურად მხარში ამოგვიდგება, ახლა მოვლენ გორში ჩვენს სპექტაკლზე. ამაში დიდი დამსახურება აქვს საქართველოს სახალხო არტისტს, „ოქროს ნიღბის“ მფლობელს, პროფესორ ანზორ შომახიას. ის ჩვენთან ერთად არის, თვითონაც „რეგიონ ოპერაშია“, როგორც მთავარი კონსულტანტი და ყველანაირად გვეხმარება. ჩვენი შემდეგი პროექტები იქნება ორკესტრთან ერთად და იქნება, როგორც სრულყოფილი სპექტაკლი. „რეგიონ ოპერას“ საგასტროლო ტურნე იწყება გორიდან და ამას სიმბოლური დატვირთვა აქვს, რადგან 2008 წელმა მას სიმბოლური დატვირთვა მისცა. „დაისი“ – ეს არის პატრიოტული ოპერა, რომელიც გვინდა მივუძღვნათ დეოკუპაციას, ქართველი ხალხის სულის გამოღვიძებას. ასე გვესმის ჩვენ „დაისის“ მნიშვნელობა.

***– გასტროლები საქართველოს რეგიონებში მხოლოდ იდეის დონეზეა?***

– არა, უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია. ჩვენ ჩავალთ თელავში, მცხეთაში, გორში, ქუთაისში, ფოთში, ზუგდიდში, ბათუმში. ბათუმის ოპერაში 10 წელი ვმუშაობდი. როცა დაიშალა და დახურეს დედაქალაქის მესვეურებმა, შემდეგ უკვე ჩვენ თვითონ დავადექით ჩვენს გზას. ახლა ბათუმში გასტროლიორის სტატუსით ჩავალ.

***– რეგიონებში გასტროლების ორგანიზებაში კულტურის სამინისტრო გეხმარებათ?***

– დაგვეხმარა დათო ოქიტაშვილი და საქართველოს კულტურის პალატა, ასევე რეგიონული სამინისტრო.

***– კულტურის სამინისტრო?***

– როგორც ყოველთვის, კიდევ ერთხელ, არა. ჩვენ გვეგონა, რომ „რეგიონ ოპერით“ დაინტერესდებოდა ხელისუფლება, მაგრამ ასე არ მოხდა. არ ვიცი, რამ და როგორ განაპირობა ეს ყველაფერი, მაგრამ, ალბათ, ჩვენმა აქტიურობამ და მეგობრების თანადგომამ გამოიწვია ის, რომ მივიტანეთ ეს ამბავი ჯერ თბილისის მთავრობამდე, თბილისის საკრებულომდე და, ვნახოთ, რა იქნება.

***– თქვენი იდეა კულტურის სამინისტროში რომ მიგეტანათ?***

– კულტურის სამინისტროში 4-5 ჯერ შევხვდი მინისტრს. ან ძალიან გულმავიწყი კაცია, ან არ აინტერესებს ეს ამბავი. მინისტრმა იცის ჩვენი „რეგიონ ოპერას“ შესახებ, ხუთჯერ ვიყავი, პირადი ტელეფონიც მქონდა და ვრეკავდი სულ, რამდენჯერ კონცერტი გავაკეთეთ, დავპატიჟეთ, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოვიდა და არც არავინ გამოუგზავნია. მერე უკვე შევეშვით ურთიერთობას მასთან, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს აზრი არ ჰქონდა ამ ყველაფერს.

გაგრძელება მე-11 გვერდზე



**წლის და 9 თვის ელისაბედ დარჩიას სასწრაფოდ ესაჭიროება გადაუდებელი მკურნალობა საზღვარგარეთ, შესაძლოა დასჭირდეს განმეორებითი ოპერაციაც. გოგონა დაიბადა შინაგანი ჰიდროცეფალიის დიაგნოზით, ჩატარებული აქვს თავის ტვინის შუნტირება, რამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ელისაბედს ჰყავს სრულიად ჯანმრთელი ტყუპისცალი ძმა. უმორჩილესად გთხოვთ, თუნდაც მცირედით დავეხმაროთ პატარა ელისაბედს:**

**თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია „ლიბერთი ბანკის“ ანგარიშზე: GE95LB0711154286819 40**

**☎ 577-544-222, 598-204-570**

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექიმი ქ-ნი სალომე.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულსარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

# პიტერ შმეიხელი: ფერგიუსონი 3-4 წლის გეგმას სახავდა“

**ფეხბურთის მოყვარულებს კარგად უნდა ახსოვდეთ მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე პიტერ შმეიხელი. დანიელი დიდი ხნის მანძილზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში თამაშობდა და ამჟამად კლუბის საფეხბურთო ელჩია.**

**მისი ინტერვიუ ბრიტანულ მედიაში გამოქვეყნდა, სადაც გუნდის მთავარ მწვრთნელ დევიდ მოიესს მხარდაჭერას უცხადებს, მომავალ ზაფხულს კი „იუნაიტედის“ შემადგენლობა საგრძნობლად შეიცვლება. არადა, მანჩესტერულ კლუბს ახლა ცუდი დროება უდგას.**



***– „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დევიდ მოიესის დანიშვნამ რამდენად გაამართლა?***

– ვფიქრობ, მოიესი კარგი არჩევანია. ჯერ კიდევ „ევერტონში“ მუშაობისას შოტლანდიელმა სპეციალისტმა დაამტკიცა, რომ მას სამწვრთნელო ნიჭი აქვს. დევიდს პერსპექტივაზე გათვლილი მუშაობა შეუძლია და კლუბის ხელმძღვანელობის სურვილია, მოიესმა „ოლდ ტრაფორდზე“ შეძლებისდაგვარად დიდხანს იმუშაოს.

***– მიმდინარე სეზონში მოიესის საქმიანობაზე რას გვეტყვით?***

– მიმდინარე სეზონი დევიდისთვის მეტად რთული გამოდგა, მაგრამ პლუსებიც საკმარისად გააჩნია. მოიესს საკუთარი თავის და შესაძლებლობების უკეთ შეცნობის საშუალება მიეცა. თუ მან მკაცრ გამოცდებს გაუძლო, სამომავლოდ კიდევ უფრო გამობრძმედილ სპეციალისტად ჩამოყალიბდება.

***– „მანჩესტერმა“ როგორი სატრანსფერო პოლიტიკა უნდა გაატაროს?***

– მომავალ სატრანსფერო ფანჯრის მსვლელობისას გუნდმა რამდენიმე ახალი ფეხბურთელი აუცილებლად უნდა დაიმატოს. ჯერჯერობით კონკრეტული რაოდენობის დასახელებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ არჩევნისას შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს. როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ წევრი ხდები, საკუთარ მხრებზე დიდი ტვირთისთვის მზად უნდა იყო. ყოველთვის ბოლომდე უკომპრომისო ბრძოლა და გუნდისთვის რთულ დღეებშიც კი მაქსიმუმის გამოვლენისკენ სწრაფვაა აუცილებელი. სამწუხაროდ, გუნდის რამდენიმე მოთამაშეს ამ თვისებებს ნაკლებად ვამჩნევ.

***– კონკრეტულად „იუნაიტედის“ რომელი ფეხბურთელებით ხართ უკმაყოფილო?***

– ზაფხულის დასაწყისში კლუბის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, რომელ ფეხბურთელზე შეიძლება დაყრდნობა და რომელზე არა. მომავალი სატრანსფერო ფანჯრის დროს „მანჩესტერს“ ბევრი დატოვებს.

***– „ოლდ ტრაფორდზე“ ფერგიუსონის მრავალწლიან მოღვაწეობას როგორ შეაფასებთ? „იუნაიტედის“ წარმატებები სერ ალექსის დამსახურებაა?***

– ულაპარაკოდ. სერ ალექსი თანამედროვე ფეხბურთში მიმდინარე პროცესებს ყოველთვის ზედმიწევნით ზუსტად გრძნობდა. ფერგიუსონმა კარგად იცოდა, როგორ „გამოეწურა“ თითოეული ფეხბურთელისგან მაქსიმუმი. იგი ყოველთვის წინ იყურებოდა და არა მარტო მომდევნო მატჩზე აკეთებდა გათვლას, არამედ 3-4 სეზონის პერსპექტივასაც სახავდა. კარგად მახსოვს, ერთხელ კერინგტონში მასთან ერთად ვსეირნობდი, გვერდით გუნდის ახალწვეულმა ჩაგვიარა და ფერგიუსონმა მითხრა, ეს ბიჭი 15 თვის შემდეგ „იუნაიტედის“ ძირითად შემადგენლობაში მოიკიდებს ფეხსო. შოტლანდიელი ყველაფერს წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით აკეთებდა, თუმცა, თავად მოთამაშეებს არასდროს უმხელდა ხოლმე სამომავლო პერსპექტივას.

***– თავის დროზე „იუნაიტედის“ კარიც დაგიცავთ და „სიტისაც“. რომელი გუნდისკენ იხრება თქვენი სიმპათია?***

– თხემით ტერფამდე „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივარი ვარ და სიცოცხლის ბოლომდე ოლდ ტრაფორდელთა ქომაგად დავრჩები. კარიერის მიწურულს „სიტიშიც“ ვითამაშე და კევინ კიგანის მადლობელიც ვარ, მაგრამ „იუნაიტედს“ ვერაფერი შემიცვლის.

# აზმაიფარაშვილმა გუნდი მთაწმინდაზე წარადგინა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ზურაბ აზმაიფარაშვილი ევროპის ჭადრაკის ფედერაციის არჩევნებში იყრის კენჭს. ქართველი დიდოსტატის გარდა, პრეზიდენტის სავარძლისთვის ევროპის ჭადრაკის ფედერაციის მოქმედი პრეზიდენტი სილვიო დანაილოვი (ბულგარეთი) იბრძოლებს. პრეზიდენტობის მსურველ კანდიდატთა დარეგისტრირების ვადა 5 მაისს იწურება.



აზმაიფარაშვილმა 2014 წლის ევროპის საჭადრაკო ფედერაციის საარჩევნო კამპანია მთაწმინდის პარკში წარადგინა. აზმაიფარაშვილის საარჩევნო კამპანიის ოფიციალური პლატფორმის წარდგენას სპეციალურად ამ ღონისძიებაზე დასასწრებად ჩამოსული ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი (რუსეთი), ცნობილი მოჭადრაკე იუდით პოლგარი (უნგრეთი), საბერძნეთის და მონაკოს ჭადრაკის ფედრაციის პრეზიდენტები, საქართველოს ექსპრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, ჭადრაკში მსოფლიო 5-გზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, რამდენიმე მისი კოლეგა და სხვა ცნობილი სახეები ესწრებოდნენ.

სანამ უშუალოდ ამ ფაქტზე ვისაუბრებდეთ, მანამდე გვინდა აზმაიფარაშვილის რეგალიები შეგახსენოთ.

საერთაშორისო დიდოსტატი; ევროპის 2003 ჩემპიონი (ერთადერთი ქართველი კონტინენტის ჩემპიონატის გამარჯვებული როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა შორის); ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი; 1983 და 1985 – მსოფლიოს ახლაგაზრდული ჩემპიონატების ორგზის გამარჯვებული; მრავალი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული; 2002-10 – ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი, მსოფლიო ჩემპიონატებისა და ოლიმპიადების კომიტეტის წევრი; 2007-12 – ასეანის ქვეყნების საჭადრაკო აკადემიის სამწვრთნელო პროგრამების მენეჯერი (სინგაპური); 2000-04 – ევროპის საჭადრაკო კავშირის ბორდის წევრი; 1999-2004 – შავი ზღვის საჭადრაკო ასოციაციის დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი; 1998-2004 – საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი და თანაპრეზიდენტი; ღირსების ორდენის კავალერი; სპორტის რაინდი; ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენოსანი; ფიდე-ს უმაღლესი სამწვრთნელო ჯილდოს „ ბოტვინიკის ხე“, მფლობელი.

**ზურაბ აზმაიფარაშვილი:**

– მადლობა ყველას აქ მობრძანებისთვის. მადლობა ჩემი გუნდის წევრებს, რომლებიც ევროპის საჭადრაკო ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩემს გვერდით იქნებიან. მადლობა მედიის წარმომადგენლებს, მადლობა ყველას, ვინც გვერდში დამიდგება. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მომავალი ისტორიის გარეშე ავაშენოთ. ცოტა ხნის წინ მუსირებდა აზრი, რომ ისტორია 2004 წლიდან იწყებოდა, მაგრამ მოვლენების შემდგომმა განვითარებამ სხვა რამ გვიჩვენა.

რაც შეეხება ევროპის საჭადრაკო კავშირის ისტორიას, იგი მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება და ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ამ ისტორიას. ევროპის ჭადრაკის ფედერაციის მუშაობა დღევანდელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. არ აქვს შექმნილი კომისიები ისე, როგორც ფიდეშია. ამიტომ მეტი ხალხი, მეტი ჩართულობაა საჭირო. პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ჩემი ერთ-ერთი პრიორიტეტი მცირე ქვეყნების დახმარება იქნება. სწორი სტრატეგიისთვის ამ ქვეყნებს დახმარება სჭირდებათ. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მედიასტრუქტურის განვითარება. ჭადრაკის კიდევ უფრო განვითარებისთვის ჩვენ და ფიდემ ერთობლივად უნდა ვიზრუნოთ და ვიმუშაოთ. ევროპის ჭადრაკის ფედერაციის ოფისი დასავლეთ, ან ცენტრალურ ევროპაში უნდა იყოს, რადგან ამ რეგიონში სხვებისგან განსხვავებით უფრო დიდი გამოცდილება აქვთ. ამ რეგიონში ასევე დიდია კაპიტალი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჭადრაკის განვითარებისთვის. მე მათხოვრობას არ ვაპირებ. ამიტომ უნდა წარვადგინოთ გეგმა, რისთვისაც დაგვაფინანსებენ. ჩემს გუნდში იქნება ჩემი ყოფილი შეგირდი იუდით პოლგარი. იგი პოლიტიკაში წასვლას არ აპირებს. მე, როგორც პოლიტიკოსი, ყველაფერს გავაკეთებ, რომ იუდით პოლგარი პოლიტიკაში არ შემოვიდეს. ჩემი გუნდის სრული შემადგენლობა მაისამდე გახდება ცნობილი...

**ბიძინა ივანიშვილი:**

– ზურაბი ყველაზე წარმატებული სპორტსმენია ქართველ ვაჟ მოჭადრაკეთა შორის. იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ევროპის ჭადრაკის ფედერაციაშიც წარმატებით გაართმევს თავს მის მოვალეობას...

**კირსან ილუმჟინოვი:**

– ფიდე მსოფლიოს 181 ქვეყანას აერთიანებს. დღეს მნიშვნელოვანი დღეა არა მარტო ზურასთვის, არამედ მთელი საჭადრაკო სამყაროსთვის. აზმაიფარაშვილი საჭადრაკო ცხენივით მოულოდნელ სვლებს აკეთებს ცხოვრებაში. საჭადრაკო ცხენთან ერთად ვჩუქნი ყალმუხურ ცხენს. ზურაბს ადმინისტრაციული მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. იგი არის იმ ქართული საჭადრაკო სამყაროს წარმომადგენელი, რომელსაც სახელი მსოფლიო მრავალგზის ჩემპიონებმა ნონა გაფრინდაშვილმა და მაია ჩიბურდანიძემ გაუთქვეს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ზურაბ აზმაიფარაშვილს და გვჯერა, რომ გაამართლებს...

ევროპის ჭადრაკის ფედერაციის არჩევნები წლეულს, 12 აგვისტოს, ქალაქ ტრომსიოში (ნორვეგია) მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მსვლელობის დროს გაიმართება.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და მინისტრის პირველი მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილი ცნობილ უნგრელ მოჭადრაკეს იუდიტ პოლგარს შეხვდნენ.

შეხვედრას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძეც დაესწრო. მხარეებმა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის საჯარო სკოლებში ჭადრაკის სწავლების და განვითარების შესაძლებლობებზე ისაუბრეს.

## ფეხბურთი

### შედეგები

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვილიარეალი-ბილბაო .................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 28 | 22 | 4 | 2 | 77-26 | 70 |
| 2.ატლეტიკო | 28 | 21 | 4 | 3 | 64-21 | 67 |
| 3.ბარსელონა | 28 | 21 | 3 | 4 | 81-22 | 66 |
| 4.ბილბაო | 28 | 15 | 7 | 6 | 51-32 | 52 |
| 5.სოსიედადი | 28 | 13 | 7 | 8 | 49-39 | 46 |
| 6.ვილიარეალი | 28 | 13 | 6 | 9 | 48-34 | 45 |
| 7.სევილია | 28 | 12 | 8 | 8 | 51-43 | 44 |
| 8.ვალენსია | 28 | 10 | 6 | 12 | 39-39 | 36 |
| 9.ესპანიოლი | 28 | 10 | 6 | 12 | 32-34 | 36 |
| 10.ლევანტე | 28 | 9 | 9 | 10 | 26-35 | 36 |
| 11.სელტა | 28 | 9 | 6 | 13 | 33-39 | 33 |
| 12.გრანადა | 28 | 9 | 4 | 15 | 27-39 | 31 |
| 13.ელჩე | 28 | 7 | 9 | 12 | 24-40 | 30 |
| 14.მალაგა | 28 | 7 | 8 | 13 | 26-36 | 29 |
| 15.ოსასუნა | 28 | 8 | 5 | 15 | 24-48 | 29 |
| 16.რაიო | 28 | 9 | 2 | 17 | 32-62 | 29 |
| 17.ხეტაფე | 28 | 7 | 7 | 14 | 26-45 | 28 |
| 18.ვალიადოლიდი | 28 | 5 | 11 | 12 | 30-48 | 26 |
| 19.ალმერია | 28 | 7 | 5 | 16 | 27-52 | 26 |
| 20.ბეტისი | 28 | 4 | 7 | 17 | 23-56 | 19 |

**იტალია. სერია ა**

ტორინო-ნაპოლი ......................... 0:1

რომა-უდინეზე ............................ 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 28 | 24 | 3 | 1 | 64-19 | 75 |
| 2.რომა | 27 | 18 | 7 | 2 | 52-14 | 61 |
| 3.ნაპოლი | 28 | 17 | 7 | 4 | 53-29 | 58 |
| 4.ფიორენტინა | 28 | 14 | 6 | 8 | 48-31 | 48 |
| 5.ინტერი | 28 | 12 | 11 | 5 | 46-29 | 47 |
| 6.პარმა | 27 | 12 | 10 | 5 | 45-31 | 46 |
| 7.ლაციო | 28 | 11 | 8 | 9 | 36-35 | 41 |
| 8.ვერონა | 28 | 12 | 4 | 12 | 43-46 | 40 |
| 9.ატალანტა | 28 | 11 | 4 | 13 | 31-38 | 37 |
| 10.ტორინო | 28 | 9 | 9 | 10 | 39-36 | 36 |
| 11.მილანი | 28 | 9 | 8 | 11 | 41-42 | 35 |
| 12.ჯენოა | 28 | 9 | 8 | 11 | 31-35 | 35 |
| 13.სამპდორია | 28 | 9 | 7 | 12 | 33-42 | 34 |
| 14.უდინეზე | 25 | 9 | 4 | 15 | 32-42 | 31 |
| 15.კალიარი | 28 | 6 | 11 | 11 | 27-38 | 29 |
| 16.კიევო | 28 | 6 | 6 | 16 | 23-41 | 24 |
| 17.ლივორნო | 28 | 6 | 6 | 16 | 31-51 | 24 |
| 18.ბოლონია | 28 | 4 | 11 | 13 | 23-43 | 23 |
| 19.სასუოლო | 28 | 5 | 6 | 17 | 28-56 | 21 |
| 20.კატანია | 28 | 4 | 8 | 16 | 21-49 | 20 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კაიზერი-კიოლნი ......................... 0:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-არლე ................................ 3:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტომი-კრასნოდარი ....................... 1:1

სპარტაკი-ანჟი ............................. 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-ბურსა ............................ 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანეთოლიკოსი-ქსანთი ................ 1:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბოლესლავი-დუკლა ..................... 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კრაკოვია-აგელონია ..................... 1:0

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-ორხუსი ....................... 1:3

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

ლანუსი-ქილმესი .......................... 1:0

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# საქართველოს ნაკრები თბილისური გრან პრისთვის ემზადება

21-23 მარტს თბილისში ძიუდოს გრან პრი გაიმართება. შეჯიბრებაში 29 ქვეყნის ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. ცნობილია საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების შემადგენლობა.

ტრადიციულად ტურნირის მასპინძელ ქვეყანას განაცხადში თითოეულ წონით კატეგორიაში ოთხი სპორტსმენის შეყვანის უფლება აქვს და ცხადია, საქართველოს ნაკრების თავკაცმა ეს ქვოტა მაქსიმალურად გამოიყენა.

ქართული გუნდი უძლიერესი შემადგენლობით გავა სპორტის სასახლის ტატამზე. გამორჩეულად საინტერესო კი ალბათ 73 კილოგრამია, სადაც ნაკრების გამოცდილ წევრებთან, ევროპირველობის პრიზიორებთან ნუგზარ ტატალაშვილთან და ზებედა რეხვიაშვილთან ერთად ლაშა შავდათუაშვილიც მოირგებს კიმონოს. ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (66 კგ) სწორედ ამ წონაში დასამკვიდრებლად იბრძვის და თითოეულ ტურნირზე აღებულ სარეიტინგო ქულებს მისთვის ოქროს ფასი აქვს.

საქართველოს ნაკრების სრული შემადგენლობა ასეთია:

**კაცები**

60 კგ: ამირან პაპინაშვილი, ლუხუმ ჩხვიმიანი, გიორგი ბროლაშვილი, პაატა მერებაშვილი;

66 კგ: შალვა ქარდავა, ტრისტან ფეიქრიშვილი, გიორგი ქალდანი, გელა კელიხაშვილი;

73 კგ: ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, ფრიდონ გიგანი;

81 კგ: ავთანდილ ჭრიკიშვილი, უშანგი მარგიანი, გიორგი პაპუნაშვილი, ლაშა ზურაბიანი;

90 კგ: ვარლამ ლიპარტელიანი, ზვიად გოგოჭური, პაატა ღვინიაშვილი, ბექა ღვინიაშვილი;

100 კგ: გურამ თუშიშვილი, ალექსანდრე მსხალაძე, ნოდარ მეტრეველი, რევაზ ჩიკოიძე

მძიმე: ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი, როსტომ ხახალეიშვილი, ონისე ბუღაძე

**ქალები**

57კგ: მარიამ ციხელაშვილი, სოფიო ბერიძე, სალომე აბაშიძე;

63კგ: შორენა შარაძე;

70კგ: თეა სუხიტაშვილი, ნინო მარტიაშვილი;

78კგ: ნინო ოძელაშვილი;

მძიმე: ირინე ლეონიძე, ელენე ქებაძე

ეროვნული გუნდი თბილისის გრან პრისათვის დასკვნით მზადებას ბაზალეთის ტბაზე მდებარე სპორტულ კომპლექსში გადის.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა, ძიუდოს ფედერაციის წარმომადგენლებთან და სამინისტროს მასობრივი სპორტის სამმართველოს უფროსთან, ძიუდოს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯთან, ვლადიმერ ნუცუბიძესთან ერთად, საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების სამზადისი მოინახულა.

მზადების პროცესს სრული დატვირთვით გადიან ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუშვილი და ევროპის ჩემპიონები – ამირან პაპინაშვილი და ავთანდილ ჭრიკიშვილი, მცირე ტრავმა აწუხებს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ვარლამ ლიპარტელიანს, რომელსაც პარიზის გრანდ სლემზე ნაღრძობი ფეხი გაუმიზეზდა, თუმცა საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ძიუდოისტი თბილისის გრან პრისათვის მზადებას განაგრძობს.

თბილისის გრან პრიზე, რომლის საპრიზო ფონდი 100.000 დოლარია, მედლები მამაკაცთა და ქალთა შორის 7-7 წონით გათამაშდება. ტურნირი სპორტის სასახლეში 21 მარტს გაიხსნება, გრან პრიზე დასასწრებად საქართველოში ჩამოვა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი – მარიუს ვიზერი სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად.

თბილისის გრან პრის ორგანიზატორები არიან – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ძიუდოს ფედერაცია, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციასთან ერთად, ტურნირის მხარდამჭერია თბილისის მერია, ტურნირის საორგანიზაციო ჯგუფში ჩართულია სპორტული ღონისძიებების საორგანიზაციო კომპანია – „ფორ სპორტი“.

გრან პრის სპონსორები ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის სპონსორებთან ერთად არიან წყალი „სნო“ და ლუდსახარში „ზედაზენი“. თბილისის გრან პრის პირდაპირი ტრანსლაცია სამივე დღის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე და ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ინტერნეტტელევიზიით გადაიცემა.

# პუტინმა ყირიმის ანექსია დაიწყო

## რუსეთი ვერაფერს მიაღწევს, მხოლოდ პრობლემები მოემატება, — აცხადებს ამერიკის პრეზიდენტი

– ვლადიმერ პუტინმა მოიწონა პროექტი, რომელიც ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში მიღებას ითვალისწინებს, – იტყობინება ტელე-კომპანია „ინტერი“.

18 მარტს პუტინმა რუსეთის პარლამენტში სიტყვა წარმოთქვა. პუტინმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში ბოლშევიკებმა უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას თურმე ძირძველი რუსული მიწები გადასცეს, კერძოდ, დონბასი, ოდესის მხარე, ხერსონი, ხარკოვშჩინა, დნეპროპეტროვშჩინა.

– როგორც ჩანს, პუტინი სკოლაში ცუდად სწავლობდა. თვით საბჭოთა სკოლებშიც კი ასწავლიდნენ, რომ დონბასი, ხარკოვშჩინა, ოდესის მხარე, ხერსონი უკრაინის სახალხო რესპუბლიკის შემადგენლობაში იყვნენ, ლენინმა კი უკრაინა ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო, – ასეთი იყო მემარჯვენე სექტორის ლიდერის დმიტრო იაროშის კომენტარი.

ყირიმის საკითხზე პუტინი დეტალურად შეჩერდა და აღნიშნა, რომ ხრუშჩოვმა თავის დროზე ნახევარკუნძული უკრაინას უკანონოდ გადასცა.

– მაშინ ბევრი ამას ფორმალობად მიიჩნევდა. იმხანად ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რუსეთი და უკრაინა ოდესმე ცალ-ცალკე სახელმწიფოები იქნებოდნენ, – განაცხადა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტმა დეტალურად მიმოიხილა პროცესები, რამაც საბჭოთა კავშირის დაშლა და დსთ-ს შექმნა გამოიწვია.

– ბელოვეჟის ტევრში მიღწეული შეთანხმების შედეგად უნდა შენარჩუნებულიყო ერთიანი არმია, ვალუტა, სამართლებრივი სივრცე, მაგრამ ეს არ მოხდა. რუსეთი მოატყუეს და გაძარცვეს, – განაცხადა პუტინმა.

ამრიგად, ყირიმის ანექსიას მწვანე შუქი ოფიციალურად აენთო.

### აშშ–ს რეაქცია

– სამწუხაროდ, რუსეთმა ხისტი გზა აირჩია. ძალიან ვწუხვარ, რადგანაც ვერაფერს მიაღწევს, მხოლოდ იზოლაციაში მოექცევა და პრობლემები მოემატება, – განაცხადა პრეზიდენტმა ობამამ.

აშშ-მ, როგორც ცნობილია, უკვე შემოიღო სანქციები იმ თერთმეტი რუსი და უკრაინელი მაღალჩინოსნის მიმართ, რომლებიც სუვერენული უკრაინის წინააღმდეგ აგრესიაში მონაწილეობდნენ. თუმცა, ამერიკელთა უმრავლესობის აზრით, ეს საკმარისი არაა. ყველაზე კატეგორიული ტრადიციულად სენატორი მაკკეინია.

– მხოლოდ სანქციებით რუსეთის შეჩერება შეუძლებელია! რაკი პუტინი ქუჩის ხულიგანივით იქცევა, სათანადოდაც უნდა მოეპყრან, – თვლის მაკკეინი.

სენატორმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ობამას ადმინისტრაციის მოქმედებით იმედგაცრუებულია. კრემლის დღევანდელი მოქმედება სხვა არაფერია, თუ არა ყაჩაღობა. ყაჩაღს კი შესაბამისი მოპყრობა სჭირდება.

– საამისოდ სანქციები საკმარისი არაა! პირიქით, როდესაც ასეთ არასაკმარის ღონისძიებას მიმართავენ, უნებლიეთ ვრწმუნდები, რომ ობამა სუსტია, – განაცხადა მაკკეინმა.

ამერიკელი პოლიტიკოსის აზრით, აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობები ძირეულად გადაისინჯოს. მოსკოვის მიმართ უნდა გატარდეს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თუ დიპლომატიური ზომები. სანქციები პრეზიდენტ პუტინზეც უნდა გავრცელდეს.

– ობამა აცხადებს, რომ დაისჯება ყველა, ვინც უკრაინისადმი განხორციელებული აგრესიის ორგანიზატორია! გეკითხებით, პუტინი ვინაა? – ამბობს მაკკეინი.

ნაკლებ კატეგორიულია „ფრიდონ ჰაუსის“ ლიდერი დევიდ კრემერი. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ ობამას ადმინისტრაციის მიერ გატარებული ღონისძიებები მხოლოდ პირველი ნაბიჯებია, რასაც სერიოზული ზომები აუცილებლად მოყვება.

– დარწმუნებული ვარ, რომ სანქციები პუტინზეც გავრცელდება, – ამბობს კრემერი.

თანახმად უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვისა, ამერიკელთა 72 პროცენტი მიიჩნევს, რომ ობამას ადმინისტრაცია რუსეთის მიმართ არასაკმარისად მკაცრია. ამერიკელი საზოგადოება მხარს უჭერს რუსეთის მიმართ ფართომასშტაბიანი ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო ზომების გატარებას. ექსპერტებიც ერთსულოვნად აცხადებენ, რომ აშშ-ს მიერ სანქციები გამკაცრდება და ისინი უშუალოდ ვლადიმერ პუტინზეც გავრცელდება.

### ევროპელთა რეაქცია

– უკრაინელი ერით გულწრფელად აღფრთოვანებული ვარ! ჩემი აზრით, ეს ქვეყანა, რაც შეიძლება სწრაფად ევროკავშირის წევრი უნდა გახდეს, – განაცხადა ევროკომისარმა შტეფან ფიოლემ.

ევროკავშირის ქვეყნებმა რუსული აგრესია ერთსულოვნად დაგმეს. რუსი ჩინოვნიკებისა და ყირიმელი სეპარატისტების ლიდერთა მიმართ უკვე შემოღებულია პირველი სანქციები, დაყადაღებულია მათი საბანკო ანგარიშები, ამ მოღვაწეებს აეკრძალათ ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლა, თუმცა ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია.

– ისინი სიმბოლურ ხასიათს ატარებენ, მაგრამ აშშ-სგან განსხვავებით, ევროპაში რუსეთთან დაკავშირებით საბრძოლო შემართება არ შეინიშნება, – თვლის ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

მართლაც, ევროპაში ბევრი გამოთქვამს სინანულს, რომ იძულებულნი არიან მოსკოვის მიმართ ხისტი პოლიტიკა გაატარონ. გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ ლაშეტმა „დოიჩე ველესთან“ საუბარში არ დამალა, რომ რუსეთთან ურთიერთობების გაუარესებით შეშფოთებულია.

– კრემლის უპასუხისმგებლო აგრესიულმა პოლიტიკამ განაპირობა ის, რომ დღეს ევროპაში ანტიპუტინური პოპულიზმი გავრცელდა. სამწუხაროდ, არავინ ფიქრობს იმაზე, თუ რა დაუჯდება გერმანიას რუსეთთან ურთიერთობების გაფუჭება!

ლაშეტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გერმანული ეკონომიკა რუსულ ენერგომატარებლებსა და ინვესტიციებზე ძლიერაა დამოკიდებული. „სანქციების შემოღება ამ კავშირების გაწყვეტას გამოიწვევს, რაც ჩვენს ქვეყანას მძიმე პრობლემებს შეუქმნის“, – განაცხადა ბატონმა ლაშეტმა. ამავე დროს მან თქვა, რომ შექმნილი მდგომარეობა გერმანიას ენერგიის ალტერნატიული წყაროების მოძიებისაკენ უბიძგებს.

– თუმცა, ეს არცთუ კარგი ვარიანტია. მე ვისურვებდი, რათა რუსეთთან ურთიერთობები დალაგდეს, – აღნიშნა მან.

ლაშეტის აზრით, გერმანელმა პოლიტიკოსებმა პუტინის ცალმხრივი კრიტიკისაგან თავი უნდა შეიკავონ. მისი აზრით, დღეს მშვიდი მოქმედებაა აუცილებელი, რათა რუსეთთან შეხების წერტილები გამოიძებნოს. აღსანიშნავია ბუნდესტაგის დეპუტატის, პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის წევრის, კურტ-გეორგ ვილმანის პოზიცია. „დოიჩე ველესთან“ საუბარში მან განაცხადა, რომ დასავლეთმა იმთავითვე შეცდომა დაუშვა, როცა უკრაინელები არჩევანის წინაშე დააყენა, ან ევროკავშირი, ან საბაჟო კავშირი. მისი აზრით, ვიქტორ იანუკოვიჩის პოლიტიკა ბევრ რამეში სწორი იყო.

– უკრაინის ექსპრეზიდენტის გამართლება შეუძლებელია. მან საკუთარ ხალხს ესროლა. ის ქვეყნიდანაც სრულიად სამართლიანად გააძევეს, მაგრამ ვიყოთ სამართლიანები. განა მოვლენები ამ სცენარით განვითარდებოდნენ, დასავლეთს მეტი ელასტიურობა რომ გამოეჩინა? იანუკოვიჩი რუსეთ-ევროკავშირს შორის ლავირებდა. ის ცდილობდა ოქროს შუალედი გამოეძებნა, რაც ევროპის, უწინარეს ყოვლისა კი, გერმანიის ინტერესებშია! ჩვენ რომ თავის დროზე უკრაინის მიმართ კონკრეტული სტრატეგია შეგვემუშავებინა, ალბათ არც დღევანდელი ვითარება შეიქმნებოდა! – ამბობს ველმანი.

კომენტარები აქ, რა თქმა უნდა, ზედმეტია. ბატონ ველმანთან დისკუსიას არ ვაპირებთ, თუმცა მისი სიტყვები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ევროპა კვლავაც არაერთგვაროვანია.

### ანდრეი ილარიონოვი: პუტინს მხოლოდ სანქციებით ვერ შეაჩერებენ!

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი ექსპერტების უდიდეს ყურადღებას იწვევს. ამ მხრივ საინტერესოა პუტინის ყოფილი თანაშემწის, ანდრეი ილარიონოვის მოსაზრება. გაზეთ „უკრაინსკა პრავდასთან“ საუბარში მან განაცხადა:




– პუტინთან წლების განმავლობაში ვმუშაობდი, ამიტომ ძალიან კარგად ვიცნობ. ვლადიმერ ვლადიმიროვიჩისათვის მხოლოდ ერთადერთი არგუმენტი არსებობს: ძალა. ამავე დროს პუტინი არ არის ფანატიკოსი, ის რეალისტია და თუკი დარწმუნდა, რომ შესაძლოა სერიოზული ჩხუბი დაიწყოს, უკან დაიხევს!

ილარიონოვის აზრით, პუტინს იმპერიის აღდგენის გეგმა კარგა ხანია მომზადებული ჰქონდა. უკრაინა მას ყელში ძვალივით ეჩხირებოდა. ცხადი იყო, რომ ეს ქვეყანა მის ე.წ. „ინტეგრაციულ სქემაში“ არ ჩაჯდებოდა. კრემლმაც უკრაინის დასჯა განიზრახა. პროგრამა მაქსიმუმი უკრაინის მთელს ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენა იყო. პროგრამა მინიმუმი – უკრაინის დაშლა.

– დღეს პუტინის მიზანია: 1) უკრაინის ფედერალიზაცია, მისი განიარაღება და დასავლეთისაგან ჩამოშორება; 2) უკრაინის დაშლა. ყირიმის ანექსიით ეს პროცესი დაიწყო. ახლა პუტინი ოდესისა და ხერსონის ოლქებზე მიიტანს იერიშს, შემდეგ დნესტრისპირეთის ჯერი დადგება, – თვლის რუსი ექსპერტი.

ილარიონოვის აზრით, მხოლოდ სანქციებით პუტინის შეჩერება შეუძლებელია. რუსეთის პრეზიდენტი ჩიხში უნდა მოექცეს. სანქციებს რუსეთის სრული დიპლომატიური იზოლაცია უნდა მოჰყვეს, ყოველივე კი უკრაინელი ერის შეიარაღებულმა წინააღმდეგობამ დააგვირგვინოს.

– დღევანდელი რუსეთი ომისათვის არც ფიზიკურად, არც სულიერად მზად არაა! როგორც კი პირველი რუსი ჯარისკაცი მოკვდება, საზოგადოება მშვიდობის დამყარებას მოითხოვს. პუტინიც უკან მხოლოდ მაშინ დაიხევს, – ამბობს ილარიონოვი.

რუსი სპეციალისტი უახლოესი წარსულის მოვლენების დეტალურ ანალიზს აკეთებს. „უკრაინსკა პრავდასთან“ საუბარში მან მიმდინარე წლის თებერვლის მოვლენებიც გაიხსენა, რასაც იანუკოვიჩის დამხობა მოჰყვა.

დასავლეთი მაშინაც ყოყმანობდა. ამან იანუკოვიჩი გაათავხედა. პრეზიდენტმაც მოსახლეობის წინააღმდეგ არმიის გამოყვანა ბრძანა. ყველაფერი უკრაინელთა სიმამაცემ გადაწყვიტა. ბელორუსებისაგან განსხვავებით, უკრაინელებმა მოძალადეებს წინააღმდეგობა გაუწიეს. ჯარიც ხალხის მხარეს გადავიდა. გადამწყვეტი სწორედ უკრაინელი ერის დარაზმულობა და ბრძოლისუნარიანობა იყო, – ამბობს ილარიონოვი.

რუსი ექსპერტი ხაზს უსვამს იმას, რომ ახლაც ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, უკრაინელი ხალხი რაოდენ ბრძოლისუნარიანობას გამოიჩენს.

– თქვენი ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთებით ნამდვილად აღფრთოვანებული ვარ. ისიც მახარებს, რომ სამხედრო კომისარიატებთან რიგები დადგა და ხალხს თავისი ქვეყნის დაცვა სურს. სამწუხაროდ, უკრაინის დღევანდელ ხელისუფლებას ასეთ შემართებას ვერ ვამჩნევ. იმის ნაცვლად, რომ სეპარატისტების წინააღმდეგ პირველი დღეებიდანვე გადამჭრელი ზომები მიეღოთ, დიპლომატიური თამაშები დაიწყეს. თუკი ასე გაგრძელდა, პუტინი ყირიმსაც მოიტაცებს, ოდესის მხარესაც, ხერსონსაც, ხარკოვსაც და კიევშიც შევა, – თვლის ილარიონოვი.

### „ჯინი ბოთლიდან გამოვიდა, მისი უკან დაბრუნება იოლად არ მოხდება,“ — თვლის სუკის ყოფილი ოფიცერი

რუსეთის აგრესიას მთელი მსოფლიო გმობს. ევროპაც (ნებსით თუ უნებლიეთ) რუსეთის მიმართ სანქციებს გაამკაცრებს. გაეროში რუსეთი სრულ იზოლაციაშია. პრაქტიკულად გადაწყვეტილია რუსეთის დიდი რვიანიდან გარიცხვაც. მოსკოვის წინააღმდეგ სანქციები უკვე იაპონიამაც შემოიღო.

ყირიმის მოვლენებზე საინტერესო კომენტარს აკეთებს სუკის ყოფილი ოფიცერი, ამჟამად ინგლისში მცხოვრები ოლეგ გორდიევსკი (რუსეთში მას დაუსწრებლად მიუსაჯეს დახვრეტა). ის მიიჩნევს, რომ დასავლეთი რუსეთზე ზეწოლას გააძლიერებს, მაგრამ ეს სწრაფ შედეგს არ მოიტანს.

– პუტინი იმ შოვინისტურ ეიფორიის მძევალი აღმოჩნდა, რომელიც თავადვე გააღვივა. შოვინიზმის ჯინი ბოთლიდან გამოვიდა, მისი უკან დაბრუნება იოლად ვერ მოხერხდება, – ამბობს გორდიევსკი.

მართლაც, 18 მარტს რუსეთთან გაერთიანების სურვილი დნესტრისპირეთმაც გამოთქვა. ამას საეჭვოდ დაემთხვა რუსული დესანტის გადმოსხმა ხერსონის ოლქში და პრორუსული სეპარატისტული ძალების გააქტიურება ოდესაში. ექსტრემისტები უკვე მარტოოდენ პროვოკაციებს არ სჯერდებიან და ტერორისტული აქტების განხორციელებასაც ლამობენ.

– ოდესაში უკრაინის უშიშროების სამსახურმა ერთ-ერთი ასეთი დივერსიული ჯგუფი გაანადგურა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

უმაღლესმა რადამ უკვე ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა. სამხედრო საჭიროებისათვის 7 მილიარდი გრივნაა გამოყოფილი. თავის მხრივ, ყირიმში მცხოვრები უკრაინელები და ყირიმელი თათრები აცხადებენ, რუსეთის შემადგენლობაში შესვლას არ ვაპირებთო. 18 მარტს ყირიმელ თათართა მილი-მეჯლისმა გაავრცელა მიმართვა, სადაც ნათქვამია, რომ თათრებს სურთ თვითგამორკვევა ერთიანი უკრაინული სახელმწიფოს ფარგლებში. თავის მხრივ, ყირიმის ტერიტორიაზე დისლოცირებული უკრაინელი ჯარისკაცებიც აცხადებენ, რომ ნახევარკუნძულიდან არ წავლენ.

– ყირიმი უკრაინის განუყოფელი ნაწილია, – ამბობენ ისინი.

როგორ განვითარდება შემდგომი მოვლენები? უდავოა, რომ ცივილიზებული მსოფლიო რუსეთზე ზეწოლას გააძლიერებს, თუმცა გადამწყვეტი ფაქტორი მისი უდიდებულესობა უკრაინელი ხალხია. იმის მიხედვით, თუ რაოდენ ერთიანი და ბრძოლისუნარიანი იქნება უკრაინა, დამოკიდებულია ყირიმის გარშემო განვითარებული მოვლენების ფინალიც.

**ნიკა თევზაძე**

## h3χცeχ3ლბ ,

**შვეულად**: 1. ირმებ და ცხენებ შებმული მარხილი ჩრდილოეთის ქვეყნებში; 2. სინათლის სიკაშკაშის საზომი საერთაშორისო ერთეული; 4. საგზაო მშენებლობაში გამოყენებული ფისი; 5. ბალერინას საცეკვაო ფეხსაცმელი; 6. პლანეტა ვენერას ძველი სახელწოდება; 7. დიდი სარეკლამო სტენდი, პლაკატი; 10. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში; 12. მშრალად მოხარშული ცხვრის ან ძროხის ხორცი; 13. დამანგრეველი ძალის ქარი; 16. საბატონო გადასახადი ფულით ან ნატურით ძველად; 17. საკუთარი საქციელის ავკარგიანობის შინაგანი შეფასება; 18. ბურგუნდიული ღვინოების წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი საფრანგეთში; 19. შტატი აშშ-ში; 21. თურქეთის პრეზიდენტი.

**თარაზულად**: 3. დანიასა და შვედეთს შორის მდებარე სრუტე; 8. პენალტი ჰოკეიში; 9. რაიმე საქმის ზერელედ მცოდნე; 11. პოლიგრაფიული საწარმო; 12. ისტორიული ციხე-ქალაქი აჭარაში; 14. ფრანგი კომიკოსი; 15. ყველაზე ძველი უნივერსიტეტი აშშ-ში; 20. ვენაში განთავსებული ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; 22. ქორ-შევარდენთა გამწვრთნელი; 23. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 24. გაველურებული ცხენი; 25. კამეჩის ნაშიერი; 26. ფრანგი კინორეჟისორი; 27. სახელმწიფო ბალტიისპირეთში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**



## ობყფ ყჯ3ტ3ობ უფ3ჯმღტ.ყტ,ებ h3χცeχ3ლტ,ბც ბფცეტ,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კალორია; 2. ფტორი; 3. ყარაყუმი; 4. სკლერა; 5. დიპლომი; 6. სინჯარა; 11. „ლიონი“; 13. ბაირამი; 14. კამამბერი; 15. ტენდენცია; 17. ნოქარი; 18. მოხერი; 19. პერუ.

**თარაზულად:** 7. ბატატი; 8. კასკადიორი; 9. ჯოკერი; 10. „კალევალა“; 12. ბარბარიზმი; 14. კაიუტა; 16. „ანტიგონე“; 18. მამისონი; 20. ცხუმი; 21. მეი; 22. დაიმლერი; 23. ბუცი; 24. სუტენიორი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შელფი; 2. ორფოლო; 4. შაბლონი; 5. პლაზმა; 6. ბრაშპილი; 7. „სიტროენი“; 10. ატაშე; 12. ბულდოგი; 13. სპეკალი; 16. მირაჟი; 17. „ჩხავერი“; 18. პოკერი; 19. ფაველა; 21. ბრერა.

**თარაზულად:** 3. „ბერქშირი“; 8. კრუიფი; 9. „ბროკჰაუზი“; 11. ამქარი; 12. ბეტონი; 14. ლელუში; 15. კაპელანი; 20. გაბენი; 22. „სალხინო“; 23. ლაპი; 24. რეგტაიმი; 25. ცემი; 26. გვრინი; 27. ყანწი.

# რუსეთთან მიერთებას დნესტრისპირეთიც ითხოვს

რუსეთთან მიერთებას დნესტრისპირეთიც ითხოვს. არაღიარებული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სპიკერმა, მიხეილ ბურლამ რუსეთის სათათბიროს სპიკერ სერგეი ნარიშკინს წერილობით მიმართა, სადაც ითხოვს, რუსეთის კანონდებლობაში გაითვალისწინონ შესაძლებლობა, რომლის მიხედვითაც, დნესტრისპირეთი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას შეძლებს.

რუსული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, აღნიშნული მიმართვა იმ კანონპროექტის გამოძახილია, რომელიც რუსეთთან გამარტივებული წესით ახალი სუბიექტების, მათ შორის ყირიმის მიერთებას გულისხმობს.

ამასთან, როგორც არაღიარებული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სპიკერმა ბურლამ აღნიშნა, ეს კანონპროექტი მხოლოდ ყირიმის მიერთების შესაძლებლობას იძლევა, დნესტრისპირეთის კი – არა.

მიხეილ ბურლას აზრით, დნესტრისპირეთში ვითარება მას შემდეგ შეიძლება გართულდეს, რაც მოლდოვა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერს ხელს.

დნესტრისპირეთის რუსეთთან მიერთების საკითხზე რეფერენდუმი 2006 წელს გაიმართა. რეფერენდუმის მონაწილეთა 97,2%-მა რუსეთთან მიერთებას დაუჭირა მხარი. დნესტრისპირეთში რუსეთის 200.000 მოქალაქე ცხოვრობს და სახელმწიფო ენადაც რუსულია გამოცხადებული.

თავის მხრივ, მოლდავეთის ავტონომიამ სახელწოდებით გაგაუზია, რომლის სამართლებრივი სტატუსიც ყირიმის მსგავსია, საკუთარი ჯარის ფორმირების შესახებ განაცხადა. მისი დახმარებით ადგილობრივი ხელისუფლება მომავალში კიშინიოვის ქმედებებისგან თავდაცვას გეგმავს.

როგორც სააგენტო „უნიანი“ წერს, გაგაუზიის მიერ საკუთარი შენაერთების ჩამოყალიბების დასაწყისი გახდა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს მოლდავეთის ჯარის კონტროლირებად ტერიტორიაზე ალტერნატიული შენაერთების სამართლებრივი ჩამოყალიბების საკითხს. მალე კანონპროექტის განხილვას დაიწყებს გაგაუზიის პარლამენტი, რომლის ოფიციალური სახელწოდებაა სახალხო კრება.




„ჩვენზე, რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა. ჩვენ გვიშლიდნენ რეფერენდუმის ჩატარებას. ჩვენს დეპუტატებზე ზეწოლას ახორციელებენ. ჩვენ თავად უნდა დავიცვათ საკუთარი თავი“, – განაცხადა სახალხო კრების ერთ-ერთმა დეპუტატმა, რომელმაც ანონიმურობა არჩია.

სახალხო დეპუტატები ასევე გეგმავენ ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების ალტერნატიული სტრუქტურების – „დრუჟინების“ ჩამოყალიბებას.

როგორც სააგენტო „უნიანი“ წერს, კიშინიოვის ხელისუფლების მხრიდან გაგაუზიის ხელმძღვანელობაზე ზეწოლა მას შემდეგ დაიწყო, რაც 2 თებერვალს რეგიონში რეფერენდუმი ჩატარდა. ადგილობრივების 98,09%-მა გაგაუზიის მოლდავეთიდან გამოყოფას დაუჭირა მხარი. თუმცა კიშინიოვში ეს რეფერენდუმი უკანონოდ აღიარეს.

ამის შემდეგ ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, მოლდავეთის შიგნით ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან დაკავშირებული პლებისციტების ჩატარება აიკრძალა.

# ბილ გეიტსის ფილანტროპია მთავრობაზეა დამოკიდებული



ბილ გეიტსის ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე სამყაროს განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია. ის ახლა ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებას სხვა მიმართულებით ცდილობს. მისი საქველმოქმედო ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება მომაკვდინელებლი დაავადებების და სიაღატაკის წინააღმდეგ ბრძოლაა, – აცხადებს „ამერიკის ხმა“.

გეიტსი ამბობს, რომ მისი ფილანტროპული საქმიანობა ისეთ სფეროებზე ვრცელდება, სადაც მთავრობა შედარებით შეზღუდულია: „სოციალური პროგრამების დარგში არსებობს გარკვეული მიდგომები, რომელთა განხორციელებაც მთავრობებს ისე ეფექტურად არ შეუძლიათ – მათი სტრუქტურული მოწყობის გამო როგორც საქველმოქმედო ორგანიზაციებს. მაგალითად, მთავრობა ვერ დააბალანსებს რესურსებს მოხალისეების ხარჯზე ისე, როგორც ამას ფილანტროპიაში ვხედავთ“.

გეიტსი ამბობს, რომ ამერიკაში ქველმოქმედებას ძალიან დიდი ადგილი უკავია. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტები ადამიანებს წარმატებული კარიერის შექმნაში ეხმარებიან, ხოლო სანაცვლოდ კი ეს ადამიანები უნივერსიტეტებს ფინანსურად ეხმარებიან. ამის გამო, კერძო თანხებით დაფინანსებული ინსტიტუტები ყოველთვის ლიდერობენ ინოვაციების დანერგვაში. მან მაგალითისთვის საქველმოქმედო ორგანიზაცია „მარჩ ოფ დაიმსის“ მიღწევებზე ისაუბრა, რომელმაც პოლიომიელიტის ორი სხვადასხვა ვაქცინის შემუშავებაში უდიდესი როლი ითამაშა.

„მარჩ ოფ დაიმს-ის ფონდმა“ პოლიომიელიტის ვაქცინა შეიმუშავა, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით წითურას ვირუსის შემდეგ, თითქმის დამარცხებულია. ერთი დოზა ვაქცინა 13 ცენტი ღირს და მისი შემუშავება სწორედ ფილანტროპიული საქმიანობის წყალობით მოხდა“, – აღნიშნა გეიტსმა.

გეიტსი ამბობს, რომ ფილანტროპია ვერ შეძლებს ჩაენაცვლოს მთავრობას ისეთი ფართომასშტაბიანი სფეროების მართვაში, როგორიცაა საჯარო ჯანმრთელობა, განათლება და დასაქმება.

„როცა ცდილობ ამერიკაში ყველა ბავშვს კარგი განათლება მისცე, უზრუნველყო ის, რომ ისინი არ შიმშილობენ, ამაში მთავრობა უნდა ჩართო. ქველმოქმედება საზოგადოების ფართო მასებთან ყოველდღიურად არ ურთიერთობს. ფილანტროპიას ისეთი წვდომა არ აქვს, როგორიც მთავრობას. ფილანტროპიის დანიშნულება დაავადებების აღმოსაფხვრელად კვლევების ჩატარება და აკადემიური საქმიანობის ხელშეწყობაა იმისთვის, რომ შედეგის მისაღწევად უფრო ეფექტური გზები გამოვნახოთ“.

გეიტსი ამბობს, რომ უამრავი სოციალური პრობლემის გადასაჭრელად, ფილანტროპია კვლევასა და ინოვაციაზეა დამოკიდებული, ხოლო ამის პარალელურად მთავრობა საზოგადოების ცხოვრების ზოგად გაუმჯობესებაზე უწყვეტად უნდა ზრუნავდეს.

უილიამ ბილ გეიტსი კომპანია „მაიკროსოფტის“ ხელმძღვანელი და დამფუძნებელია. კომპანიაში დასაქმებულია 78 000 ადამიანი მსოფლიოს 105 ქვეყანაში, სადაც „მაიკროსოფტს“ საკუთარი წარმომადგენლობები აქვს.

გეიტსის ხელმძღვანელობის პირობებში „მაიკროსოფტი“ ყოველთვის მიისწრაფის იმისკენ, რომ გააუმჯობესოს კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა, რათა უფრო ადვილი იყოს საზოგადოებისთავის მისი გამოყენება.

1999 წელს გეიტსმა დაწერა წიგნი იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, გადაწყვიტოს პრობლემები ახლებური მეთოდით. წიგნი 25 ენაზე 60 ქვეყანაში გამოიცა.

ბილ გეიტსი და მისი მეუღლე მელინდა ფრენჩი დაკავებულები არიან ქველმოქმედებით, მათ 28.8 მილიარდი დოლარი გადარიცხეს მსოფლიოს ჯანმრთელობისა და განათლების ფონდში.

ხანდახან ბილ გეიტსი საკუთარ სახლში აწყობს სადილებს. სადილზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, რომელიც დათანხმდება გადაიხადოს 1.000.000 დოლარი მოსაწვევში. მთელი შეგროვილი თანხა კი დიუკის უნივერსიტეტში ირიცხება, სადაც მისი მეუღლე მელინდა ფრენჩი სწავლობდა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

დასაწყისი მე-8 გვერდზე

# რეგიონ ოპერა“ გასტროლებს იწყებს

***– პატრიარქს რომ დაჰპირდით, მთაში როდის ახვალთ?***

– იქაც ავალთ. როგორც კი გამოთბება, სვანეთშიც ავალთ და ამაში რეგიონული სამინისტრო დაგვეხმარება. ჩვენ საჩხერეში გვქონდა ჩატანილი „დაისი“ და მისი გამეორება გვინდა. აუცილებლად ავალთ პატრიარქის მშობლიურ მხარეში და სნოში ჩავატარებთ ისეთ კონცერტს, როგორიც ქართველ ხალხს ეკარება. ჩვენ ჩავიტანთ შესაბამის ტექნიკას და ყველაფერი უმაღლეს დონეზე იქნება. ტექნიკა ამ წუთში არ გვაქვს, მაგრამ გვათხოვებენ. შემდეგ, ალბათ, დროთა განმავლობაში, თუ მოგვაქცევს ვინმე ყურადღებას, ტექნიკასაც შევიძენთ.

***– სამი ბარიტონის კონცერტს როდის ატარებთ?***

– 16-დან 25 აპრილამდე აუცილებლად ჩავატარებთ სამი ბარიტონის კონცერტს, რომელიც მიეძღვნება მუსლიმ მაგომაევის ხსოვნას. ერთხელ ჩავატარეთ ასეთი კონცერტი, პროექტი იგივეა, მაგრამ მონაწილეები არიან სხვები. ჩემთან ერთად ამ კონცერტში ერთი ქართველი და ერთიც უკრაინელი ბარიტონი მიიღებს მონაწილეობას.

***– გასვლითი კონცერტები გაქვთ?***

– რა თქმა უნდა. სექტემბერში კიევში იდგმება „ტოსკა“, რომელშიც ქართველებიც მივიღებთ მონაწილეობას. სკარპიას როლს თქვენი მონა-მორჩილი იმღერებს, თეონა შატბერაშვილი ტოსკას იმღერებს, ამ სპექტაკლს კი იდირიჟორებს ილია ინაიშვილი, რომელიც უკრაინაში სწავლობს. დანარჩენ პარტიებს ადგილობრივი მომღერლები შეასრულებენ. „ტოსკაც“ და ჩვენი „დაისიც“ უკრაინაში სექტემბერშია დაგეგმილი. უკვე მოწვევაც მოსულია და ყველაფერი გადაწყვეტილია.

***– ბატონო ზურაბ, გავიგე, ერთ-ერთ ფილმში ლავრენტი ბერიას როლი გითამაშიათ.***

– ამ ფილმთან დაკავშირებით ვერ ვიტყვი წინასწარ ვერაფერს. პირველი აპრილიდან მექნება უფლება, ამ თემაზე უფრო დეტალურად გესაუბროთ.

***– ის მაინც გვითხარით, ქართული პროექტია?***

– ქართულ-რუსული პროექტია, ძალიან საინტერესო რამ გამოდის და, როცა მისი ავტორები ნებას დამრთავენ, მაშინ ვისაუბროთ.

# ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

## ბექა



ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე წახვედი ამქვეყნიდან. განგებამ ასე ინება... ბავშვობიდან უშიშარს, ასე გეგონა, ვერაფერი მოგერეოდა, მაგრამ ვაი, რომ ბედისწერას ვერ გაექეცი... მართალი უთქვამთ, შვილი მხოლოდ დედას უკვდებაო. შენთან ერთად დამთავრდა ჩემი სიცოცხლეც, ჩემო ერთადერთო! აბა, რა ჰქვია ჩემს ყოფას უშენოდ?! მიჭირს სიტყვების პოვნა, გამოვხატო ჩემი სულის ტკივილი.

გულში გიკრავ, გეფერები, ჩემო სიცოცხლევ!

*დედა*

ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ
.ჯდტქლქტ7
რდბჰბს უფჰლფ7 !@–ლფყ !& ცფფსფვლტ8

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ იმის გამო, რომ გარდაიცვალა უაღრესად საინტერესო, ღირსეული პიროვნების, აწ გარდაცვლილი ქალბატონი მია ჩიქოვანის სახელოვანი ვაჟიშვილი, შესანიშნავი ექიმი, პროფესიონალი

**თემურ ქუთათელაძე**

და დიდი გულისტკივილით თანავუგრძნობთ მის ოჯახს.

ქალბატონი მიას ყოფილი თანამშრომლები, კოლეგები ოჯახებით, მცხოვრებნი ქალაქ თბილისის სულხან ცინცაძის ქუჩა №28-ში (ყოფილ საბურთალოს ქუჩა №40-ში)

ვახტანგ და კახაბერ კიკნაძეები, თინა კიკნაძე და გივი კვაჭაძე, დარეჯან კიკნაძე და ვასიკო ბეკოშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მურმან, ზურაბ და იულონ ბერაძეების სიძის

**სულეიმან (სულიკო) საცერაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ძმა ივერი ჭელიძე, შვილები რეზო, ვიქტორ, ერეკლე, ძმისშვილები გოჩა, მაია, მამუკა, ნელი, ლელა, ნაილი ჭელიძეები, რძლები თვარისა ქობულია, ქეთინო ჯაჯვანი, ანა გურგენაშვილი, შვილიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დემურ რაჟდენის ძე ჭელიძე**

პანაშვიდი: 20, 21 მარტს, გარდაბანში.
გამოსვენება: 22 მარტს, გარდაბნის ღვთისმშობლის ეკლესიიდან.

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 19 მარტი**

**07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** მხ/ფ **"გრიზლის ჩანჩქერი"** **17.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **18.00** ტ/სერ. **"სიკეთე და ბოროტება"** **19.15** "ჩვენი ეზო" **21.00** ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** **22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ **23.00** დ/ფ **23.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: **ბორუსია – ზენიტი** (პ/რ) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" **01.40** მხ/ფ **"ოჯახური ნაკლი"** **03.10** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) **05.10** "ჩვენი ეზო" (გ/ჩვ) **05.40** პოლიტიკური თოქ-შოუ (გ/ჩვ.)

**08.00, 10.00, 15.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა (პ/ტ) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.00** "ბრიფინგის დრო" (მიმდინარე დღის)

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00" 20.00, 00.30** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **8** სერ. **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** EMERGENCY– სასწრაფო დახმარება **00.40** მხ/ფ **"მფრინავი ხანჯლების სახლი"**

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"დასასრული"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** "ნანუკას შოუ" **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **00.30** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. (ტიტ.)

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** ქვიშით ნაამბობი **06.45** დოკ/ფ "ვანის ნაქალაქარი" **06.50** მხ/ფ **"პიანისტი"** II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლენი **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **12.50** მოკ./ფ. **"პოზოი"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.30** კონცერტი - ანდრია ბოჩელი **17.00** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პირველშეწირული წირვის განმარტება(მამა ბიძინა გუნია) **19.35** მხ/ფ **"დანაშაული მოხდა"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი" დოსითეოზ ქუთათელი **23.40** დოკ/ფ "პოდმანიე" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო **0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "რბოლა" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **9.15 სერიალი "ჩემი შვილები"** **10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **14.00** "თქვენი გადახდილია" (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** NX სპიკერი **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


9 marti

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1.7317

ევრო — 2.4050

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.8769

100 რუსული რუბლი — 4.7264

## ამინდის პროგნოზი 19 მარტისთვის





# 18 მარტიდან

## დიდი საოჯახო სამედიცინო ენციკლოპედია“ ახალ თაობასთან“ ერთად




## ვერის დარბაზი დაწვას გადაურჩა



გუშინ, ვერის საკალათბურთო დარბაზს ცეცხლი გაუჩნდა, მაგრამ ხანძარი მალევე იქნა ლიკვიდირებული. თბილისის საგანგებო სიტუაციათა მართვის სამსახურის უფროსის, თემურ გიორგაძის განცხადებით, ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.

დარბაზში ბოლო პერიოდში რემონტი ტარდებოდა და ცეცხლიც შენობის გადახურვის დროს ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაჩნდა, რის შედეგადაც დაიწვა სახურავის 300 კვადრატულ მეტრამდე ფართობი.

ხანძარი შენობის სახურავზე გაჩნდა, რამაც მეხანძრეებს ასვლის პრობლემა შეუქმნა, თუმცა მხოლოდ მცირე ხნით.

**თემურ გიორგაძე:**

— მიმდინარეობს შენობის სახურავის შეცვლის სამუშაოები. ვინაიდან ცეცხლი გაუჩნდა სახურავს, ხანძარს ზარალი, ფაქტობრივად, არ გამოუწვევია.

ცეცხლის ჩაქრობა 15 წუთში მოხდა. ადგილზე 8 სახანძრო ბრიგადა იყო გამოძახებული.

მ. ჟ.


**მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი**

**ფელიქს ლაპიცკი**



**ატარებს რეაბილიტაციას რთული მოტეხილობის შემდგომ მოძრაობის აღდგენით**

**ასწორებს:**

- აღნაგობის დარღვევას
- სქოლიოზს
- გულმკერდის დეფორმაციას
- „ქათმისებურ მკერდს“

**მკურნალობს:**

- ოსტეოქონდროზს (მარილებს)
- ზურგის არეში ტკივილებს
- რადიკულიტს
- უძილობას, ნევროზს
- თავბრუსხვევას



ტელ.: 232 47 38; მობ.: 595 63 92 94
E-mail: felix_lapitski@yahoo.com

**მარიამ ლაპიცკი**

**გთავაზობთ ჩვილ ბავშვთა სამკურნალო მასაჟს**

**მობ.: 598 40 53 08**


# ოთარ ტატიშვილი ახალი ნაწარმოების პრემიერას გამართავს

ეკა ირემაშვილი

**კომპოზიტორი ოთარ ტატიშვილი, რომელიც არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორია, ბოლო პერიოდში კლასიკური მუსიკით არის დაკავებული. 19 მარტს კონსერვატორიის მცირე დარბაზში კამერული მუსიკის პირველი კონკურსი ჩატარდება, სადაც ოთარ ტატიშვილის ახალი ნაწარმოების საფორტეპიანო კვინტეტის პრემიერა შედგება.**



კონკურსზე შესრულდება ბეთჰოვენის, პროკოფიევის, შოსტაკოვიჩის, ბოროდინის, პერსელის, ბრამსის, სულხან ცინცაძის, მოცარტის, მენდელსონის, მარკ ბერთომიეუს, ნიტკეს, ჯულიანის, პიაცოლას, ვაჟა აზარაშვილის, ბრიჯის, ჰაიდნის, შუბერტის, ალექსი მაჭავარიანის, ელგარის, ოთარ ტატიშვილის ნაწარმოებები. საკონკურსო პროგრამაში მოხვედრილი ნაწარმოებებიდან მხოლოდ ოთარ ტატიშვილის ნაწარმოების პრემიერაა. საფორტეპიანო კვინტეტს შეასრულებენ პიანისტი მაგდა ომსარაშვილი, პირველი ვიოლინო გვანცა მურცხვალაძე, მეორე ვიოლინო ქეთევან ექვთიმიშვილი, ალტისტი გიორგი ხატალევი და ჩელისტი ანასტასია წერეთელი.

**ოთარ ტატიშვილი, კომპოზიტორი:**

— ეს კონკურსი წელს პირველად ტარდება და ზოგადად კამერული მუსიკის პოპულარიზაციას ემსახურება. ეს თავისთავად ძალიან კარგი წამოწყებაა, დიდი მონდომებით ატარებენ ამ კონკურსს მისი ორგანიზატორები პროფესორები ნათელა კვირკველია და მაია მშვილდაძე. მათ ბევრი იბრძოლეს, რომ ეს კონკურსი ჩატარებულიყო, სამომავლოდ ბევრს ფიქრობენ, რომ კონკურსი გააძლიერონ და ამ ყველაფერს ფართო მასშტაბები მისცენ. პირველივე კონკურსში 50-მდე მსურველი იღებს მონაწილეობას და ეს უკვე კარგია.

*— კონკურსი გამარჯვებულებს გამოავლენს?*

— დიახ. 19 მარტს კონკურსი იხსნება, სადაც ყველა მონაწილე დაუკრავს, 20 მარტს კი უკვე გალაკონცერტია და დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალიც გაიმართება. კონკურსის პირველივე დღეს გაირკვევა, ვინც იქნება გამარჯვებული, თუმცა მეორე დღეს დააჯილდოებენ. სულ 4 პრემიაა დაწესებული, მაგრამ დიპლომატი ყველა გახდება. ის ფაქტი, რომ ეს ახალგაზრდები ამ კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას, უკვე თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია.

*— ჟიურიშიც ხომ არ ხართ?*

— ჟიურიში არა, არც მაქვს უფლება, მაგრამ ვიტყვი, რომ საკმაოდ კომპეტენტური ჟიურია. სამომავლოდ შეიძლება ამ კონკურსმა საერთაშორისო მასშტაბიც მიიღოს. კამერული მუსიკა თავისთავად ძალიან ღრმაა და ამ კონკურსის დაარსებით სტიმული ეძლევათ ახალგაზრდა შემსრულებლებს. მონაწილეთა ასაკი 30 წლამდეა განსაზღვრული, კამერულ მუსიკაში ანსამბლები იგულისხმება, დუეტები, ტრიოები, კვარტეტები, კვინტეტები. ამ კონკურსის ფარგლებში სრულდება ცნობილ კლასიკოსთა ნაწარმოებები, მაგრამ ჩემი ნაწარმოების პრემიერაა. პირველად სრულდება ჩემი ძალიან რთული ნაწარმოები საფორტეპიანო კვინტეტი, რომელიც დაწერილია 4 ხემიანი სიმებიანი ინსტრუმენტისა და ფორტეპიანოსთვის, ანუ ორი ვიოლინოს, ალტის, ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის. მიმაჩნია, რომ ამ ღონისძიებას სჭირდება პროპაგანდა, იმიტომ რომ წალეკა იაფფასიანმა ესტრადამ ყველაფერი, ინტელექტუალურ მუსიკას და იმ საზოგადოებას, ვისაც კლასიკური მუსიკა უყვართ, ეს კონკურსი ნამდვილი აღმოჩენა იქნება. ყველამ ერთად უნდა შევუწყოთ ხელი, რომ ხალხი ნელ-ნელა ჩასწვდეს კლასიკურ მუსიკას.

*— თქვენ რატომ არ ჩანხართ ქართულ ესტრადაზე?*

— ამ ბოლო დროს უფრო კლასიკურ მუსიკას ვუთმობ ბევრ დროს, თუმცა ესტრადაშიც აქტიურად მიმუშავია. აგერ, ჩემი მოწაფე მიდის ევროვიზიაზე, ძალიან ვეცადე, რომ გამეკეთილშობილებინა, მაგრამ, რა ვქნა, ოდესლაც, ალბათ, მიხვდებიან და გაიგებენ. ვისაც ესმის, აღფრთოვანებულია ჩემი ესტრადითაც. ბოლო წლებია, კლასიკას ვუთმობ უფრო მეტ დროს და წარმატებებიც მაქვს, ალბათ, დავღვინდი. ამ კონკურსში მხოლოდ ჩემი ნაწარმოების პრემიერაა, რომელიც სამნაწილიანია. თუმცა არც ესტრადას ვაკლებ ყურადღებას. თემურ ყვითელაშვილმა ჩაწერა ჩემი ორი სიმღერა, ნოდიკო ტატიშვილმა ჩაწერა, მაგრამ ამ ბოლო დროს კლასიკისკენ მიწევს გული, დავღვინდი, დავბრძენდი, ეტყობა და უფრო ინტელექტუალური მუსიკისკენ მიწევს გული. რასაკვირველია, მომავალში ესტრადის მიმართულებითაც აუცილებლად ჩავატარებ კონცერტს.

## h3xцeх3eb ფ

**შვეულად**: 1. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 2. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს დნობის დასაჩქარებლად; 3. სამთო-საინჟინრო საქმეში გამოყენებული ასაფეთქებელი ნივთიერება; 4. ადენის ყურეში მდებარე აფრიკის სახელმწიფო; 5. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 6. მზის სისტემის პლანეტა; 11. გარეგნული მომხიბვლელობა, ეშხი; 13. გამოგონების დამადასტურებელი მოწმობა; 14. ჩაის დეგუსტატორი; 15. გამაგრილებელი სასმელების გაჯერება ნახშირმჟავა აირით; 17. გაზაფხულის ყვავილი; 18. ფულადი ჯილდო; 19. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა.

**თარაზულად**: 7. სასწრაფო სამუშაო გემზე, ეკიპაჟის მთელი შემადგენლობით; 8. მანათობელი მწერი; 9. მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 10. იატაკზე დასაჯდომი ბალიში იაპონურ სახლებში; 12. სამხედრო სატუსაღო; 14. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 16. ზანგური ხალხური მუსიკის ჟანრი, ჯაზის წინამორბედი; 18. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება; 20. პოეტური ქმნილება; 21. კედელზე საკიდი ელექტრონათურა; 22. გერმანელი მეცნიერი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიკის დარგში; 23. ერთგულების მტკიცე პირობა; 24. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.




*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## fcnhjghjuyjpb

19 მარტისთვის

.ღტჯფვ უფბსღფჯბცობყტს=

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **ტყუპები** — ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კირჩხიბი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ლომი** — თავს უკეთ გრძნობთ, ჯანსაღდებით. **ქალწული** — რთულ სიტუაციაში თავის დაცვას შეძლებთ. **სასწორი** — პრობლემას ადვილად გადაჭრით, რაშიც მეგობრები დაგეხმარებიან. **ღრიანკალი** — იაქტიურეთ და ფული გექნებათ. **მშვილდოსანი** — გადაიხალისეთ გართობი, შეხვედრაზე მიდიხართ. **თხის რქა** — თქვენი საქმე კარგად მიდის, კმაყოფილი ხართ. **მერწყული** — მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, ყველაფერს აწესრიგებთ. **თევზები** — დრო არ გაფლანგოთ, ის ხომ ფულია!

უბცევჰღტ,ს ,ტღყბტჰ ღქტს=